ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის შაბათს და პარასკევს №36 (1666) 19–21 მაისი, 1998წ. ● ფასი 50 თეთრი





## რა იმალება გულუას, ჭანტურიას, ხაზეიშვილის მკვლელობებისა და შევარდნაძეზე თავდასხმების მიღმა, ანუ ვინ არის დამნაშავე და რა ვქნათ?!.

მესამე გვერდი



## „სამხრეთ ოსეთის" შექმნის მცდელობა საქართველოს ღალატია"

მესამე გვერდი




## „მოქალაქეები" სოციალისტების ჯინაზე კბილებით იცავენ უვარგის გამგებლებს



მეორე გვერდი



## რატ ვიცი

მეოთხე გვერდი

# „მოქალაქეები" სოციალისტების ჯინაზე კბილებით იცავენ უვარგის გამგებლებს

მმართველი პარტიის უარყოფით მხარეებზე, დაუკვირვებელ თუ წინასწარგათვლილ მავნე ქმედებებსა და მათ შედეგებზე ლიად თუ დაფარულად საუბრებმა უკვე ფართო მასშტაბები მიიღო. განსაკუთრებული ხმაური, რაც მათ საქციელს მოჰყვება ხოლმე, სოციალისტური პარტიის მხრიდან შეინიშნება. ეს უკანასკნელნი საკმაოდ ნათლად განმარტავენ ამის მიზეზებს. მათი თქმით, მოქალაქეები ყველა ღონეს ხმარობენ, რათა სოციალისტური პარტიის წევრი არ დაწინაურდეს, არ მოხვდეს ხელმძღვანელ თანამდებობაზე, სოციალისტურმა პარტიამ არ წაიწიოს წინ არანაირი თვალსაზრისით და ა. შ.

სოციალისტები გაბედულად



Photo News

აცხადებენ და დამაჯერებლადაც ამტკიცებენ მათ წინააღმდეგ მიმართული ქმედებების მიზეზ-შედეგებს...

ურთიერთკრიტიკა, რასაც ეს ორი პარტია ხშირად მიმართავს, მოულოდნელი სულაც არ არის და ჭორს, თითქოს, შევარდნაძე გასოციალისტებას აპირებს, როგორღაც საფუძველს უმაგრებს...

— მიუხედავად ჩემი ოპოზიციურობისა, პრეზიდენტთან მე ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს და ასპინძის გამგებლის კანდიდატების ვინაობას პრეზიდენტს პირადად გავაცნობ, — განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე სოციალისტური პარტიის ლიდერმა ვახტანგ რჩეულიშვილმა. ზემოაღნიშნულ პრესკონფერენციაზე სწორედ ასპინძაში შექმნილ მორალურ-ფსიქოლოგიურ არაჯანსაღ კლიმატზე საუბარს დაეთმო უმეტესი დრო. სოციალისტები ამ რაიონში შექმნილ მძიმე ვითარებას მოქალაქეთა კავშირს აბრალებენ და აცხადებენ, რომ პასუხისმგებლობა იმის გამო, რაც ასპინძაში და არამარტო იქ, არამედ მთელს საქართველოში 3 წლის განმავლობაში ხდება, მოქალაქეთა კავშირს ეკისრება.

ჟურნალისტებისთვის ამ დღეს კიდევ ერთხელ გახდა ცნობილი იმ აქციის შესახებ, რომელსაც ასპინძის რაიონის მოსახლეობის სახელით 50-მდე კაცი აწყობს გამგებლის წინააღმდეგ.

რაიონის დეპუტატის ნოდარ ზაზაძის განცხადებით, მოსახლეობა რაიონის გამგებელს უნდობლობას უცხადებს. ისინი მის დაპატიმრებას კი არ ითხოვენ, არამედ კომპეტენტური კომისიის შექმნას, რათა გაირკვეს, ვისი ხელი ურევია იმ ათეულ ათასობით ლარის გაფლანგვაში, რომელიც ნიალის მეურნეობას ეკუთვნოდა. და არა მარტო ამ თანხებზეა, თურმე, აქ საუბარი...

მსგავსი სურვილი თავად დეპუტატმა ზაზაძემაც გამოთქვა და კონკრეტული ნაბიჯებიც გადაუდგამს წინ.

სოციალისტები აცხადებენ, რომ არ შეიძლება გამგებელი ისეთი კაცი იყოს, რომელმაც წლების განმავლობაში თავი ვერ გაართვა მისთვის დაკისრებულ საქმიანობას. მოქალაქეებიც კარგად ხედავენ ამ კაცის მავნებლურ ქმედებებს, მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენ მისი ამ თანამდებობაზე ყოფნის წინააღმდეგნი ვართ, კბილებით იცავენო მას. მიუხედავად იმისა, რომ გამგებლის თანამდებობისთვის 4-5 კანდიდატი ჰყავთ შერჩეული, სოციალისტები ამბობენ, პარტიული ნიშნით არ ვაფასებთ კანდიდატურებს, ოღონდაც შეიცვალოს ძველი გამგებელი და ოდნავ უკეთესი მაინც მოვიდესო.

— ისეთი მავნებლები, როგორიც ასპინძაშია, ლაგოდეხშიც იპოვება. შვიდი თვეა პენსიები არ გაცემულა. მმართველი პარტიის დიდი მონდომების შედეგად ეს მალე მოხდება, შემდეგ კი მოსახ-



ლეობას მოქალაქეთა კავშირის მხრიდან წარმოდგენილი კანდიდატისთვის (კაპანაძისთვის) მხარის დაჭერას მოსთხოვენ, — ჩივიან სოციალისტები, თუმცა იმედს იმაზე ამყარებენ, რომ ხალხმა უკეთ იცის, ვინ უკეთესია მათთვის — სოციალისტი ბაქრაძე თუ მოქალაქეთა კავშირელი კაპანაძე.

თუკი ხალხი კაპანაძეს აირჩევს, გამოდის, რომ მოსწონთ ის ეკონომიკური რეფორმები და საერთოდ ის პოლიტიკა, რასაც უმრავლესობა ამ სამი წლის მანძილზე ატარებს. მაშინ საჩივლელიც აღარაფერი ექნებათ, — ლოგიკურად მსჯელობენ სოციალისტები, თუმცა მათთვის ვერაფერი ნუგეშია, მოსახლეობა თუ სხვას აირჩევს და მერე დაზარალდება.

ამ ორ პარტიას შორის პოზიციებისთვის ბრძოლა არა მარტო ასპინძასა და ლაგოდეხში, არამედ სამეგრელოშიც მიმდინარეობს...

— ვერ დავუშვებთ მოქალაქეთა კავშირის „მხედრიონის" მაგვარ პარპაშს ზუგდიდში, მმართველი პარტიის წარმომადგენლები აშკარად ცდილობენ, მხედრიონის სამეგრელოში პარპაშის დროს დაზიანებული სახლების აღსადგენად ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით ხელის მოთბობას. არის მცდელობა, რომ კრიტიკა, რომელსაც ჩვენში მოქალაქეთა კავშირის ზღვარგადასული პარპაში იწვევს, დესტაბილიზაციის შექმნის საბაბად მონათლონ — აცხადებს სოციალისტი თენგიზ ჯგუშია და საპასუხოდ ფსიქიურად დაავადებულის „სტატუსსაც" ანიჭებენ მოწინააღმდეგეთა ბანაკში. როგორც ჩანს, ამ საკითხით ჯგუშიას ახლობლები არასოდეს დაინტერესებულან და ეჭვების გაქარვება თუ სურს, იქნებ, ამ სიტყვების ავტორს — ბეჟან გუნავას თავად მიეხედა ამ საქმისთვის?

ძალა აღმართს ხნავსო, უთქვამს ჩვენს ბრძენ წინაპარს არცთუ უსაფუძვლოდ, და თუ ამ ცნობილ ანდაზას ვენდობით, ადვილი გასარკვევი არ უნდა იყოს, ვინ მეტი ნდობით ან ავტორიტეტით სარგებლობს აღნიშნულ რაიონებში — მოქალაქეები თუ სოციალისტები? ამ უკანასკნელთა განცხადებით ხომ პირველნი ძალასა და ჰუქარას არ იშურებენ გამარჯვების მისაღწევად, უფრო სწორად კი, მოწინააღმდეგის დასამარცხებლად.

**მანანა ლოგჯანიძე**

# რადიოსადგური „თავისუფლება" იუწყება:

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი ერთკვირიანი ვიზიტით იმყოფება აშშ-ში. ეს მოგზაურობა წარ-



Photo News

მოადგენს გაგრძელებას იმ თემისა, რომელზეც საქართველოსა და ამერიკის პრეზიდენტები შარშან შეთანხმდნენ.

13 მაისს ირაკლი მენაღარიშვილმა ვაშინგტონში გამართა პრესკონფერენცია. გაგაცნობთ ამ პრესკონფერენციის შინაარსს.

რადიომსმენელებს ახსოვთ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება, რომელიც გასულ თვეში ზურაბ ჟვანიამ გააკეთა ვაშინგტონში. მან თქვა, რომ რუსეთს არ შეუსრულებია არც ერთი პირობა, რომელიც მან საქართველოში მისი ჯარის დატოვებასთან დაკავშირებით დადო.

ვაშინგტონში პრესკონფერენციაზე გამოსვლისას ირაკლი მენაღარიშვილიც შეეხო ამ საკითხს.

მენაღარიშვილი: სამწუხაროდ, რუსეთის ბაზების საკითხი საქართველოში ერთ-ერთ გაურკვეველ და, ასე ვთქვათ, ზოგჯერ გამაღიზიანებელ ფაქტორადაც კი გადაიქცა. ბაზების თაობაზე ხელშეკრულება, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის რატიფიცირებული. ამ ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხი, რადგანაც ყველა ის პირობა, რომელიც საქართველოში ამ ბაზების განლაგების გამო იყო შეთანხმებული, დღემდე დაცული არ არის, არ სრულდება.

ბატონმა მინისტრმა გამოხატა იმის სურვილი, რომ ორივე ქვეყნის ინტერესებშია მოუგვარებელი პრობლემების გადაჭრა.

მენაღარიშვილი: რა თქმა უნდა, ჩვენი სურვილია, რომ რაც შეიძლება ინტენსიურად შევძლოთ ყველა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა და ყველა გაუგებრობის კვანძის გახსნა; რამდენადაც ჩვენ სრულიად გულწრფელად დაინტერესებული ვართ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციით.

ირაკლი მენაღარიშვილი იმედოვნებს, რომ რუსეთის ახალი მთავრობა გადადგამს ნაბიჯებს ამ მხრივ. რუსეთ-საქართველოს თანამშრომლობის სფეროში ასევე ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა, როგორც ქართველმა მინისტრმა თქვა, რუსეთის თავდაცვის მინისტრის იგორ სერგეევის მომავალი ვიზიტი საქართველოში. რუსეთის სამხედრო ბაზებთან დაკავშირებით სერგეევთან შეხვედრისას ირაკლი მენაღარიშვილი საერთო ენის გამონახვას იმედოვნებს.

კორესპონდენტების ერთ-ერთი შეკითხვა შეეხებოდა აშშ-სა და საქართველოს ურთიერთობას. ამასთან დაკავშირებით, მენაღარიშვილმა განაცხადა:

მენაღარიშვილი: მე შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ საქართველო-ამერიკის ურთიერთობა არის შესანიშნავი ნიმუში იმისა, თუ მსოფლიოს ლიდერი სახელმწიფო, როგორც ეკონომიკურ, ისე სხვა განზომილებებში რა ეფექტურად მუშაობს ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს, შედარებით პატარა სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობისათვის. აშშ-ის როლი საქართველოსათვის დახმარებაში მნიშვნელოვანი იყო ჩვენი დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი დღიდანვე.

საქართველოსათვის ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ საკითხთან — აფხაზეთთან დაკავშირებით ქართველმა მინისტრმა თქვა, რომ სერიოზული ნაბიჯები არ გადადგმულა ლტოლვილთა შინ დაბრუნებისათვის პირობების შესასრულებლად.

მენაღარიშვილი: თუ საერთოდ ვილაპარაკებთ სიტუაციაზე აფხაზეთში, რა თქმა უნდა, მდგომარეობა ჯერ კიდევ რთულია და რაიმე სერიოზულ, წინგადადგმულ ნაბიჯზე საუბარი ძნელია. რაც მთავარია და ყველაზე მძიმე, ჯერ კიდევ არ დაძრულა ადგილიდან ლტოლვილთა უკან დაბრუნების საკითხი.

მენაღარიშვილმა შენიშნა, რომ ე. წ. ჟენევის პროცესი, რომელიც საერთაშორისო დამოუკიდებელ დამკვირვებელთა მონაწილეობას გულისხმობს, აფხაზეთში მდგომარეობის შესაცვლელად, ასევე აიმედებს ქართულ მხარეს. ამ პროცესში მან რუსეთის მნიშვნელოვანი როლიც ახსენა. მენაღარიშვილმა განსაკუთრებული კმაყოფილება გამოთქვა აფხაზეთის პროცესში გაეროს აქტიური მონაწილეობის გამო. როგორც მან თქვა, საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევამ, ამ პროცესში ბევრად უფრო ფართო მასშტაბი შეიძინა ახლა, ვიდრე ეს ერთი წლის წინათ იყო.

* * *

*ინტერვიუ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრის დირექტორთან ალექსანდრე რონდელთან (ფრაგმენტები):*

**— ბატონო ალექსანდრე, ქვეყნის სტაბილურობა ბუნებრივად გულისხმობს პრეზიდენტის უსაფრთხოებასაც. მე ვფიქრობ, რომ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართული ტერორისტული აქტები ქვეყნის გარეთ იგეგმება. რას ფიქრობენ ამასთან დაკავშირებით უცხოელი სპეციალისტები?**

— ტერორისტული აქტების თემა დღეს ძალიან ცუდად ჟღერს იმ ხალხთან მიმართებით, რომელიც ამას გეგმავს და ასრულებს. უნდა გითხრათ, რომ ასეთი აქციები ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელის წინააღმდეგ საქართველოს მიმართ ზრდის სიმპატიას და პირადად, ჩვენი პრეზიდენტის მიმართაც. უნდა მოგახსენოთ, რომ დისკუსიების დროსაც, და კერძო საუბრებშიც, ჩვენში სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ხალხი საქართველოს იცნობს მხოლოდ იმიტომ, რომ შევარდნაძე არის ჩვენი პრეზიდენტი. უნდა მოგახსენოთ, რომ ყველა ცუდ რამეს კარგი მხარეც აქვს. ცოტა უხერხულია იმის თქმა, რომ ასეთ აქტებში კარგიცაა, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ჩვენი პრეზიდენტის ავტორიტეტი ძალიან გაიზარდა, გაიზარდა მის მიმართ სიმპატიები. რა თქმა უნდა, იმის თქმა არ მინდა, რომ კიდევ განმეორდეს მსგავსი რამ, მაგრამ მან, რაც მოხდა, ჩვენი პოზიციები კიდევ უფრო გამოკვეთა და დაანახა ყველას, რომ საქართველო არის პატარა ქვეყანა, რომელიც თავისი დამოუკიდებლობისათვის იბრძვის, იბრძვის მხოლოდ წესიერი გზებით, ხოლო მას არაწესიერი გზებით ებრძვიან.

* * *

ე. წ. სამხრეთ ოსეთის ლიდერი ლუდვიგ ჩიბიროვი მზადაა შეხვდეს საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს და განი-



ხილოს ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებული საკითხები. ეს მან განაცხადა ჟურნალისტებთან შეხვედრისას, როცა განმარტა ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტის ალექსანდრე ძასოხოვის მიერ თბილისსა და ცხინვალში 13 მაისს გამართულ მოლაპარაკებათა შედეგები. ჯერჯერობით არ არის დაზუსტებული საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრის თარიღი, მაგრამ შეხვედრა რომ გაიმართება, ფაქტია, — თქვა ლუდვიგ ჩიბიროვმა. ისევე, როგორც საქართველოს პრეზიდენტმა, ჩიბიროვმაც თავი შეიკავა ამ ეტაპზე რაიმე განმარტებისაგან სამხრეთ ოსეთის მომავალი სტატუსის თაობაზე და დასძინა, რომ ყველაფერი გაირკვევა მოლაპარაკების მსვლელობის დროს.

## „ჭორია" - აცხადებს პანტელეიმონ გიორგაძე



„საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის რიგებში განხეთქილებას ადგილი არ აქვს, ხოლო ისინი, ვინც ასეთ ჭორებს ავრცელებენ, საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოგზავნილი პროვოკატორები არიან" - განაცხადა გეა-ს კორესპონდენტთან საუბრისას სეკპ-ის ლიდერმა, პანტელეიმონ გიორგაძემ სეკპ-ის აჭარის რეგიონალურ ორგანიზაციასთან განხეთქილების შესახებ, რომელიც გიორგაძეს კაპიტალიზმსა და საქართველოს ხელისუფლებასთან კავშირში ადანაშაულებდა.

„აჭარაში ჩვენს პარტიაში 4500 კომუნისტი იყო, ხოლო ისინი, ვინც განხეთქილების შესახებ ყვირის, პროვოკატორების უმნიშვნელო ჯგუფია" - თქვა გიორგაძემ.

მისი თქმით, „ამ ჯგუფში შემავალი ყველა ადამიანი მაღალ თანამდებობაზე იმყოფება, ისინი საგადასახადო ინსპექციის თანამშრომლები და სკოლების დირექტორები არიან. მათ შექმნეს თავიანთი გაზეთი, სადაც ჩირქს სცხებენ სეკპ-ს, შემდეგ კი ეს ინფორმაცია სწრაფად ვრცელდება სეკპ-ის დაშლაში დაინტერესებული საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ". პანტელეიმონ გიორგაძე დაუკავშირდა სეკპ-ის რეგიონალური ორგანიზაციის ლიდერს, მურმან შავლიაშვილს, რომელმაც მას აცნობა, რომ მათ რიგებში განხეთქილება არ არის. პანტელეიმონ გიორგაძემ განაცხადა, რომ ბოლო დროს ყველა ხედავს, რომ კომუნისტები წინ მიიწევენ და ამიტომ ყველა ცდილობს მათ ცილი დასწამოს.

## თუ ევროპარლამენტმა გაიგო...

პატიმართა უფლებების დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასჯელის აღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის, გივი ყვარელაშვილის განკარგულებით საქართველოს კოლონიების კარები დაიკეტა.

დღეს საქართველოს პატიმართა თანამეგობრობის ორგანიზაციის პრეზიდენტი, ლალი აფციაური ზოგიერთ კოლონიაში შესვლას შეეცადა, მაგრამ მას ყველგან უარი უთხრეს და განუცხადეს, რომ კოლონიაში შესვლის უფლება მხოლოდ პროკურატურის წარმომადგენლებს, პარლამენტის დეპუტატებს და სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს აქვთ.

„არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში არ ხდება რომ ორგანიზაციამ, რომელიც პატიმართა უფლებების დაცვაზე ზრუნავს, ციხის კედლის გარეთ იმუშაოს" - თქვა აფციაურმა. აფციაური აპირებს სასჯელის აღსრულების დეპარტამენტის გადაწყვეტილების შესახებ აცნობოს გაეროს და ჰელსინკის ორგანიზაცია ჭატცჰ-ის წარმომადგენლებს, რომლებთან შეხვედრასაც ხვალ აპირებს.

როგორც ცნობილია, გივი ყვარელაშვილმა კოლონიებში შესვლის აკრძალვის განკარგულება გასცა ავჭალის კოლონიაში 7 მაისს მომხდარი მოვლენების შემდეგ, როცა იქ მყოფმა ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას 15-მა მომხრემ განაცხადა, რომ „სასჯელის აღსრულების დეპარტამენტი მათი და კრიმინალების დაპირისპირებას აპირებს".

„თუ ჩვენ უარს გვეუბნებიან კოლონიაში შესვლაზე, ალბათ, დეპარტამენტს აქვს რაიმე დასამალი, ამით კი დეპარტამენტის ხელმძღვანელობა პატიმრების უკმაყოფილებას გამოიწვევს" - თქვა აფციაურმა და დაამატა, რომ „თუ ევროპარლამენტში ამ მოვლენების შესახებ გაიგებენ, ძალიან საეჭვოა, რომ საქართველომ ამ ორგანიზაციაში შესვლა შეძლოს".

გაგრძელება. დასაწყისი „საქართველო“ №№ 30, 33, 34

# რა იმალება გულუას, ჭანტურიას, ხაბეიშვილის მკვლელობებისა და შევარდნაძეზე თავდასხმების მიღმა ანუ ვინ არის დამნაშავე და რა ვქნათ?..

*გამხდარი ქალი, ბიბლიური სახის ნაკვთებით,*
*ძლივს მიათრევს, ბარბაცით, მხარზე მოკიდებულ ფიჩხს,*
*რათა ცეცხლი დაანთოს, მოხარშოს მწირი კერძი,*
*კიდევ ერთხელ დააპუროს შვილები... და მოკვდეს.*

ეჟეზია მორო

თუ თვალს დავხუჭავთ იმაზე, რომ საქართველოს სათავეში უდგას სამხედრო გადატრიალების გზით მოსული ხელისუფლება, მოგვეჩვენება, რომ ქვეყანა თავისებურ „დემოკრატიის აყვავების“ მდგომარეობაშია. ტელევიზიას, რადიოს და გაზეთებს ცენზურა არ ჰყავს. ამ ბოლო ათწლეულთა მანძილზე საქართველოს არასდროს ასეთი თავისუფლება არ ჰღირსებია.

მაგრამ ეს ისეთი „დემოკრატიაა“, რომლის დროსაც გლეხის საშუალო წლიური შემოსავალი სულ რამდენიმე ათეულ დოლარს შეადგენს, ხოლო რაც შეეხება ქალაქელებს, როგორ უნდა გამოითვალოს მათი შემოსავალი, როდესაც ერთ მომუშავეზე ოცი-ოცდაათი, თუ მეტი არა, უმუშევარი მოდის?

თავის დროზე რუსომ აღნიშნა, რომ პოლიტიკური დემოკრატია შეუთავსებადია მეტისმეტად დიდ ქონებრივ უთანასწორობასთან. ორას წელზე მეტმა ჩაიარა და რუსეთის რევოლუცია გახდა საჭირო, რათა მსოფლიოს დაენახა, საით მივყავართ ამ უთანასწორობას. ამან აიძულა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნები, ცვლილებები შეეტანათ ეროვნული შემოსავლის განაწილების ტრადიციულად უსამართლო (მქონებელთა სასარგებლოდ მიმართულ) წესში, არსებითად შეემცირებინათ სოციალური უთანასწორობა და ფართოდ გაეშალათ მოქალაქეთა სოციალური დაცვის სისტემა.

იმ ხალხებს კი, რომლებიც კომუნისტური რეჟიმის უღელქვეშ მოყვნენ, ამ რევოლუციამ კაპიტალისტური ძალადობის გარდა ეკონომიკური ჩაგვრის საშინელებებიც მოუტანა. სამოცდაათზე მეტი წლის განმავლობაში ეს ხალხები განიცდიდნენ სისტემატურ ექსპროპრიაციებს, რომელთაგან უკანასკნელი ჩატარდა „პრივატიზაციის“ სახელით. ამ „პირატიზაციის“ შედეგად ჩვენი ხალხი სილატაკისა და უსწავლელობის უფსკრულში აღმოჩნდა. ამასთან, — ისე, როგორც ეს ყოველთვის ხდება, — ყველაზე მეტად გაძარცულები ყველაზე უპოვარნი აღმოჩნდნენ. იქამდე მივდივართ, რომ ჩვენი მოხუცებულები, ნაცვლად სიბერის წყნარი სიხარულისა, სიკვდილს ნატრობენ, როგორც მათ გარშემო არსებული საზარელი სინამდვილისაგან თავის დახსნას.



ამ საყოველთაო გაძარცვისა და მატერიალური საცოდაობის შედეგია ადამიანების ერთმანეთზე მისევა, სოციალური სტრუქტურის დაწვრილერთეულობა და იერარქიზაცია. საქართველო დაუფარავი მათხოვრობისა და ხალხის ბიოლოგიური გადარჩენა-ვერგადარჩენის ზღურბლზე აღმოჩნდა. რღვევას ამ ქვეყანაში (ან იმაში, რაც ამ ქვეყნისაგან დარჩა) შემზარავი მასშტაბი აქვს. ყველაფერი დარბეულია, ყველაფერი გაყიდული, ყველაფერი დატაცებული, ქართველი ხალხის ყველა შრე ამჟამად ეკონომიკურადაც, მორალურადაც და ინტელექტუალურადაც სრული დაშლის მდგომარეობაშია.

იმაზე, თუ რატომ მოხდა ეს, წინა პუბლიკაციებში გვქონდა ლდაპარაკი. ამჯერად ვისაუბროთ იმაზე, თუ როგორ მოხდა ეს. როგორ მოგვატყუეს? პირველ ყოვლისა, გავაცნობიეროთ, რომ ძველი რეჟიმი დამყარებული იყო ეგალიტარისტულ (თანასწორობის) იდეოლოგიაზე, რომელიც არ გულისხმობდა მმართველი ოლიგარქიების არსებობას, ყოველ შემთხვევაში — ისეთისას, რომლის სტატუსი და ფული მემკვიდრეობით გადაიცემა.

რეჟიმის ისტორიული ევოლუციის შედეგად ჯერ კიდევ ბრეჟნევის დროს მმართველი ელიტა, ფაქტობრივად, მემკვიდრეობითი ოლიგარქია გახდა. იდეოლოგია, რომელიც მის შესაძლებლობებსა და სურვილებს ზღუდავდა, მას მძიმე ტვირთად ექცა. მომწიფებულ ეკონომიკურ კრიზისთან ერთად, ამან თვით ამ იდეოლოგიის დამსხრევა განაპირობა.

რა შეიცვალა მას აქეთ, რაც შევარდნაძე და მისი თანამოსაქმენი სათავეში ედგნენ „საბჭოთა საქართველოს?“ მხოლოდ ერთი რამ: მაშინ ისინი მოურავეები (მმართველები) იყვნენ, ახლა კი მესაკუთრეებად დაბრუნდნენ. საკუთრება მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი იყო მათი ქონებისა, მათ მიერ ადრევე შეძენილი კორუფციის გზით. საკუთრების ძირითადი ნაწილი მათ „პრივატიზაციის“ სახით მოიპარეს.

საქართველოში ჩატარებულმა პრივატიზაციამ ზუსტად გაიმეორა რუსეთში ჩატარებული გაიდარ-ჩუბაისის რეცეპტი უნივერსალური აღმოჩნდა მთელი პოსტსაბჭოთა სივრცისთვის ბალტიის ქვეყნების გამოკლებით, სადაც კრიმინალური პარტნომენკლატურა თანამდებობიდან მოისროლეს. საქართველოს ყოველმა მოქალაქემ მიიღო „ვაუჩერად“ წოდებული გერბიანი ქაღალდი. ოფიციალური განცხადებებით, ვაუჩერის ღირებულება უნდა ყოფილიყო 30 დოლარი, სინამდვილეში კი მისი საბაზრო ფასი ქანაობდა 3 და 5 ლარს შორის, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელისუფლების მპყრობელებმა ქართველი ხალხის მთელი საკუთრება შეაფასეს 135 მილიონ დოლარად, რაც სინამდვილეში 10-20-ჯერ ნაკლებია, ვიდრე მხოლოდ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ღირებულება.

ზემოხსენებული ფარატინა ქაღალდების ღირებულება კი, როგორც ვთქვით, ერთი თანრიგით ნაკლები აღმოჩნდა (სულ — დაახლოებით 18 მილიარდი დოლარი). მაგრამ ეს საქმის ჯერ მხოლოდ ერთი ნაწილია. „ვაუჩერული პრივატიზაცია“ შეეხო ეკონომიკური ცხოვრების მხოლოდ ორ სფეროს: ვაჭრობისას და საყოფაცხოვრებო მომსახურებისას. საქართველოს ძირითადი სიმდიდრე, მისი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა „შემდეგისთვის“ იქნა დატოვებული, ფულადი პრივატიზაციისათვის. ამგვარად, ხალხის ქონება, რომელსაც ეს ხალხი საუკუნოობით ქმნიდა საკუთარი ხელით, გამოეცალა მას და სწორედ იმ კრიმინალურ-ნომენკლატურული წრის ხელში გადავიდა, რომელმაც ეს აფიორა ჩაატარა.

ზედმეტი არაა შევნიშნოთ, რომ „ვაუჩერული პრივატიზაციის“ დროსაც მათ ხალხს მისცეს ერთ პროცენტზე ნაკლები იმ საკუთრებისაც კი, რომელიც პრივატიზებულ იქნა (სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები), ხოლო დანარჩენი უსასყიდლოდ მიითვისეს ყოველგვარი სატრასტო და საჩეკო საინვესტიციო ფონდების, ჰოლდინგების და ა. შ. სახით.

**ვლადიმერ ხვედელიძე**

*გაგრძელება მომდევნო ნომერში*

# საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის განცხადება საქართველოში „სამხრეთ ოსეთის“ შექმნის გეგმისა და თბილისში რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ძასოხოვის ვიზიტის გამო

უკვე დიდი ხანია, საქართველოს პრეზიდენტი შევარდნაძე საჯაროდ აცხადებს პრინციპულ თანხმობას, რომ ცენტრალური საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში, დედაქალაქ თბილისიდან 60-150 კმ-ის მანძილზე შეიქმნას „სამხრეთ ოსეთად“ წოდებული ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეული, საქართველოში შემომავალი „რესპუბლიკის“, „ოლქის“ ან სხვა რამ სტატუსით. ამა წლის 12 მაისს თბილისში „ჩრდილოეთ ოსეთის“ პრეზიდენტ ძასოხოვის ვიზიტისას შევარდნაძემ საჯაროდვე დაადასტურა, რომ „სამხრეთ ოსეთისთვის“ „სტატუსის“ მიცემის გადაწყვეტილება მიღებულია და მოსალაპარაკებელი დარჩა მხოლოდ უფლებამოსილებათა განაწილება საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და ახალი ერთეულის ხელისუფლებას შორის. პრეზიდენტ შევარდნაძის პოზიციის სავსებით იგივეობრივია ეუთოს საქართველოს მისიის „რეკომენდაციები“. ოსი სეპარატისტებისათვის ზემოხსენებული დათმობა საქართველოს მხრიდან პრეზიდენტი შევარდნაძის მიერაც და ეუთოს მიერაც იმითაა მოტივირებული, რომ სხვა შემთხვევაში ოსი სეპარატისტები არ დასთანხმდებიან ცხინვალის რეგიონის ყოფნას საქართველოს შემადგენლობაში.

ამ გეგმასთან დაკავშირებით საქართველოს გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიას აუცილებლად მიაჩნია განაცხადოს შემდეგი:

1. საქართველოს პრეზიდენტის პოზიცია და ეუთოს მისიის პოზიცია არ შეესაბამება არც

ა) სამართლებრივ ნორმებს, კერძოდ, საერთაშორისოდ მიღებულ უფლებადაცვით დოკუმენტებში შესულ ნორმებს, რომლებიც ეროვნული (ეთნიკური) უმრავლესობებისა და უმცირესობების ურთიერთდამოკიდებულებებს ეხება, არც

ბ) ისტორიული სამართლიანობის პრინციპებს, სულ ახალი მოვლენების უგულებელყოფის ჩათვლით, არც

გ) თავის ტერიტორიაზე სახელმწიფოთა სუვერენობის პრინციპებს, რომლებიც გამორიცხავს მოცემული ქვეყნის შინაურ საქმეებში უცხო ქვეყნის (ქვეყნების) ჩარევის უფლებამოსილებას შეიარაღებული ზეწოლის, სეპარატისტულ მოძრაობათა პოლიტიკური და ფსიქოლოგიური სტიმულირების, მათი დაფინანსების, შეიარაღების, გაწვრთნისა და ორგანიზების ჩათვლით.

სახელდობრ:

ა) არც ერთი საერთაშორისოდ მიღებული უფლებადაცვითი დოკუმენტი არ მოითხოვს და არ გულისხმობს, რომ ეროვნულ (ეთნიკურ) უმცირესობას მოცემულ ქვეყანაში, მით უმეტეს, — ისეთ უმცირესობას, რომლის ერსაც (ეთნოსსაც) აქვს თავისი ეროვნული სახელმწიფოებრიობა ან სხვა რამ სტატუსის მქონე ეროვნული ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეული მოცემული სახელმწიფოს გარეთ, მიეცეს ტერიტორიული პოლიტიკური ერთეულის სტატუსი, მით უმეტს — ტერიტორიას ეწოდოს ამ უმცირესობის ეთნონომზე დამყარებული სახელი, იმ საფუძველზე, რომ ხსენებული ეროვნული (ეთნიკური) უმცირესობა მოცემულ ტერიტორიაზე ადგილობრივ უმრავლესობას შეადგენს. იურიდიული ვითარება (ანუ ზემოხსენებულ უფლებადაცვით დოკუმენტებში აღიარებული განსაზღვრა უფლებამოსილებებისა) რომ ასეთი ყოფილიყო, მაშინ ეუთო, როგორც ორგანიზაცია, რომელმაც 1992 წლიდან დღემდე დიდი ძალისხმევა მოახმარა ქართულ-ოსური კონფლიქტის შესწავლას, საფიქრებელია, თავისი მისიის რეკომენდაციებს კი არ დასჯერდებოდა, რაც მას არანაირ ოფიციალურ პასუხისმგებლობას არ აკისრებს, არამედ ოფიციალურად მიჰმართავდა საქართველოს ხელისუფლებას იმ ნორმათა შეხსენებით, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება დაარღვევდა ან ვერ გაითვალისწინებდა. პასუხისმგებლური დამოკიდებულება საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამ საკითხისადმი ეუთოს მხრიდან ის იქნებოდა, მას რომ ინტენსიური ინტელექტუალური და ორგანიზაციული ძალისხმევა მოეხდინა ზოგადმნიშვნელადი ნორმის შესამუშავებლად, ყველა ხელმომწერ სახელმწიფოსთან ერთად, ხსენებულ საკითხზე და მხოლოდ ამის შემდეგლა აელო თავის თავზე, თავისი მისიის საშუალებით, რეკომენდაციების მოცემა.

ის, რომ საქართველოში მაცხოვრებელი 160 ათასი ოსიდან ეუთოს მისიაც და საქართველოს პრეზიდენტიც მხედველობაში იღებენ მხოლოდ 60 ათასის, სახელდობრ, ცხინვალის ზონაში მაცხოვრებელი ოსების აზრს (თუნდაც დავუშვათ, რომ ეს 60 ათასი ყველა სეპარატისტია, რაც სრულებითაც არ შეესაბამება რეალობას), მაგრამ არ იღებენ მხედველობაში ამავე ზონაში მაცხოვრებელი 30 ათასი მკვიდრი (ავტოხთონური) ქართველის აზრს (რომლებიც ყველანი უკლებლივ „სამხრეთ ოსეთის“ შექმნის წინააღმდეგნი არიან) და ამ ზონის გარეთ მაცხოვრებელი 100 ათასი ოსის აზრს, მხოლოდ მათს უპასუხისმგებლობაზე მეტყველებს.

ბ) ოსი მოსახლეობა ცხინვალის რეგიონში, ანუ მტკვრის ოთხი შენაკადის ხეობათა ზემოწელებში, შემოსულია ძირითადად საბჭოთა პერიოდში, საქართველოში ხელოვნურად შექმნილი „ოსეთისათვის“, როგორც პოლიტიკური ერთეულისათივს, დემოგრაფიული საფუძვლის შექმნის ცნობიერი მიზნით, ან 1864 წელს ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, როგორც უყმებოდ დარჩენილი ქართველი მემამულეების მიერ მოწვეული სასოფლო-სამეურნეო ძალა. საქართველოში „ოსეთის“ შექმნა, რასაც არავითარი ისტორიული, გეოგრაფიული, სამართლებრივი ან ეკონომიკური საფუძველი არა აქვს, ნიშნავს თავისი საკუთარი ეთნიკური ტერიტორიის („ჩრდილოეთ ოსეთის“) მქონე და ამ ტერიტორიაზე რუსების მიერ ძალიან შევიწროებული ოსი ხალხისათვის მეორე ეთნიკური ტერიტორიის ჩუქებას საქართველოს ხარჯზე, რასაც დღევანდელ მსოფლიოში, ჯერჯერობით, პრეცენდენტი არა აქვს.

გ) არც 1992 წელს რუსეთისმ იერ საქართველოს დაპყრობისა და ანექსიისთანავე რუსი ოკუპანტების მიერ („კავკასიის რევკომის“ გადაწყვეტილებით) საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილ „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს“, რომელიც საქართველოს პირველმავე დემოკრატიულად არჩეულმა ხელისუფლებამ კანონიერად გააუქმა 1990 წლის 11 დეკემბერს, არც ოსი სეპარატისტების სახელით მას შემდეგ გამოცხედუბელ წარმონაქმნებს „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ ან სხვა რამ სახელით, არც ერთი წამი არ უარსებიათ ამავე ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის, სახელდობრ, რუსეთის შეიარაღებული ძალების დგომის გარეშე და დროდადრო — მათი შეიარაღებული მოქმედების გარეშე, თვით საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებშიც კი. 1991 წელს საქართველოს შინაგანი ჯარის პოზიციების რუსეთის სამხედრო შვეულმფრენების მიერ სარაკეტო დაბომბვის ჩათვლით. რუსეთის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები და უმაღლესი პასუხისმგებლობით აღჭურვილი პოლიტიკოსები არაერთხელ გამოთქ-

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## ნოდარ ნათაძე:
# რაც ვიცი

**ვიწყებთ მასალების ბეჭვდას ნოდარ ნათაძის მიერ მომზადებული წიგნიდან, რომელიც ეხება საქართველოს ამ ბოლო ათი წლის ამბებს. მასალები შეიცავს ფაქტებს, ანალიზს, შეფასებებს. ავტორის წინასიტყვა გამოქვეყნდა წინა ნომერში.**

### შესავალი

სანამ თვით ფაქტების თხრობას შევუდგებოდე, მინდა მოკლედ ვუთხრა მკითხველს, როგორ მესმის საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიის იმ მონაკვეთის საერთო მიმართულება, აზრი და რაგვარობა, რომლის ცალკეული ეპიზოდები თუ დეტალები ჩემს მხედველობის არეში მოხვდა. 1980-90-იანი წლების ამ მოვლენათა ლოგიკა და მექანიზმი, რომელთაც აღვწერ, მე ასე მესახება:

სტალინის სახელმწიფო, სსრკ, **ბრძოლაში** დამარცხდა მაშინ, როცა ჩინეთთან ერთად კორეის ომი წააგო (რის გამოც რუსეთისთვის საჭირო გახდა სტალინის მოკვლა და დათმობათა პოლიტიკის დაწყება), ხოლო **მეტოქეობაში** იგი დამარცხდა მაშინ, როცა მსოფლიოში ე. წ. „მეორე ინდუსტრიული რევოლუცია“ ანუ „მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია“ მოხდა, რომელსაც მონათმფლობელურ-ინდუსტრიული კაპიტალიზმის სისტემა, ანუ სოციალიზმი, და შრომის ორგანიზაციის სოციალისტური ფორმები ველარ მოერგო. მიუხედავად სსრკ ე. წ. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ზრდის კოლოსალური ინერციისა, რომელიც სტალინის შექმნილ სახელმწიფო წყობაში იყო ჩადებული, „ცივ ომში“ საბჭოთა კავშირის დამარცხების გარდუვალობა გონებრივი ზედაფენებისთვის ცნობილი იყო სამოციანი წლებიდან მაინც. და მასისთვისაც თანდათან აშკარა ხდებოდა განუწყვეტელ ეკონომიკურ მარცხთა ფონზე.

საბჭოთა კავშირის დამარცხება სოციალიზმის დამარცხებაც იყო და რუსეთისაც. უფრო ზუსტად — რუსეთისა მის მიერ არჩეული სოციალიზმითურთ, რომელიც მისთვის ყველაზე უფრო მორგებული გზა იყო. თავისი ეროვნული საგარეო-სამხედრო ზენიტის მიღწევისა პირად თავისუფლებაზე ხელის აღების ფასად. თავისი მთავარი მიზნისათვის — რუსეთის იმპერიული ინტერესების სამსახურისთვის — რუსეთის ელიტამ უყოყმანოდ დათმო უკვე გაცვეთილი საშუალება — სოციალიზმი და ამით მიღებულ „წუთშესვენებაში“ თავის ძველ სივრცეზე ბატონობის განმტკიცების ახალი მეთოდების ძებნა განაგრძო. მაგრამ საბჭოთა კავშირის იძულებითი „მოდერნიზაცია“ და ზემოდან რეგულირებული „დემოკრატიზაცია“ სსრკ სახელმწიფო წყობაში ჩადებული წინააღმდეგობის, სახელდობრ „ხალხთა საპყრობილისადმი“ წინააღმდეგობის ანუ ეროვნული წინააღმდეგობის ამუშავებასაც ნიშნავდა. ამ წინააღმდეგობამ იმუშავა კიდეც და სსრკ დაიშალა, მიუხედავად დასავლეთსა და რუსეთს შორის გავლენის ზონების არაოფიციალური განაწილების იმ ტრადიციული პრაქტიკისა, რომელსაც სსრკ-ს ლიდერები მეტ წონას ანიჭებდნენ, ვიდრე მას სინამდვილეში ჰქონდა. ის, რომ სსრკ დაიშალა, რუსეთის დამარცხება იყო და მის ამ დამარცხებაში ყოფილი სსრკ-ს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების, მათ შორის — ქართულის წვლილი დევს.

შეგვიძლია უდავოდ ჩავთვალოთ, რომ რუსეთს სსრკ-ს დაშლა არ უნდოდა, ხოლო თუ იგი მაინც მოხდებოდა, უნდოდა პროცესის რეგულირება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებში თავისი აგენტურის ჩანერგვით და სხვა საშუალებებით, რათა შემდეგ ახალი, მაგრამ ამჯერად დემოკრატიულ პროცედურაზე დამყარებული ლეგიტიმური იმპერიული სტრუქტურა შეექმნა. ამიტომაც რუსებმა, ერთის მხრივ, შევარდნაძისა და გორბაჩოვის მონაწილეობით „კბილებით“ იბრძოლეს საბჭოთა კავშირის შენარჩუნებისათვის. მეორე მხრივ, მათ დროულად დაიწყეს, ხატოვნად რომ ვთქვათ, თავდაცვის სათადარიგო ზღუდეების შენება იმ შემთხვევისათვის, თუ საბჭოთა კავშირის დათმობა მოუხდებოდათ. იმპერიის ამა თუ იმ ფორმით აღდგენის მცდელობა ახლაც გრძელდება. ბრძოლა მიმდინარეობს და ამ ცოცხალ პროცესში რუსეთისთვის სტრატეგიული პრიორიტეტია, რომ დამოუკიდებლობამოპოვებული ქვეყნების არა ცალკეულ სტრუქტურებში, არამედ სათავეში თავისი აგენტები იყოლიოს.

თქმულის კონტექსტში 1991-1992 წლების მოვლენები საქართველოში მე ასე მესახება: დასაკარგავად გამზადებულ ტერიტორიებზე თავისი ინტერესების დაცვის სცენარები რუსეთს საძებარი არ ჰქონდა. როცა ავლანეთიდან „რბილად“ გამოსვლის აუცილებლობა დაუდგათ. მათ ავლანეთში გარანტირებული შინაომის მდგომარეობა დატოვეს ანუ ძალთა ისეთი განლაგება შექმნეს, რომელშიც შეუძლებელი იყო სამოქალაქო ომის არდაწყება. საქართველოსათვისაც, ბუნებრივია, სათანადო სცენარი ჰქონდათ დამუშავებული (როგორც ერთ-ერთი ან ერთადერთი) და იგი განახორციელეს კიდეც. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველაზე გამოჩენილი პოპულარული ლიდერის — ზვიად გამსახურდიას მმართველობას რუსები იძულებით ურიგდებოდნენ მანამდე, სანამ ამ მონოპოლიური მმართველის სისუსტეები, რომლებსაც ისინი ზედმიწევნით იცნობდნენ, საკმარისი იყო, რათა გაგრძელებულიყო საქართველოს საერთაშორისო იზოლაცია, რომელიც რუსეთისვე საპროპაგანდო მანქანის დიდი მონაწილეობით იყო შექმნილი. მაგრამ მას შემდეგ, რაც 1991 წლის 1 დეკემბრის უკრაინის რეფერენდუმის შედეგად, რომელზედაც დამოუკიდებლობის იდეამ გაიმარჯვა, ცხადი გახდა (გორბაჩოვისა და შევარდნაძის წინააღმდეგობის მიუხედავად), რომ სსრკ-ს დაშლას ველარაფერი შეაკავებდა, და გადაწყდა სსრკ დაშლის გამოცხადება (რაც მოხდა კიდეც იმავე წლის 21 დეკემბერს), გამსახურდიას ადმინისტრაციის იგივე სისუსტეები, რომლებიც ჰყოფნიდა საქართველოს საერთაშორისო აღიარების შეფერხებას სსრკ-ს ოფიციალური არსებობის პირობებში, აღარ იკმარებდა ამ ამოცანისთვის მას შემდეგ, რაც სსრკ დაშლა გამოცხადდებოდა. ამიტომ იმპერიამ გადაწყვიტა, ეს ოპერაცია მანამდე მოეწყო. და ამ ოპერაციის მთავარ შემსრულებლად დიდად პრესტიჟიანი და პოპულარული, ამასთან — ავლანეთის დარეგულირებაში უშუალო და პირდაპირი გამოცდილების მქონე შევარდნაძე აირჩია. (მაინც არ გამოვრიცხავ, რომ ეს ახსნა რეალური ვითარების ერთობ გამარტივებულ სურათს იძლევა. სექტემბრის ორში, როცა შედგა ეროვნულ-დემოკრატების მიტინგი კინოს სახლთან და მას ესროლეს, შესაძლებელია, ზვიად გამსახურდიას დამხობის ან, როგორც მინიმუმი, საქართველოს უკიდურესი დესტაბილიზაციის გეგმა უკვე არსებობდა მოსკოვში, მაგრამ მხოლოდ როგორც ერთ-ერთი ვარიანტი (ამაზე ქვემოთ კიდევ მექნება ლაპარაკი). ნადავლიც (თანამდებობათა სახით) მის მონაწილე ქართველ სვავებს უკვე განაწილებული ჰქონდათ. სსრკ-ს დაშლა, როგორც შესაძლებლობა, უკვე გათვალისწინებული იყო. თუ ეს არ მოხდებოდა, გამსახურდიასთვის შესაძლებელია კიდევ დიდხანს არ ეხლოთ ხელი და ჩვენი ქვეყნის დესტაბილიზაციის ღონისძიებები შორიდან ემართათ. მაგრამ რაკი სსრკ დაშლა მოხდა, სცენარის მწვავე და სწრაფი ვარიანტი იქნა არჩეული.).

მკითხველს შევახსენებ ფაქტს, რომელიც, ჩემის აზრით, უდავოდ სუკის მიერ იყო განსაზღვრული: გამსახურდიას დამხობისთვის განკუთვნილი ოპერაციების სტარტი „მიტინგის“ სახით მაინცდამაინც 20 დეკემბერს დანიშნეს (ამაზე — ქვემოთ).




ჩემი ხედვით (რომლის საფუძველსაც ქვემოთ დავასახელებ) ამ ოპერაციის სადავეებიც ყველა შემთხვევაში (ლოგიკურად) შევარდნაძის ხელში უნდა ყოფილიყო თავმოყრილი (შევნიშნავ: ზემოგამოთქმული ვარაუდის საფუძველს, ობიექტურ ფაქტთა სახით, მაძლევს ორი გარემოება. პირველი: როდესაც რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გაშალეს გააფთრებული კამპანია გამსახურდიას მმართველობის გამოუვალი კრიზისის თაობაზე („ნა ხოლმი გრუზიი ლეგლა ნოჩნაია მგლა“ და ა. შ.), შევარდნაძე საჯაროდ აჰყვა ამ კამპანიას, განაცხადა რა, რომ საქართველოს დახმარება სჭირდება. მეორე: საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ მან დანაშაულებრივ სამხედრო გადატრიალებას „ხალხის ნების გამოხატულება“ უწოდა (თუ არ ვცდები, გამოთქმით „საერთო-სახალხო რევოლუცია“) და მის მონაწილეებს საჯაროდ მადლობა გადაუხადა (ვისი სახელით ან ვისი რწმუნებით?)). ამ პოლიტიკური ფიგურის აზრი და მნიშვნელობა მე ასე მესმის: იგი საქართველოში მმართველად ჩამოვიდა (და ამით თავისი მოქმედება დააგვირგვინა) იმ იმედის ფონზე, რომ ამიერკავკასიაში შესაძლებელია რუსეთის და დასავლეთის ინტერესთა შეხამება. (ეს ილუზია, რომლისგანაც პოლიტიკოსს სხვა ველარაფერი დაიცავს გარდა ისტორიის სიღრმისეულ ფაქტორთა ხედვისა, რაც მიმდინარე პოლიტიკის მხოლოდ „ყოველდღიურობაში“ ტრიალით ვერ მიიღწევა, გასაგები გახლავთ). მაგრამ შემდეგ, როცა აღმოჩნდა, რომ ამ ინტერესთა ჰარმონია არ არსებობს, მან ისევ თავისი ძველი პირადი პატრონის — რუსეთის — ინტერესთა დაცვა არჩია და დღესაც არჩევს ყველა იმ შემთხვევაში, როცა საქმე მხოლოდ რუსეთისა და საქართველოს გრძელვადიან ინტერესთა დაპირისპირებას ეხება. მაგრამ როცა საქმეში დასავლეთის ნებაც ერევა, ანუ როცა ამა თუ იმ საკითხზე დასავლეთის ცალსახად გამოთქმული ნებაც არსებობს, მაშინ ეს ნება იმპერატიულია შევარდნაძისათვის ისევე, როგორც რუსეთის დღევანდელი ლიდერებისათვის. ვინაიდან ასეთი მკაფიო ნება საკითხთა უმცირესობას ეხება, შევარდნაძეც, პრაქტიკულად, რუსეთის ნების შემსრულებლად რჩება. ასე რომ არავითარი წინააღმდეგობა არ არის, მაგალითად, იმაში, რომ ნავთსადენის განლაგების საკითხში შევარდნაძე დასავლური ინტერესების დამცველი უფროა, ვიდრე რუსეთისა, მაგრამ ცხინვალის სტატუსის საკითხში პირწმინდად რუსეთის იმპერიულ ინტერესებს იცავს.

❑❑❑

ეს შედარებით გამარტივებული სურათი ვითარებას მთელი სისრულით ვერ ასახავს. მას აკლია, მაგალითად, იმის ხსენება, რომ რუსეთისა და დასავლეთის ზემოხსენებული ურთიერთობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია ძალაში, თუ „ცივ ომში“ და მის შემდგომ მეტოქეობაში დამარცხებული რუსეთი ბირთვული იარაღის ხმარებას არ მოინდომებს. (ეს პრაქტიკულად საქმეს არ ცვლის, რადგან დასავლეთი თავის პოლიტიკას იმ ანგარიშით გეგმავდა და გეგმავს, რომ რუსეთი თვითმკვლელობაზე არ წავა); არც იმაზეა ზემოთ ლაპარაკი, რომ, რაც უნდა უცნაურად ჟღერდეს ეს, რუსეთში სოციალიზმის დაშლა თვით საბჭოთა პარტოკრატიის ულრმეს გულისწადილსაც შეესაბამებოდა: მათ მოსწყინდათ უკანონო ბატონობა თავის ქვეყანაში, სიმდიდრის მალვა და პროლეტარობანას თამაში, ამიტომ მითვისებულის ოფიციალური „პრივატიზაცია“ და თავისი მდგომარეობის ლეგალიზაცია მოინდომეს; თვით შევარდნაძის მოქმედებისთვისაც ზემოთ გამოთქმულისაგან განსხვავებული ახსნა არსებობს: მოსკოვში საყრდენის დაკარგვის მომლოდინეს, მას საქართველოს პირველკაცობა უნდოდა ისევ მოსკოვის დახმარებით და, რაკი პატიაშვილის წინააღმდეგ ამ დახმარებას ვერ მიიღებდა, შეეცადა, რომ მის ადგილზე, ახალ პირობათა შესაბამისად, რუსეთისთვის მასზე (შევარდნაძეზე) უფრო მეტად საძულველი „ქართველი ნაციონალისტი გამსახურდია“ მისულიყო. მაგრამ ამ თემას აქ არ ვაგრძელებ. იგი ამ წიგნის უკანასკნელ თავში გამომაქვს).

ასეთი გახლავთ, ძირითად ხაზებში, ამ წიგნში აღსაწერ მოვლენათა პოლიტიკური მხარის ჩემეული გაგება. ჩვენი კატასტროფის ფსიქოლოგიურ, მორალურ და სოციალურ მექანიზმებზე, როგორც უკვე ითქვა, ქვემოთ კიდევ არაერთხელ მექნება ლაპარაკი. მაგრამ მაინც მინდა თხრობას წინ წავუმძღვარო ერთი ზოგადი შენიშვნა, რომელიც, სამწუხაროდ, აქ აღწერილ ეპიზოდთა უმრავლესობას ეხება.

მთელი იმ სულმდაბლობის, გამყიდველობის, მონური მორჩილების, დაუნდობლობის, პათოლოგიური ანტიეროვნულობის, შურის, მძარცველობისა და კორუფციის ფონზე, რაც ამ წლებში ლაღად გაიშალა და გამოვლინდა ჩვენს ქვეყანაში ჭეშმარიტი გმირობისა და ამაღლებული მოქალაქეობრივი სულისკვეთების პარალელურად, ჩვენი ამჟამინდელი დამარცხების ერთ მთავარ მიზეზად მე ის მიმაჩნია, რომ ჩვენს პოლიტიკაში ჩაბმულ ადამიანებს არ აღმოაჩნდათ რიგითობის, ანუ დიდ პროცესებში რიგით ადამიანად და რიგით მებრძოლად ყოფნის **კულტურა**. როგორც კი დაინახავს, რომ თავისი უნარით ან დამსახურებით ორ სხვას გაუსწრო, ე. წ. პოლიტიკოსი (თუ იგი სუკის ჩარჩოებში იმთავითვე მოქცეული არაა) წამსვე ასკვნის, რომ წინამძღოლობისთვის ყოფილა მოწოდებული, და საქმეში რიგითი მონაწილის ფუნქციას თაკილობს (ნაცვლად იმისა, რომ თავისი უმაღლესი ღირსებაც და საქმის გამარჯვების საწინადრიც **მოვალეობის** მოხდაში დაინახოს, რაშიც ჯარისკაცი და მარშალი ერთნი არიან). ეს „წინამძღოლები“ სიხარულით ეძებენ ერთმანეთის ნაკლს და მათ შორის შური ისე ყვავის, რომ მის გარშემო ყველა სხვა სწრაფვა, გრძნობა თუ პასუხისმგებლობის შეგნება ჭკნება და დავიწყებას ეძლევა. ეს სიმახინჯე ბევრს ჩვენი ერის გენეტური თვისება ჰგონია. მე ასე არ მგონია, რადგან ეს უუნარობა საკუთარ თავში ისეთი ღირსების დანახვისა, რომელსაც სხვებისგან გამორჩევა არ ესაჭიროება, არ სჭირს საქართველოს ისტორიის ისეთ ცენტრალურ ფიგურას, როგორიც რიგითი კაცია, თუ გნებავთ — ქართველი გლეხია. (პირიქით, გამოთქმა „კაცი ვარ და ქუდი მხურავსო“, სწორედ რიგითი კაცის სიამაყის გამომხატველია). ზემოხსენებული პროვინციული სენი, რომელიც დღეს გვჭირს, მხოლოდ იმას მეტყველებს, რომ ადამიანებს არა აქვთ კერძო ამბიციებზე მაღლა მდგარი **საქმის** ცხოველი წარმოდგენა, რომელიც მის სამსახურში მყოფი ინდივიდების სხვადასხვა როლთა განსხვავებას უმნიშვნელოს ხდის. ცნობილია, რომ არმიის ხერხემალს სერჟანტები წარმოადგენენ — სერჟანტები, რომლებსაც, თუ გაჭირდა, ოცმეთაურობაც და ასმეთაურობაც შეუძლიათ, მაგრამ მაინც სერჟანტები არიან.

### თავი პირველი

ჩემი თაობის ელიტარულმა ნაწილმა თავისი ცხოვრება იმ შეგნებით გაატარა, რომ „ოდესმე“, „ადრე თუ გვიან“, „თუ საჭირო გახდა“ საქართველოს განთავისუფლებისათვის თავის დადებას შეძლებს. დარწმუნებული არავინ იყო, მაგრამ ყველას შესაძლებლად მიაჩნდა (ასე ითვლებოდა), რომ ეს პროცესი მის სიცოცხლეში დაიწყება. ამ ადამიანთა რეალური ფსიქოლოგია, ცხადია, ცოტა სხვა იყო, ვიდრე ეს ერთხელ შემუშავებული მეტნაკლებად მყარი ზოგადი გეგმა. რაკი ერთხელ გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ „ოდესმე“ ან „თუ საჭირო გახდა“ ასე მოიქცეოდა, ამის შემდეგ თვით სავსებით ღირსეული კაციც კი მეტნაკლებად მშვიდად ურიგდებოდა არსებულ სინამდვილეს და არხეინად მიჰყვებოდა დინებას, რადგან იმ საბედისწერო მოწოდების გაგონებას, „ადექ და თავი დადეო“, გულის სიღრმეში თავისი ცხოვრების მანძილზე არ მოელოდა. რა თქმა უნდა, გულგრილობა, ემოციური სისუსტე, სნობიზმი, ფარულ შურზე დამყარებული ირონია ეროვნული სულისკვეთებისადმი და სხვა ყველანაირი „გადახრები“, რომლებიც ამგვარ ფუნდამენტურ მსოფლმხედველობრივ სქემებს გარს აკრავს და მათს ბუნებრივ გარემოცვას ქმნის ყველა დროსა და საზოგადოებაში, ამ შემთხვევაშიც ადგილზე იყო. მაგრამ მათი სტატისტიკა არაფერს ცვლის თვით ამ ძირეულ სქემაში, რომელიც ვახსენე.

ეს ფსიქოლოგიური ფონი სტაბილური იყო. თანდათანობითი გაუფერულება-მოდუნებისაგან მას იცავდა მორიგი ეროვნული შეურაცხყოფით ან ხიფათით გამოწვეული კამპანიები, ეროვნულად მნიშვნელოვანი ფეხბურთის მატჩები, ათასში ერთხელ — 1956 წლის 9 მარტისთანა ან 1978 წლის 14 აპრილისთანა გამორჩეული ამბები და ა. შ.

ფაქტია, რომ საქართველოს განთავისუფლების პროცესი 1988-1991 წლებისა ქართველი ხალხის არა თუ უმრავლესობისათვის, არამედ თითქმის მთელი ხალხისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. თაობანი ადევნებდნენ თვალს „ბოროტების იმპერიის“ თანდათანობითი დაქვეითებისა და დაცემის ძალიან ნელ პროცესს და იმედოვნებდნენ, რომ ეს პროცესი სიჩქარეს აიკრეფდა. პროცესს რომ რაღაცა ეტაპზე გარდუვალად უნდა მოეტანა დაპირისპირება რუსეთთან, დაპირ-

(გაგრძელება მე-5 გვ.)

(მე-4 გვერდიდან)

# ნოდარ ნათაძე:
# რაც ვიცი

ისპირებას — შეტაკება, ხოლო შეტაკებას — მსხვერპლი, ესეც, რა თქმა უნდა, ყველას კარგად ესმოდა გონებით. მაგრამ რომ ეს შეიძლებოდა მომხდარიყო „აქ“ და „ან“, ანუ აი ამ კონკრეტულ მოცემულ მომენტში, და ცხოვრების მთელი ჩვეული გარემოს დარღვევის სახით, ამის მკაფიო განცდა არც მასას, არც ელიტას არ ჰქონდა. უფრო მეტიც, ის, რომ დანგრევადია მთელი ეს ჩვეული გარემო და რომ ახალ ვითარებასთან ადაპტაციის ამოცანა არა მხოლოდ სახელმწიფოსა და ერის წინაშე დადგება გარდუვალად, არამედ ყოველი ცალკეული ადამიანის წინაშეც, მე მგონია, არ გაიაზრებოდა როგორც პრობლემა, რომელიც მოქმედებას მოითხოვს. საერთო პერსპექტივა, — რომ ქვეითდებოდა და დანგრევისკენ მიდიოდა **საბჭოთა კავშირი**, ეს თითქოსდა ხელშეუხებელი გიგანტი, რომლის ულმობელი პრესის ქვეშ თაობები იყო გაზრდილი, ნაცხოვრები და ჩამკვდარი, თავისი სიდიადით ყველა სხვა კონკრეტულობას ჩრდილავდა და მოქალაქე ისე მონუსხული შეჰყურებდა ამ პროცესს, რომ აზრადაც არ მოსდიოდა მის მიმდინარეობაში ოდნავ მაინც ჩარევა.

აქ მინდა ხაზი გავუსვა და სახელდებით ვახსენო ერთი იმ ორ სრულებით დაუშვებელ სისუსტეთაგანი, რომელიც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ჰქონდა მთელი ამ წლების მანძილზე (მეორეს ქვემოთ ვახსენებ). ქუჩის ამოცანებისა და დარბაზის პროცესების მიღმა (რომელთა „აგორებასაც“ დღეები ჰყოფნის) საქართველოში არ იყო წინასწარ, წლების მანძილზე მომზადებული ეროვნული პოლიტიკური ორგანიზაცია ან ასეთი ორგანიზაციების სრულმასშტაბიანი მშენებლობის პრაქტიკა, რათა ქუჩისა და დარბაზის პროცესები ამ ორგანიზაციათა მეორე რანგის ლიდერებს ემართათ. მით უმეტეს, პოლიტიკურ ორგანიზაციათა მიღმა არ იყო მოქმედ (თუნდ ძალისმიერ) ორგანიზაციათა მშენებლობა, რომელთათვისაც პოლიტიკური პარტია და ქუჩისა და დარბაზის პროცესი მათი მოქმედების მხოლოდ კერძო ეპიზოდები იქნებოდა. ვერ ვიტყვი, რომ იმ დროს არავის



ჰქონოდეს მოფიქრებული თუ რა იყო საჭირო არსებული ქაობისებური სიმშვიდის პირობებში იმ მომავალი ერთი — თუმცა, ალბათ, ძალიან გრძელვადიანი — ბრძოლისათვის მოსამზადებლად, რომელსაც საქართველო უნდა ეხსნა. მოფიქრებული არა განყენებულად, არამედ იმ კონკრეტული არსებული ვითარების გათვალისწინებით, როცა ინიციატივა ჩანასახში ისპობა (და არა გამოჩენის შემდეგ), ანუ მაშინ, როცა თავის აწევას ავტომატურად მოსდევს ტყვია. ეს იყო (და არის კიდეც) ვიწრო (ან შედარებით ვიწრო) პროფესიული ორგანიზაციის შექმნა, რომლისთვისაც „სიმშვიდის პირობები“ და „მშვიდობის ეპოქა“ არ არსებობს, და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დანარჩენი — მასობრივი და ნახევრადმასობრივი — ფორმების ამ ფონზე და მხოლოდ იმ ფონზე გაშლა. მიუხედავად ამგვარი ფორმის შედარებითი დაუცველობისა მოწინააალმდეგის სპეცსამსახურთა მოქმედებისაგან (აგენტთა „ჩანერგვა“, პროვოკაციულ ფსევდო-ორგანიზაციათა შექმნა და სხვა), მე ეს ფორმა დღესაც მიზანშეწონილი მგონია. ისიც მოფიქრებული იყო, აქა-იქ, კონკრეტულად, რა უნდა ყოფილიყო ამგვარი ელიტური გაერთიანებების ორგანიზაციული საფუძველი: ეს იყო მათში ადამიანთა ურთიერთკავშირის განსაკუთრებული (პრინციპულად სხვა) სახე, რომელიც მათ მრავალი ზერელეობისგან დაიცავდა. ასეთი ორგანიზაცია უნდა შექმნილიყო (რათა სამოცდაათიანოთხმოციანი წლების ვითარებისა და მისგან აღმოცენებული მოვლენებისათვის კარგად მოესწრო) სტალინის სიკვდილიდან ათი-თხუთმეტი წლის შემდეგ მაინც, როცა ფაქტობრივად ყველაფერი ისევე იყო, როგორც მის სიცოცხლეში, მაგრამ მსოფლიო მასშტაბით რუსული იმპერიის დამარცხება და დიქტატურის ფონზე მისი შერბილების პერსპექტივის გამონათება უკვე ჩანდა.

***

ამგვარი ორგანიზაცია იმ დროს არ შეიქმნა და მე თუ იმ დროს მაცხოვრებელ თაობათა მთელ ელიტას დამნაშავედ ვთვლი იმაში, რაც მოხდა, მხედველობაში, პირველ ყოვლისა, სწორედ ესა მაქვს. რატომ არ შეიქმნა ერში, რომელშიც 1921 წლიდან დახვრეტისთვის შეგნებულად თავგანწირულ ორგანიზაციათა შექმნის პროცესი და, ამ გზით, საქართველოს ღირსების შენარჩუნებისათვის სისხლიანი საფასურის გაღება არ შემწყდარა, ასეთი ორგანიზაცია სწორედ იმ დროს, როცა ეს უკვე პრაქტიკულად პერსპექტიული იყო, ვერ ვიტყვი. ნაწილობრივ ეს, შესაძლოა, მჟავანაძისდროინდელმა ხრწნის სულისკვეთებამ განაპირობა, როცა ერს უხიფათო და უპრობლემო „მჭამელობის“ პირობები შეექმნა, ნაწილობრივ, შესაძლოა, იმპერიის ნგრევის „ობიექტური“ პროცესის ხედვამ, რომელიც, თითქოს, „ჩვენგან“ ჩარევას არ მოითხოვდა.

***

ყოველივე ამას აქ ახლა იმიტომ ვწერ, რომ მნიშვნელოვნად მიმაჩნია. ისეთი ელიტარული ორგანიზაცია (უფრო ზუსტად კი — ისეთი ელიტარული ორგანიზაციების პრაქტიკა), რომლისთვისაც არ არსებობს „მშვიდობის ეპოქა“, აუცილებელია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისთვის. პირდაპირ რომ ვთქვა: ამგვარი ორგანიზაცია ის ერთადერთი ფორმაა, რომელშიც სახიერდება ერის თავისუფლების ნება. ასეთი ორგანიზაციის ჩანასახიდან იშობა ეროვნული ინფორმაციისა და უშიშროების სამსახური, ეროვნული სტრატეგიული დაგეგმვის სამსახური, თვით ეროვნული შეიარაღებული ძალების უმაღლესი ბირთვიც კი. დღეს რომ საქართველოს სახელმწიფო — თუ არ ჩავთვლით კომუნისტური ეპოქისაგან მემკვიდრეობით მიღებულ არასანდო ან არა ბოლომდე სანდო ელემენტს — პროფესიულად პირლიაა ყველა ამ სფეროში, ეს ამ ელიტარული ფორმის თავის დროზე ვერგამოყენების ან არგამოყენების პირდაპირი შედეგი გახლავთ. მე არ ვარ დარწმუნებული (და არცა მგონია), რომ ამგვარი ორგანიზაციის შექმნა სსრკ მოკავშირე რესპუბლიკების სხვა ერებმა შეძლეს (შესაძლოა, ბალტიისპირელების გარდა და თურქულენოვანი ერების გარდა, რომელთაც გარეთ საიმედო საყრდენი ჰქონდათ, მაგრამ რამდენადაც ვიცი (და ეს სავსებით ბუნებრივია), ასეთი პრაქტიკა ჰქონდა სიონისტურ მოძრაობას დიდი ხნით ადრე მანამდე, სანამ ისრაელის სახელმწიფო შეიქმნებოდა, და სწორედ ამან განაპირობა ამ სახელმწიფოს ღირსშესანიშნავი წარმატებები არაერთ შესაბამის სფეროში. საკითხის სინათლისთვის შევნიშნავ, რომ ამგვარი ორგანიზაციების შექმნა არც სტალინის ეპოქაში და არც, ფაქტობრივად, კარგა ხნის მანძილზე მის შემდეგ არ ნიშნავდა ყოველი მათგანისათვის ან თუნდაც რომელიმე მათგანისათვის პერსპექტივის „გამარჯვება სიცოცხლის ფასად“ განხორციელების შესაძლებლობას. ვინც ამას ფიქრობს, იმას არ წარმოუდგენია, რა იყო თავისი სტრუქტურის პრინციპითვე სსრკ და მისი რეპრესიული აპარატი. ამ ორგანიზაციათა შექმნა ნიშნავდა ყველა მათგანის დაღუპვას — წამებით და უჩინარად ან თითქმის უჩინარად — და ამგვარი ორგანიზაციებისაგან მხოლოდ მათი არსებობის პრაქტიკის, როგორც ასეთის, გადარჩენას და გაგრძელებას, მაგრამ არა მათგან შემთხვევით ნამსხვრევებად გადარჩენილ და მიმობნეულ ადამიანთა სახით, რომლებიც ახალ პირობებში ახალი ასეთი ორგანიზაციების თესლი გახდებოდნენ, არამედ მხოლოდ სხვათა, ახალთა სახით, რომელთაც ამ პირველთაგან სხვა ვერაფერი გადაეცემოდათ გარდა იმ ფაქტის ცოდნისა, რომ ასეთები არსებობდნენ.

თქმული, რასაკვირველია, მხოლოდ გონების ელიტასა და სულის ელიტას ეხება (ეს ორი სხვადასხვა ელიტა გახლავთ და არა ერთი, თუმცა მათი ურთიერთგადაკვეთის არეალი დიდია). ფართო მასის განწყობილებას თავისი კანონები და განვითარების თავისი გზა და ტემპი ჰქონდა. ქართველი ერის მასაში ეროვნული საშიშროების განცდაც და ეროვნული სიმწარეც, შეიძლება ითქვას, ცხოველი იყო და აქა-იქ, — შემთხვევით და სპორადულად — თავის წამიერ გამოხატულებას პოულობდა. ასეთი იყო, როგორც უკვე ვთქვი, სპორტული გელშემატკივრობა, 9 მარტის აქციათა ეპოპეა (1954-1956 წლები), ბენი გუდმენის ჯაზისთვის სტვენა სპორტის სასახლეში, როცა მან „კატუშას“ შესრულებით მოინდომა აუდიტორიის სიამოვნება, და უამრავი სხვა ეპიზოდები. ამ მდგომარეობას თავისი ერთი უჩინარი ფაქტორიც ჰქონდა, რომელიც იმდენად ბუნებრივი ჩანდა, რომ მას, უბრალოდ, ვერ ამჩნევდნენ. იმ დროს საყოველდღეო ოფიციალური კურსი იყო „საქართველოს სსრ“ სახელის ქვეშ მდგომი ერთეულის სახელმწიფოებრიობრის განმტკიცება (რათა ეს სახელმწიფოებრიობა მისი აპარატითურთ ერის მომავალი ნიველირებისათვის გამოეყენებინათ) და ქართველი ერის, როგორც დიდი ისტორიისა და კულტურის პატრონი ერის, ოფიციალური აღიარება (რაც ულოგიკოდ, მაგრამ ძალიან კარგად ეთანხმებოდა ოფიციალურ დონეზე ერთა მოსპობის ძირითად სამომავლო კურსს). ამ პოლიტიკის წყალობით ფართო მასას ჰქონდა ის მინიმალური ამოსავალი ინფორმაცია, რომელიც საზრდოდ სჭირდება ცხოველ ეროვნულ თვითცნობიერებას. თორემ ეს პოლიტიკა რომ არ ყოფილიყო, ადვილი შესაძლებელია, მასა ამ პირველადი ინფორმაციისაგანაც მოწყვეტილი ყოფილიყო, როგორც წინა საუკუნეში დარჩა. ეს კურსი საქართველოში, არსებითად, ბერიას დროს შემოღებული იყო, რომელიც ი. ჯავახიშვილს მოეფერა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია გახსნა, არქეოლოგიური გათხრები დააფინანსა და ა. შ.



(ანალოგიური კურსი ტარდებოდა სხვა „მოკავშირე“ რესპუბლიკებშიც). მისი წინამორბედნი ორჯონიკიძისა და მის მსგავსთა სახით სხვა კურსს ადგენენ და ამიტომაა, რომ ზოგი სერიოზული ისტორიკოსი ფიქრობს, ბერიამ რომ ამათ 1937 წელს თავები წააწყვიტა, ამით საქართველოს შეუდარებლად უარესი ხიფათი მოაშორაო. ამას იმიტომ ვახსენებ, რომ საქართველოს ნაკომუნისტარი თუ კომუნისტური ხელისუფლების დღევანდელი კურსი — ხელისუფლებისა, რომელიც „ჰუმანიზმის“ მხრივ ბერიასდროინდელისაგან არსებითად არ განსხვავდება — ორჯონიკიძისასთან უფრო ახლოა, ვიდრე ბერიასდროინდელთან და შემდეგდროინდელთან, და არასოდეს უნდა დაგვავიწყდეს, რომ არც ეროვნული ცნობიერების დაცვისთვის საჭირო ინფორმაციული მინიმუმის ქონა მასის მიერ, არც, მით უმეტეს, საქართველოში სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისაკენ მიმართული ცნობიერების დაცვისათვის საჭირო ინფორმაციული მინიმუმის ქონა მასის მიერ, არ არის თავისთავად გარანტირებული რამ. ეს ძლიერი იარაღია, რომელსაც ზრუნვა (ან მოპოვება), დაცვა და ყურადღების მუდმივი მიპყრობა სჭირდება.

მინდა მოკლედ დავახასიათო პოლიტიკური ანტიიმპერიული (ე. წ. „ანტისაბჭოთა“) აქტიურობის ის საერთო ფონი, რომელზედაც გაჩნდა, განვითარდა და დაგვირგვინდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი — დისიდენტობისდროინდელი და დისიდენტობის შემდგომი — ეტაპი. ესეც მნიშვნელოვნად მიმაჩნია, ვინაიდან ამ საქმის ძირითადი პარამეტრები — მოქალაქეობრივი და მამულიშვილური მოვალობის მოხდის ზომა, ერთის მხრივ, და საფრთხეში თავის ჩაგდების ზომა, მეორეს მხრივ, — ისეთი რამაა, რაც ეპოქის ე. წ. „ამინდის“ ძირითად ელემენტებს შეადგენს, ანუ ის, რაშიც ადამიანები ერთმანეთს „უყურებენ“, ერთმანეთზე გავლენას ახდენენ, ერთობლივ „ნორმებს“ ადგენენ უსიტყვოდ და ერთმანეთს ეჯიბრებიან.

ის, რაც ზემოთ ვთქვი სტალინისდროინდელი და შემდეგ დროშიც ერთხანს ინერციით დარჩენილი რეჟიმის ქმედითობის შესახებ, არანაირ გაზვიადებას არ შეიცავს. მაგრამ — მიუხედავად ყოველივე ამისა — საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა მაინც გრძელდებოდა აბსოლუტურად ყრუ უპერსპექტივობის პირობებშიც. ვერ ჩამოვთვლი ყველა იმ ჯგუფს (და არც ვიცი, ალბათ, ყველას მეათედი პროცენტიც), ვინც უეჭვოდ და უყოყმანოდ განწირულ ბრძოლას ეწეოდა რუსული იმპერიის წინააღმდეგ და იმ სისხლიან ხარკს შეადგენდა თავისი სიცოცხლით, რომელსაც საქართველო ისდიდა ათწლეულების მანძილზე თავისი თვითობისა და საკუთარი თავისადმი პატივისცემის შენარჩუნებისთვის. ჩემს ბავშვობაში მახსოვს მუსტაფა შელია, ისიც — მხოლოდ ნაამბობით, რადგან დედაჩემმა გამახსენა ერთხელ, უკვე მისი დაღუპვიდან დიდი ხნის შემდეგ: „რომელია, იცი? აი, ამა და ამ სახლთან რომ ბიჭი იდგა ხოლმე“ (გალის ქუჩისა და გოგებაშვილის კუთხეში, სადაც ერთი ჩვენი ნაცნობი ცხოვრობდა). ომის დროს დახვრიტეს ქართველი ახალგაზრდების დიდი ჯგუფი, რომელიც კონტაქტის დამყარებას ცდილობდა გერმანელებთან მათი მოსვლის შემთხვევაში საქართველოს ბედზე მოლაპარაკების მიზნით. ცოტათი გაასწრო ჩემ თაობას გრიგოლ კოსტავას (მერაბ კოსტავას ბიძის) ჯგუფმა, რომელიც 1946 წელს დააპატიმრეს (ჩემი თაობა მაშინ 17 წლისა იყო), კიდევ უფრო ნაკლებით — ალეკო მელაძის ჯგუფმა უნივერსიტეტში (ისინი ორი წლით იყვნენ უნივერსიტეტში ჩვენზე წინ) და მათ პარალელურად — სხვა ჯგუფმა რუსულ ფილოლოგიურზე, რომლიდანაც შემდეგში — უკვე „რეაბილიტაციისა“ და დაბრუნების მერე — შურა ციბულევსკის ვიცნობდი. ეს ჰუმორით სავსე უფაქიზესი ადამიანი ოტო პაჭკორიამ გამაცნო თავის დაბადების დღეზე 5 იანვარს „ვოტ ევრეი, კოტორი პოსტრადალ ზა ნეზავისიმოსტ გრუზიი.“ შემდეგში საუკეთესო ურთიერთობა გვქონდა და ერთხელ ფშავშიც ერთად ვიყავით, სადაც შურამ თავისი დახვეწილი ფოტოხელოვნებისთვის სასურველი ასპარეზი ნახა. ალეკო მელაძის ჯგუფიდან ვიცნობდი რამდენსამე კაცს, ამათში კარგად — სამს: თენგიზ ზალდასტანიშვილს, გივი მაღულარიას და ოტო პაჭკორიას. თენგიზი რაინდი კაცი იყო ამ სიტყვის უსრულესი აზრით (მან ჩემი სკოლა დაამთავრა და უნივერსიტეტში ინგლისურზე სწავლობდა). გივი მაღულარია ცნობილი მწერალი გახდა ცენზურული პრესის შესუსტებისთანავე, მაგრამ მის „უკუქცევას“ (რომელიც, ჩემის აზრით, სოლჟენიცინის ამავე თემაზე დაწერილ „ივან დენისოვიჩზე“ შეუდარებლად მხატვრულია) ვიწრო წრე მანამდისაც იცნობდა. ოტო იყო თვალში საცემად მამაცი კაცი არა მხოლოდ მაშინ, არამედ შემდეგაც, როცა პატიმრობიდან დაბრუნდა და ლიტერატურულ ცხოვრებაში ჩაერთო (იგი კრიტიკოსი იყო) — მამაცი და იშვიათად მდიდარი მრავალმხრივი ბუნების მქონე, რაც ადამიანის თუ ყველაზე საპატიო არა, ყველაზე მომხიბლავი და მიმზიდველი თვისება მაინც არის. პატიმრობაში რომ წავიდა (წავიდა ვაჟკაცურად და წარბშეუხრელად, თუმცა წინა დღეებში ჯგუფის დიდი ნაწილი უკვე დაჭერილი ჰყავდათ), გადაგლესილი ქოჩორი ჰქონდა, რომელსაც თვალის ჩინივით უვლიდა. რომ ჩამოვიდა, იყო აბსოლუტურად მელოტი. ოტია კრიტიკოსობაში დაერქვა, თორემ ნამდვილი სახელი ოტო ჰქონდა (მისი სიტყვით, გერმანოფილი ბიძის შერქმეული). კრიტიკოსად ფასობდა, მაგრამ ტემპერამენტი არ აძლევდა საშუალებას, მხოლოდ კალამს დასჯერებოდა („რა ვქნა, ისიც მინდა და ისიც“). ერთხელაც იყო, რესტორანში მღელვარე ეპიზოდში ჩაება ნასვამი და ფიზიკური დატვირთვა გულმა ვერ აიტანა — მაშინ მიღებულმა ინფარქტმა რამდენიმე წლის შემდეგ იმსხვერპლა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# ხელისუფალთა პოზიცია ბუნდოვანია, ანუ ვის არ აძლევს ხელს ინდუსტრიის მოდერნიზაცია?

ბოლო დროს სახელმწიფო ქონების პრივატიზაციისას არაერთი დაშვებული შეცდომის შესახებ პრესაში მრავალი წერილი გამოქვეყნდა. ეს პრობლემა ჩვენი საზოგადოებისთვის მართლაც მტკივნეულია. ამიტომაც იყო, რომ პარლამენტსა და მასმედიაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია 1 ლარად რუსთავის ელექტროლიზებული მანგანუმის ორჟანგის ქარხნის გაყიდვამ. შეიქმნა აზრი, თითქოს გავლენიანი პირები გროშებად ხელთ იგდებდნენ ძვირადღირებულ სახელმწიფო ქონებას.



უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად 1998 წლის 6 თებერვალს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ გამოაცხადა კომერციული კონკურსი ქარხნის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100 პროცენტიანი წილის სიმბოლური საწყისი ფასით გასაყიდად, ტენდერში გამარჯვებულმა აშშ „ჯორჯია ინჟინირინგმა“ კი საკუთარი ინიციატივით სახელმწიფო ხაზინაში 10 ათასი დოლარი შეიტანა. მიუხედავად ამისა, პარლამენტში განგაში ატყდა, რომ 10 დოლარად გაიყიდა 300 ათასიანი ქონება. სინამდვილეში კი ეს თანხა ქარხნის დაროვილ ვალს შეადგენდა, ვინაიდან წლობით გაჩერებულმა საწარმომ სახელმწიფოს დიდი ზარალი მოუტანა. ქარხნის ახალმა მფლობელმა სერიოზული პასუხისმგებლობა აიღო: 2 წელიწადში უნდა მოიზიდოს 2 მილიონი დოლარის ინვესტიცია, ხოლო 5 წელიწადში 10 მილიონი დოლარის დაბანდება შესძლოს. თუ ეს პროგრამა ვერ განხორციელდა, ფირმა ქარხანაზე უფლებამოსილებას კარგავს.

პრესაში არსებული ინფორმაციით ქარხანა ნათესაურ-კლანური ძალების ხელში თანამდებობრივი ძალაუფლების გამოყენებით აღმოჩნდა. სინამდვილეში კი მისი მფლობელია „ჯორჯია ინჟინირინგი“, რომელიც 1994 წელს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერ-თანამშრომლებმა შექმნეს. მათთან საუბრისას გაირკვა, რომ ისინი მხოლოდ ქარხნის ამუშავებით არიან დაინტერესებულნი, ვინაიდან წლობით ნალვაწის დაკარგვის საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ.

ამასთანავე, „ჯორჯია ინჟინირინგის“ პატრნიორი არა გერმანული ფირმაა, არამედ ამერიკული გიგანტი „ენრეკა“, რომელიც აშშ-ს ტერიტორიის 97 პროცენტს უზრუნველყოფს ელექტროენერგიით. მათ უნდა განახორციელონ საქართველოს მდგრადი ელექტრომომარაგების პროგრამა. ამის შესახებ კომპანიის პრეზიდენტმა ჯ. დერნილმა განუცხადა ზ. ჟვანიას მისი ვაშინგტონში ვიზიტის დროს.

ჩვენ იუსტიციის სამინისტროში შევამოწმეთ ბატონ თამაზ აგლაძის მინისტრად მუშაობისას „ჯორჯია ინჟინირინგის“ მართვის უფლებამოსილების საკითხი. ამჟამად, ფირმის ხელმძღვანელობა სხვა პირზეა გადაცემული. ამდენად მას უშუალო სამეწარმეო საქმიანობა შეწყვეტილი აქვს და ქარხნის პრივატიზაციისას იგი კანონთან სრულ შესაბამისობაში იმყოფება. ეს ფირმა კომერციული სტრუქტურაა და მრეწველობის სამინისტროს დაქვემდებარებაში არ შედის.

პრესაში ისიც დაიწერა, რომ ქარხნის კოლექტივი ახალ მეპატრონეთა წინააღმდეგ გამოვიდა და „ქიმკომბინატის“ ადრინდელ სტრუქტურაში დაბრუნებას ითხოვდა. კოლექტივის წევრებთან საუბრისას გაირკვა, რომ ხელფასების დარიგება მართლაც დაგვიანდა, მაგრამ რადიკალური ზომებისთვის არ მიუმართავთ. დირექტორმა ირაკლი კანდელაკმა კი გვითხრა: „ქარხნის დღევანდელი ვითარება სხვა საწარმოთა იდენტურია, მაგრამ მსგავსი ხელოვნური დაპირისპირების შექმნა არსად უცდიათ. მიუხედავად ამისა, საწარმოს ინტერესებს ვიცავთ და ხელფასებიც გავეცით. საწყობში გვაქვს 500 ტონა პროდუქცია, რომლის რეალიზაციისთვის მიმდინარეობს მოლაპარაკებები ირანთან. ეს გარკვეულ ძალებს არ აწყობთ და ჩვენი საზოგადოებრივი იმიჯის შელახვას ცდილობენ“.

მთელი ეს აჟიოტაჟი პრივატიზაციაში ეროვნული კომპანიების მონაწილეობის წინააღმდეგ მიმართულ აქციას სხვა მხრივაც გვაგონებს. ამ 8 თვის წინ, მრეწველობის მინისტრად თამაზ აგლაძის დანიშვნას დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი. მათივე თქმით, თანამდებობაზე დიდი პროფესიონალი მოდიოდა, როცა დაიწყო სამინისტროს სტრუქტურული ცვლილებები და საფუძველი მომზადდა მოდერნიზებული ინდუსტრიის შესაქმნელად, იგივე პარლამენტში განგაში ატყდა. ამდენად, ხელისუფლების პოზიცია ბუნდოვანია და გარკვევას საჭიროებს, თუ ვის რა პოლიტიკური თუ კერძო ეკონომიკური ინტერესი ამოძრავებს.

**გუგაზ მეგრელიძე**

# დილმელების გასაჭირი და ნაბახუსევი გამგებელი

16 მაისს სოფელ დილმის მცხოვრებლებმა ცენტრალურ საგზაო მაგისტრალზე პიკეტი მოაწყვეს. მიზეზი ერთი კვირის განმავლობაში ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა იყო. მიუხედავად კოკისპირული წვიმისა, ხალხი დაშლას არ აპირებდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსახლეობის 87%-ს ელექტროენერგიის დავალიანება მთლიანად გადახდილი აქვთ. ბუნებრივია ხალხის აღელვება. დღევანდელ პირობებში მსგავსი შემთხვევებით ვერავის გააკვირვებ, მაგრამ შემთხვევის ადგილზე მისულებმა საკმაოდ უცნაური სურათი ვიხილეთ — თუმცა, ამაზე ცოტა მოგვიანებით. ელექტროენერგია ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს, მაგრამ ბოლო წლებში იგი ფუფუნების საგანს უფრო წარმოადგენს, ვიდრე აუცილებელი მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებას.

პიკეტის დაწყებიდან დაახლოებით 7-8 წუთის შემდეგ ქალაქის ოპერატიულად მომუშავე პოლიციის მთავარი სამმართველოს ოპერატიული შეფიც მობრძანდა. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება შეფი ძალიან გაგვინაწყენდეს, ალბათ ნაკლებად საინტერესო არ იქნება ის ფაქტიც, რომ ბატონი სოსო ალავიძე „ქურდული ბაზრის“ საკმაოდ დიდი დიდოსტატი ყოფილა. აფსუს, რომ არა ეს დაწყევლილი ფორმა, ქურდულ სამყაროს კიდევ ერთი ქურდული ტრადიციების მიმდევარი შეემატებოდა. ბუნებრივია წვიმისაგან შეწუხებული შეფი უპირველეს ყოვლისა, პიკეტის დაშლით იყო დაინტერესებული და კომენტარზე უარი გვითხრა, „მე ჯერ სიტუაციას ვუყურებ“ — ასეთი ფრაზით გაგვისტუმრა მან.

მოგვიანებით, სოფელ დილმის ნაბახუსევი პატრიოტი გამგებელი მოვიდა, რომელიც ძალიან შეწუხებული ეხვეწებოდა ხალხს, რომ დაშლილიყვნენ. თუმცა, თუ ქართულ ადათსა და სმა-ჭამის მოყვარულობას გავითვალისწინებთ, არც გამგებელი უნდა იყოს ურიგო ქართველი. ნეტავ იმას, ვისაც აქვს ბედნიერება ასეთ მამულიშვილებთან ჰქონდეს ურთიერთობა.

დიდი დავიდარაბის შემდეგ, სოფელ დილმის მოსახლეობამ ელექტროენერგია მიიღო. ვერავინ აგვიხსნა, თუ სოფელს დავალიანება ჰქონდა, ასე უცებ თანხა ვის უნდა გადაეხადა.

იქიდან წამოსულს ერთი საკმაოდ გახმაურებული ქუთაისური ანეკდოტი გამახსენდა. რამდენად არაბუნებრივადაც არ უნდა მოგეჩვენოთ ჩემი საქციელი, საიდუმლოდ იმასაც გეტყვით, რომ ამის შემდეგ სიცილისაგან მოჭარბებული ცრემლები ველარ შევიკავე — დაინტერესდით რა გამახსენდა? ალბათ, სოფელ დილმის ბავშვები შუქის ჩართვის დროს ლოგინის ქვეშ დაიმალებოდნენ ან საკმაოდ გაოცებულები იტყოდნენ: დედიკო, დედიკო, ეს როგორი შუქია?

შეგვინდეთ მცირე ლირიკული გადახვევა, მაგრამ საინტერესოა, ქუთაისელებს საიდან აქვთ ამდენი წინასწარმეტყველების უნარი, რომ დილმელების გასაჭირს 3 წლით ადრე მიხვდნენ.

ისე, ხალხს რა ვუთხარი, თორემ წვიმაში პიკეტის დაშლას, სოფლის ნაბახუსევი გამგებელი და პოლიციის შეფი ალბათ, სადმე რესტორანში ქეიფს ამჯობინებდნენ.

**ნათია ჟანტურია**

# სათქმელს ბოლომდე ვიტყვი...

„საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველები 23 აპრილს გამოქვეყნებულ ჩემს წერილში უკვე გაეცნენ იმ უკულმართობებს, რასაც საერთოდ სამეცნიერო აკადემიის სისტემაში ჰქონდა ადგილი გრანტების განაწილებისას. აქვე გამოქვეყნდა ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს პასუხი. მკითხველებმა შეიძლება იფიქრონ, რომ ჩემი პროტესტი მხოლოდ საინსტიტუტო საბჭოს მიმართაა გამოთქმული მაშინ, როდესაც ბევრად უფრო მეტად მე აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება (აკადემიკოს-მდივანი გურამ თევზაძე) და უფრო მაღალი ინსტანცია-პრეზიდიუმი მქონდა მხედველობაში. სარჩელიც საინსტიტუტო საბჭოს წინააღმდეგ კი არ შემიტანია, როგორც ეს არის აღნიშნული გაზეთის კორესპონდენტის მიერ, არამედ აკადემიის პრეზიდიუმის წინააღმდეგ.



წერილში ვწერდი: „ისტორიისა და ეთნოგრაფიის საინსტიტუტო საბჭოს, ჩემდამი მტრულად განწყობილ წევრთა მცდელობის მიუხედავად, მთლიანობაში მაინც ეყო საღი აზრი და, როგორც აღვნიშნე, მან ხმა მისცა ჩვენეულ პროექტს“. აქედან გამომდინარე, ცხადია, ჩემი პირადული პრეტენზიები მას ნაკლებად ეხება. ვიმეორებ, ეხება იგი აკადემიის პრეზიდიუმსა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას. რამდენადაც ვიცი, ჩემს წერილს გაეცნენ აღნიშნულ ინსტანციებში, მაგრამ პასუხს თავი აარიდეს. ისე, რასაკვირველია, ძალიან მაინტერესებდა და მკითხველთათვისაც დიდად საინტერესო უნდა იყოს მათი პასუხი. ამა წლის 10 მარტს, სამი წლის დაჟინებული მცდელობის შედეგად, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში მივაღწიე იმას, რომ წამეკითხა მოხსენება „ქართული ისტორიოგრაფიის დღევანდელი მდგომარეობა და პერსპექტივები“. მოხსენების დასასრულს განყოფილების წევრებს სამჯერ გავუმეორე კითხვა: „მიმაჩნია, რომ შემიძლია საქართველოს ისტორიის ორტომეულის დაწერა და რატომ მიშლით ხელს მის დაწერაში?“ რა თქმა უნდა, არც ერთ წევრთაგანს ხმა არ ამოუღია. დარწმუნებული ვარ იმავე კითხვის პასუხად ასევე მოიქცევიან პრეზიდიუმის წევრებიც. ჩემს სასამართლო სარჩელთან დაკავშირებით აკად. გურამ თევზაძის მიერ მოცემულ ცნობაში აღნიშნულია, რომ შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების გამოისობით გრანტის მიღების მსურველთა ყველა კანდიდატს იგი ვერ მიეცემოდა. გამოდის, რომ აკად. გურამ თევზაძის აზრით, გრანტის მიღებისათვის მთლად უღირსი როდი ვყოფილვარ (დიდი მადლობა!), მაგრამ, პირად საუბარში, ჩემს მიერ მისი ვერმიღების მთავარ მიზეზად განყოფილების წევრთა ფარული კენჭისყრა დამისახელა. ასევე მოიქცა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკად. ანდრია აფაქიძე. მაგრამ, ალბათ დამეთანხმებით, ამ მიზეზის მოტანა დიდი არაფრის მომცემია და სრულიადაც ვერ დააკმაყოფილებს სამართლიანობის გრძნობას. ერთი სიტყვით, აკადემიის მაღალი ინსტანციებიდან მე რაიმე გარკვეული პასუხი, მათი ქმედების ახსნა ვერ მივიღე. იმასაც გეტყვით, რომ აკადემიის შესაბამისი განყოფილების 17 წევრთაგან, რომლებიც მონაწილეობდნენ ჩემი საგრანტო პროექტის ბედ-იღბალის გადაწყვეტაში, თორმეტმა წევრმა მითხრა და მაგრძნობინა, რომ კენჭისყრისას ხმა მომცეს. მაგრამ ფაქტია, რომ მხოლოდ ოთხი ხმა მივიღე!

ცხადია, რომ აკადემიის ორმა მაღალმა ინსტანციამ ჩემს წერილში აღძრული კითხვების პასუხისაგან თავი შეიკავა და იგი მათ მიანდეს ისტორიისა და ეთნოგრაფიის სამეცნიერო საბჭოს. გასაგებია რატომაც — სათქმელი არაფერი ჰქონდათ. გულწრფელად მოგახსენებთ, რომ დიდად გაოცებული დავრჩი სამეცნიერო საბჭოს პასუხით. მან ხომ მთლიანობაში მაინც დამიჭირა მხარი? ამიტომაც მას შეეძლო ეპასუხა, რომ იგი, ყოველ შემთხვევაში ჩემს მიმართ, არაფერ შუაშია და ამაზე პასუხი აკადემიის ორ მაღალ ინსტანციას უნდა გაეცა. მაგრამ ჩემდა გასაოცრად, საბჭო ამართლებს... ჩემთვის გრანტის გაუცემლობას. აშკარად ჩანს, რომ

გაგრძელება მეშვიდე გვერდზე

# ღია წერილი

## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ზ. ჟვანიას

ბატონო ზურაბ,

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის აპრილში 31.03. — 3.04-ის და 14-17.04-ის სხდომებზე პარლამენტმა პირველი და მეორე წაკითხვით მიიღო კანონპროექტი „შეიარაღების, საბრძოლო ტექნიკისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო კონტროლის შესახებ“.

კანონპროექტი შეიმუშავა და საკანონმდებლო ინიციატივის წესით განსახილველად წარადგინა საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტმა.

შედგა თუ არა კანონპროექტის საკომიტეტო მოსმენა, ჩვენთვის უცნობია. ფაქტია, რომ ოპონენტებს მასში მონაწილეობა არ მიუღიათ მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ამიტომ ჩვენი რეაგირება რამდენადმე დაგვიანებული შეიძლება ჩანდეს, მაგრამ იმედს გამოვთქვამთ, რომ ასე არ ჩათვლით საკითხის სიმწვავის გამო.

ჩვენს შეშფოთებას იწვევს და დაუშვებლად მიგვაჩნია კანონპროექტით ნებადართული რეექსპორტი და ტრანზიტი საქართველოში ისეთი საშიში ნივთიერებებისა, როგორიცაა: ბირთვული და სპეციალური არაბირთვული მასალები, რადიოაქტიური გამოსხივების წყაროები და იზოტოპური პროდუქცია, ორმაგი დანიშნულების ქიმიკატები, დაავადებათა გამომწვევები, მათი გენეტიკურად შეცვლილი ფორმები და გენეტიკური მასალების ფრაგმენტები, რომელთა გამოყენება, როგორც კანონპროექტშიცაა ნათქვამი, შესაძლებელია ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის დასამზადებლად.

შესაძლებელია, კანონპროექტით გათვალისწინებული რეექსპორტი ეხება საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ სამხედრო ბაზებში ამჟამად არსებულ მასალებს, მაგრამ რით აიხსნება ტრანზიტის ნებართვა ზემოთჩამოთვლილ ნივთიერებებზე? რატომ უნდა მოექცეს ეს პატარა ქვეყანა უზარმაზარი რისკის ქვეშ ბირთვული და სხვა საშიში ნივთიერებების ტრანსპორტირებისას — საქართველოს გზები, სარკინიგზოც და საავტომობილოც ხომ მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებზე გადის!

შემაშფოთებლად გვეჩვენა ერთი მომენტიც. კერძოდ, ერთი კვირით ადრე, ამ კანონპროექტის პირველ მოსმენამდე პარლამენტის სხდომაზე წინასწარ დამტკიცებული გეგმის მიხედვით უნდა განეხილათ კანონპროექტი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“, რომელშიც ასევე იყო ნებადართული „ბირთვული მასალების, რადიოაქტიური ნივთიერებების და მაიონიზებელი გამოსხივების სხვა წყაროების“ ტრანზიტი. კანონპროექტის საკომიტეტო მოსმენისას პროექტის ავტორებმა ოპონენტთა უარყოფითი აზრი ამ ნივთიერებათა ტრანზიტის შესახებ გაითვალისწინეს და ამოიღეს შესაბამისი მუხლები პროექტიდან. ამის შემდეგ, ბევრისათვის მოულოდნელად, კანონპროექტის განხილვა საერთოდ მოიხსნა პარლამენტის სხდომის დღის წესრიგიდან და გადაიდო გაურკვეველი ვადით. როგორც აღმოჩნდა, ბირთვული მასალების ტრანზიტის ნებადართვის ეს „ჩავარდნა“ სასწრაფოდ გამოსწორდა: ერთ კანონპროექტში ოპონენტებისათვის დათმობილმა „ტრანზიტმა“ მეორე (წინამდებარე) კანონპროექტში გადაინაცვლა და თან — ფორსირებულად (კანონპროექტი იმ დღეს მიიღეს გასაცნობად არასაპარლამენტო ოპონენტებმა, როცა იგი პარლამენტის სხდომაზე განიხილებოდა).

გვინდა გვჯეროდეს, რომ ეს დამთხვევა შემთხვევითია და პარლემენტარებს ყურადღებიდან გამორჩათ კანონპროექტში შესული საქართველოსათვის საშიში მუხლები.

აშკარაა, მავანი და მავანი ძალიანაა მონდომებული, შეუქმნას საკანონმდებლო ბაზა საქართველოს გადაქცევას სატრანსპორტო დერეფნად და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის ფასად მის ჩაყენებას მეზობელი სახელმწიფოების სამსახურში (მაგალითად, გავიხსენოთ უახლოეს წარსულში ბირთვული საწვავის ტრანზიტი საქართველოს გავლით სომხეთის ატომური ელექტროსადგურისათვის).

გთხოვთ გაითვალისწინოთ საფრთხე, რომელიც ამ კანონპროექტის ამოქმედებით მოელის საქართველოს, და კვლავ დაუბრუნდეთ კანონპროექტის „შეიარაღებისა, საბრძოლო ტექნიკისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო კონტროლის შესახებ“ განხილვას.

**პატივისცემით
საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტის სახელით
ნ. ნათაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სათქმელს ბოლომდე ვიტყვი

წერილი კოლექტიურად კი არაა შედგენილი, არამედ დაწერილია ძირითადად ინსტიტუტის დირექტორის აკად. გ. მელიქიშვილის მიერ. ეს უკანასკნელი კი, იმთავითვე წინააღმდეგი იყო ჩემთვის გრანტის მოცემისა. მაგრამ, მეორე მხრივ, განა საბჭოს წევრები ვერ უნდა მიმხვდარიყვნენ თავიანთი ქმედების ალოგიკურობას? გამოდის, რომ ისინი ერთდროულად ჩემი დიდი კეთილისმყოფელებიც არიან და მოწინააღმდეგენიც, რომლებსაც ჩემს მიმართ თავიანთი დირექტორის პოზიცია უკავიათ.

სამეცნიერო საბჭოს წერილში სხვა უფრო წვრილმან გაუგებრობებსაც აქვს ადგილი. თითქოს მე ვერ შევასრულე დაპირებული ნაშრომი, მაგრამ პირველი ტომი ხომ ამა წლის ოქტომბერ-ნოემბერში უნდა შემესრულებინა. მამაცხონებულებს მოეცადათ კიდევ რამდენიმე თვე და თუ დანაპირებს ვერ შევასრულებდი, მაშინ, ცხადია, სათქმელიც და გასაპროტესტებელიც აღარაფერი მექნებოდა. ახლა, იმაზე, თუ რატომ შევჩერდი ასე დაწვრილებით „მხოლოდ ძვ. წელთაღრიცხვის IV ათასწლეულის კონკრეტული საკითხების კვლევაზე". ჯერ ერთი, ჩემს მიერ შესრულებულ სამუშაოში უფრო უწინდელ და მერმინდელ პერიოდებსაც ვეხები, მაგრამ, რაც მთავარია, აი, როგორ სიძნელეებს წავაწყდი. გავეცანი რა ქართველთა ეთნოგენეზისის, დიაოხის, სასპერების, აგრეთვე ქართებისა და იბერების ურთიერთმიმართების საკითხების შესწავლილობის დღევანდელ მდგომარეობას, ნათლად დავინახე, რომ ამ მხრივ დღევანდელ ქართულ მეცნიერებაში (ისტორიოგრაფიასა და არქეოლოგიაში, ეთნოგრაფიას კი, რაგინდ პარადოქსულად უნდა გამოჩნდეს, საერთოდ არც კი აინტერესებს აღნიშნული საკითხები) დიდ გაუგებრობას აქვს ადგილი. უპირველესად, ეს ითქმის აკად. გ. მელიქიშვილის შრომებზე, რომლებიც ამ საკითხებს ეხება და დიდად ავტორიტეტულად ითვლება ქართველ ისტორიკოსთა და ა. შ. შორის. ამგვარი რწმენის საპირისპიროდ, გავიცნობიერე, რომ ავტორი თითოეულ საკითხზე ერთდროულად ორ განსხვავებულ, ურთიერთდაპირისპირებულ თვალსაზრისს იცავს. მაგალითად, იგი თვლის, რომ ჩვენ, ქართველები აბორიგენები ვიყავით ჩვენს მიწა-წყალზე, მაგრამ ამასთანავე, მოსულებიც და ამდენად ჩვენი ტერიტორია უწინ სხვა მოდგმის ეთნოსებს (ტომებს) ეკავათ. აკად. გ. მელიქიშვილის აზრით, ჯერ კიდევ კოლხას სახელმწიფოს არსებობის ბოლო საუკუნეებში (IX-VIII) კოლხებისა და ქართების ეთნიკური, კერძოდ ენობრივი ერთობა კვლავ ძალაში იყო, ხოლო ჩვენი ერთობლივი ადგილსამყოფელი მდებარეობდა ძირითადად ჭოროხის აუზში. მაშ, როგორ გავიგოთ ჩვენი აბორიგენობა, ვთქვათ აღმოსავლეთ საქართველოში? აკად. გ. მელიქიშვილმა ფრიად ირწმუნა რუსი ენათმეცნიერის გიორგი კლიმოვის მიერ ჩვენი უძველესი ეთნიკური, ენობრივი სინამდვილისადმი გლოტოქრონოლოგიური მეთოდის მიყენებისას გაკეთებული დასკვნები, რითაც მრავალი სიძნელის წინაშე აღმოჩნდა. დღეს გაცნობიერებულია, რომ ამერიკელი ენათმეცნიერის მორის სუოდეშის მეთოდი და გიორგი კლიმოვის შესაბამისი მცდელობა დიდ ხარვეზებს შეიცავს, მაგრამ ამაზე ლაპარაკს აღარ გავაგრძელებთ.

დიაოხის შესახებ მსჯელობისას, აკად. გ. მელიქიშვილი ერთი მხრივ დაასკვნის მის ხურიტულ წარმომავლობას, ხოლო მეორე მხრივ — შთაბეჭდილებას გვიქმნის, რომ ისინი ქართველთა წინაპრები იყვნენ და ამიტომაც ასე დაწვრილებით მოგვითხრობს ხოლმე მათ შესახებ საქართველოს ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომებში. ოდნავ განსხვავებულია (ლოგიკური აზრით) აკად. გ. მელიქიშვილის პოზიცია სასპერებთან მიმართებაში. თუმცა, იგი გვიმტკიცებს, რომ ისინი მიეკუთვნებოდნენ ქართველურ სამყაროს, მაგრამ მეორე მხრივ, აშკარად აღიარებს მათს ხურიტულ კუთვნილებას. გამოგიტყდებით, რომ ამგვარ ალოგიკურ მტკიცებებს მეცნიერებაში ჯერ არ შევხვედრივარ. ქართებისა და იბერების იდენტურობის მტკიცებისას აკად. გ. მელიქიშვილი სიმონ ჯანაშიას დარად ოდენ ლიტონ განცხადებას სჯერდება. მაგრამ ამგვარ მტკიცებას ხომ სათანადო მსჯელობა, არგუმენტები ესაჭიროება?

აი, ასეთ საკითხებზე ვიმუშავე თითქმის თერთმეტი თვის მანძილზე და წარმოვადგინე 90 გვერდამდე მოცულობის ნაშრომი. შეგახსენებთ, რომ ჩემი მოსაზრებანი გავაცანი ოთხ სამეცნიერო შეკრებას (მათ შორის სამს ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ჰქონდა ადგილი), ხოლო ორი მათგანი დავბეჭდე კიდეც.

როგორც საბჭოს წერილში ვკითხულობთ, თურმე „ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ, გაითვალისწინა რა მისი (ე. ი. ჩემი, გ. ყ.) დაპირება კვლევითი მუშაობის გარდაქმნისა და გაუმჯობესების შესახებ", მხარი დაუჭირა ჩემთვის გრანტის გაგრძელებას. ეს ხომ მტკნარი სიცრუე გახლავთ! პიონერულ-კომკავშირულ-კომუნისტურ ყაიდაზე ჩემი მუშაობის გარდაქმნისა და გაუმჯობესების თაობაზე მე საბჭოსათვის არ მიპატაკებია. ეს ჩემი ქცევის სტილი არ გახლავთ და თანაც რა მქონდა სამისო? უბრალოდ, ორჯერ გამართულ სხდომაზე საბჭოს წევრებს მკაფიოდ განვუცხადე, რომ აღნიშნულ საკითხებზე უკვე შემექმნა გარკვეული შეხედულებანი და ამის შემდგომ 1801 წლამდე თხრობას შეუფერხებლად მოვიტანდი. დავსძენ იმასაც, რომ შესრულებული სამუშაოდან მისი მოცულობის ნახევარი მაინც შევა ჩემს პირველ ტომში.

რასაკვირველია, საბჭოს წევრი აკადემიკოსებიდან ორმა (გ. მელიქიშვილმა და დ. მუსხელიშვილმა) აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სხდომაზე კენჭისყრისას ჩემს საწინააღმდეგოდ მისცეს ხმა (ამაში ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომელი აკად. გრიგოლ გიორგაძე არაფერ შუაშია). ამის შესახებ ხომ აშკარადაა აღიარებული საბჭოს წერილში. მტკიცედ მჯერა, რომ სწორედ ამ ორმა ჩემმა მოწინააღმდეგემ, განყოფილების წევრთა შორის თავიანთი დიდი ავტორიტეტის წყალობით, გადამწყვეტი როლი ითამაშეს ჩემს საწინააღმდეგოდ განწყობაში. ჩემს წერილში, ცხადია, „ასევე სხვებიც" მყავდა მხედველობაში.

საქმეში ჩაუხედავ ადამიანებზეა გათვლილი ის, თითქოს გრანტების თაობაზე გამართული კენჭისყრისას საბჭოს წევრები და არაწევრები თანაბარ პირობებში ვიმყოფებოდით. სინამდვილეში, ვინც შარშან საბჭოს წევრთაგან გრანტის მსურველი იყო, ყველამ მიიღო იგი. წლევანდელი კენჭისყრისას კი მხოლოდ ორი მათგანი ჩავარდა (ერთი მათგანის მიმართ თავი იჩინა საბჭოს ერთი, აქტიური ჯგუფის ანტიპათიებმა).

საბჭოს წევრთა უმრავლესობამ რომ მხარი დაუჭირა აშკარად სუსტ პროექტებს, ამის შესახებ ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უკვე ბევრმა თანამშრომელმა იცის. ნუთუ, საბჭოს პატივცემული წევრები დღემდე ვერ გარკვეულან ამ საკითხში? რა თქმა უნდა, მე ამჯერადაც არ დავასახელებ ამგვარ პროექტებს.

საბჭოს წევრებმა დუმილით აუარეს გვერდი ჩემს წერილში წამოჭრილ კრიტიკულ შენიშვნებს. მიკიჟინებენ, რომ საკუთარი თავის გარდა, მზადა ვარ ყველა დავადანაშაულო, მაგრამ თვითონ საბჭო მთლად „უცოდველი" ყოფილა და ერთ საკითხშიც კი არ ადანაშაულებს თავის თავს. ასე რომ, „მის მიმართ გამოთქმული პრეტენზიები უსაფუძვლო და უსამართლოა". მაგალითად, შარშან ხმა მისცეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ ბახვა გამყრელიძის ჯგუფს, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობანი. წელს კი ეს საგრანტო თემა ვერ გავიდა. რატომ? ამას ხომ საბჭოს დონეზე ჰქონდა ადგილი. სხვა მხრივაც თითქოს ჩემს წერილში „ბევრი უზუსტობა და კონკრეტულობას მოკლებული მსჯელობაა". მძიმე ბრალდებაა, მაგრამ, თამამად ვიტყვი, ნამდვილად ყოვლად უსაფუძვლო!

და ბოლოს, მთლად გამაოგნა ერთიანობის მოწოდების შეგონებამ. ეს ხდება მაშინ, როცა მრავალი წლის განმავლობაში ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორს აკად. გ. მელიქიშვილს არ სურს ჩემთან დიალოგის გამართვა, რაც უცილოდ წაადგებოდა ქართულ ისტორიოგრაფიაში დღეს შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლას. მით უფრო, გამორიცხულია მისგან რაიმე კომპრომისზე წასვლა. წლების მანძილზე იმაშიც კი ვერ დავითანხმე, რომ ორი საინსტიტუტო სემინარი მაინც ჩამოგვეყალიბებინა. ანდა, წელიწადში ერთხელ (თუნდაც წლიური თემების განხილვისას) მაინც გაიმართოს საერთო კრება, სადაც განვიხილავდით საჭირბოროტო საკითხებს. ოცი წელი გავიდა და ინსტიტუტში ერთი დისკუსიაც კი ვერ მოგვიწყვია და ა. შ. ამ ხნის მანძილზე საბჭოს წევრებს ერთხელაც კი არ მოუწოდებიათ დირექტორისათვის, კერძოდ, ჩემთან დიალოგზე წასვლა. და ასეთ ვითარებაში მომიწოდებენ ერთიანობისაკენ! შევეცდები არ მივცე კვალიფიკაცია ამგვარ საქციელს, დაე, ამის თაობაზე გაზეთის მკითხველებმა იფიქრონ.

ახლა მინდა სხვა გარემოებებზე შევჩერდე, რათა ბოლომდე გავფანტო აქ აღძრული გაუგებრობანი. მოგახსენებთ, ჩემს მიმართ აკად. გ. მელიქიშვილის დამოკიდებულების პერიპეტიებზე. იყო დრო, როდესაც ჩვენ ერთმანეთისადმი გარკვეული სიმპათიები გაგვაჩნდა, რის საფუძველსაც მეცნიერებაც წარმოადგენდა. როგორც ცნობილია, 60-იანი წლების შუა ხანებში ე. წ. საბჭოთა მეცნიერებაში დაიწყო დისკუსიები წინაკაპიტალისტური ფორმაციების თაობაზე (სხვათა შორის, დასავლელ კომუნისტთა ზეგავლენით). ამ საკითხზე კი აკად. გ. მელიქიშვილსა და მე რამდენიმე საერთო„ რევიზიონისტული" აზრი გვქონდა. იმასაც გეტყვით, რომ მან საკმაო ხალისი გამოიჩინა, რათა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში დამეწყო მუშაობა. იმხანად გულუბრყვილოდ ვფიქრობდი, რომ ჩვენი, ორივეს თანამშრომლობა მყარი და ნაყოფიერი იქნებოდა, კერძოდ, იგი თავს გამოიდებდა საქართველოში ისტორიის მეთოდოლოგიის ფეხზე დაყენებაში. ამიტომაც, როცა 1970 წელს ა. წ. განსვენებულმა ბატონმა ნიკო ჭავჭავაძემ ორჯერ შემომთავაზა ფილოსოფიის ინსტიტუტში გადასვლა, მას უარი განვუცხადე იმ მოტივით, რომ უფრო ისტორიის ინსტიტუტში ვიყავი საჭირო.

**გურამ ყორანაშვილი,**
**პროფესორი**

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# წონაში მოტყუებული მოქალაქენი ბაზრის დირექციას ემდურიან

პრობლემები, რომლებიც სავაჭრო ობიექტების გარშემო დაგროვდა, არაერთხელ გამხდარა საზოგადოების მსჯელობის საგანი. რაც უფრო დიდია ობიექტი, მით უფრო მეტია წამოჭრილ პრობლემატურ საკითხთა ჯაჭვი და მაინც, ყველაზე მეტად ჩვენს ყურადღებას ის სავაჭრო ცენტრები იპყრობენ, სადაც მოსახლეობისათვის კვების პროდუქტების მიწოდება ხდება. პრობლემების განხილვისას და მათზე მსჯელობისას, პასუხისმგებლობის მთელი ტვირთი მხოლოდ დირექციას აწვება. დამეთანხმებით, ეს ცალმხრივი მიდგომაა საკითხისადმი და ამდაგვარად, არასწორი დიაგნოზი მკურნალობის სასურველ შედეგსაც ვერ გამოიღებს.

ამჯერად, ჩვენი მსჯელობის საგანს წარმოადგენს საკოლმეურნეო ბაზარი, რომელიც თბილისელებისათვის „დეზერტირების" სახელწოდებით არის ცნობილი. ჩვეული ამბავია, როდესაც მომხმარებლის მოთხოვნილებათა ფოკუსში აღქმულ პრობლემათა განხილვა ხდება. გადავწყვიტე, საკითხი სხვაგვარად დამესვა და „ჩრდილში" მოხვედრილი მხარე გამეშუქებინა.

ბაზრის დირექტორი **დემურ კაპანაძე** სიამოვნებითა და სიხარულით დამთანხმდა გულახდილად გვესაუბრა იმ პრობლემებზე, რომლებიც მათ წინაშე დგას და თანაც დასძინა, რომ ამ საკითხთა გადაწყვეტა მთლიანად საზოგადოების ძალისხმევით უნდა მოხდეს, რაშიც უდიდესი წვლილი მასმედიის წარმომადგენლებმა უნდა შეასრულონ.

როგორც ეს ყოველთვის ხდება, ჩვენც საუბარი სანიტარული მდგომარეობიდან დავიწყეთ. ბატონ დემურს სრულიად ვეთანხმები, რომ ხუთასმა ადამიანმა თითო ასანთის ღერიც რომ დააგდოს, იქ უკვე ძნელია სისუფთავის შენარჩუნება და მითუმეტეს ბაზარში, რომელსაც დილიდან საღამომდე რამდენიმე ათასი ადამიანი ეწვევა. არ არის ახალი, რომ ჩვენი საზოგადოება სისუფთავეს ნაკლებად იცავს, დაბინძურება უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე ნაგვის ურნამდე მისვლა, არადა, როგორც ბატონმა დემურმა აღნიშნა, ბაზრის ტერიტორიაზე ნაგვის ურნები საკმარისი რაოდენობით არის განლაგებული. ძირითადად დასუფთავება დილით ხდება და საღამოს, ვაჭრობის დასრულებისას იქ რა მდგომარეობაც იქმნება, ალბათ, მრავალი თბილისელი თუ დედაქალაქის სტუმარი ამისი მოწმე გამხდარა.

Photo News



შემდეგ საუბარი გადავიტანეთ ობიექტზე, რომელიც სულ ახლახანს გაიხსნა. ეს გახლავთ თევზით მოვაჭრეთათვის განკუთვნილი შენობა. უნდა აღვნიშნო, რომ გაოცებული დავრჩი, როდესაც იგი ცარიელი დამხვდა. დირექცია აქ კიდევ ერთ დილემას წააწყდა. საქმე ის გახლავთ, რომ ქვედა განყოფილებაში მდგომი მოვაჭრენი ვერაფრით ვერ აიყვანეს ახალ სექციაში, სადაც ყველა პირობაა შექმნილი მათთვის, სექცია დაკომპლექტებულია ახალი დახლებითა და მაცივრებით.

საიმედოა თუ არა ბაზარში ნაყიდი ხორცი და რაიმე საშიშროებას ხომ არ წარმოადგენს მოსახლეობისათვის დაავადების გავრცელების მხრივ, ბატონმა დემურმა დაჯერებით მოგვიგო, რომ ლაბორატორია დილის ექვს საათზე იწყებს მუშაობას და შემოტანილი ხორცი აუცილებლად მოწმდება — ეს სრული პასუხისმგებლობით იქნა ნათქვამი.

ახლა, რაც შეეხება გარეთ მოვაჭრეებს, რომლებიც ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ასე ვთქვათ, ქუჩაში არჩევენ ვაჭრობას, ვიდრე ბაზრის დახლებთან, რომლებიც ნახევრად ცარიელია. დამეთანხმებით, ამ უმართავ „არმიასთან" ბაზრის დირექცია ვერაფერს გახდება, თუ საზოგადოება და სხვა ის სამსახურები, რომლებსაც ეხება ეს საკითხი, არ ჩაერთვნენ ამ პრობლემის გადაწყვეტაში. მოსახლეობამ უარი უნდა განაცხადოს და არ შეისყიდოს ის პროდუქტები, რომლებიც ქუჩაში აქვთ გამოტანილი ყოველგვარ ანტისანიტარულ ვითარებაში. პროდუქტი ბინძურდება ქუჩის მტვრით და ჭუჭყით, საათობით მზეზე იმყოფება და სახიფათო ხდება ჯანმრთელობისათვის, თანაც ლაბორატორიული შემოწმების გარეშე ხდება მომხმარებლამდე მიწოდება. ბაზრის დახლები კი ნახევრად ცარიელია, სადაც ბევრად უკეთესი პირობებია ვაჭრობისათვის შექმნილი.

**ქეთინო გეჯაძე**

## სატირა

### რეკლამა! რეკლამა! რეკლამა!

დალიეთ არაყი უაზროდ,
უზომოდ,
ყველა კერძო პირის და ყველა
ფირმის,
როცა წაიქცევით ინფარქტით
უგონოდ,
მერე გავარჩიოთ, აჯობა
ვინ-ვის!
მიირთვით! მიირთვით!. „საშა",
„რასპუტინი",
„გუდაური" და „რუსსკაია
ვოდკა",
ლოთებს ფელამუშად ექცათ
თავში ტვინი,
ნაწილი ავადმყოფობს, ნაწილი
მოკვდა.
თუ გინდათ ფილტვები
ბოლომდე გაბოლოთ,
თუ გსურთ შემოკლება
სიცოცხლის დროის,
მოსწიეთ „ელემი", „ქემელი",
„მარლბორო"
და დაუმეგობრდით „კენტს" ან
„ვაისროისს".
ჩვენი გენოფონდი შხამებმა
შეჭამა!
არაყს და სიგარეტს, რად უნდა
რეკლამა?!
გთხოვთ წრფელი გულით,
რიდით და ბოდიშით,
პროქტოლოგს ეჩვენეთ, ან ხელი
მოისვით.
ქუჩაში რეკლამა, ეკრანზე
რეკლამა,
პრესაში, ტრანსპორტში
რეკლამა, რეკლამა,
გული და ნერვები ბოლომდე
შეჭამა!
შეჭამა! შეჭამა! შეჭამა! შეჭამა!

**ნიკოტინ არაყიშვილი**

### საწარმოს კარები თვალწინ დაუკეტეს და სადღა წავიდნენ ახლა?!

ყველამ თავისი საქმე აკეთოს
ვიღაც ტრიბუნიდან ამბობს,
ჩემი საქმეები არვინ გაქექოსო,
გულში ეშინია ამ დროს.
თვითონ ყელამდეა ზოგი
ნაპარავში,
ცდილობს ნელ-ნელა ხარჯოს,
გაძვრა-გამოძვრა და შეძვრა
„აპარატში",



სხვის ხარჯზე შოულობს
სარჩოს.
დადის ქუჩა-ქუჩა დურგალი,
კალატოზი,
ხარატი, ზეინკალი, ჭონი,
ქურდი კალორიას იღებს დიდი
დოზით,
ხელოსნებს შემოადნათ ქონი.
უჭირს ხელოსანს და უჭირს
მიწის მუშას,
სახსარი დაუვიდათ ნულზე,
ჩარჩსა და სპეკულანტს ცოტა
არა უშავს,
სხვები კი ოცნებობენ ფულზე.
მხოლოდ სამუშაოს! არ
გვთხოვენ სხვას უკეთესს,
ოსტატმა არ იცის დაღლა,
საწარმოს კარები თვალწინ
დაუკეტეს
და სადღა წავიდნენ ახლა?!

**ნიკოლოზ იოსებიძე**

## ვაჟა-ფშაველას უცნობი პუბლიკაციები

# წერილი მეგობართან

*(იბეჭდება შემოკლებით)*

ძმაო ექვთიმე!

განსვენებული სჯა და ლაპარაკი საკაცობრიო, საზოგადო საგნების შესახებ კარგია, რადგან სჯითა, ცდითა, ფიქრითა და თქმით ირკვევა მუდამ კანონები ცხოვრების წარმატებისა და დაქვეითებისა: ირკვევა სასარგებლო და სამავნეო გარემოებანი. რამდენს თავს იმტვრევენ მეცნიერნი და მეცნიერება: ეს ისტორია ვარ, ეს სოციოლოგია, ეს ფილოსოფია, ეს ქიმიაო, ასტრონომიაც — კი, თუმცა იგი მუდამ ცაში შეიყურება, და სხვა და სხვა სულ იმიტომ არის, იმ აზრით, რომ ცხოვრება გააუკეთესონ კაცობრიობისა. ყველა მეცნიერს, ყოველ გვარს მეცნიერებას, ღრმად რომ ჩაუკვირდეთ, ცხოვრების გაუკეთესება აქვს სახეში. ისტორია, ხომ კარგად ვიცით, რომ მარტო კრებული არ არის მეფეთა, გამოჩენილთა კაცთა, ომებისა, იმას ამაზე დიდი აზრის მიუძღვის წინ: აზრი ცხოვრებისა; ყოველი ამბავი ისტორიკოსისაგან უეჭველად რასმე გვასწავლის ცხოვრების შესახებ. ისტორია იმდენად წარსულისათვის არ იწერება, რამდენადაც აწმყოსთვის, აწმყო ცხოვრებისათვის. იგი გვაფრთხილებს შეცდომისაგან და გვაქეზებს კეთილისაკენ; მასში ვხედავთ მიზეზს და მიზეზთან ერთად შედეგს; იქ ვხედავთ შეცდომას და შეცდომასთან ერთად გამარჯვებას. ამაზე უკეთესი მაგალითიღა იქნება სხვა ჩვენთვის? ისტორიაში ვხედავთ, თუ ცალკე კაცს რა ძალა ჰქონდა ცხოვრების ავ-კარგიანობაში, ვხედავთ აზრისა და გრძნობის ძალას და კიდევ ბევრს რასმე სხვას.

ყველა კაცის სურვილი, ყველა ერის საერთო მისწრაფება შევაერთოთ, მიღებულის ჯამს უნდა დავარქვათ სარგებლიანი ცხოვრება, მეცნიერება საკმაო ცოდნას, საკმაო მასალას გვაძლევს ამისათვის, გვესმის, თუ უმრავლესობა არა, მცირე ნაწილს მაინც, რა ხილიცაა ბედნიერი ცხოვრება, ვიცნობთ ცალცალკე სიმართლეს და სიცრუეს, მაგრამ ეს არის უბედურება, რომ ეს ჩვენი რწმენა ჯერჯერობით რწმენად, ლიტონ სიტყვად რჩება და საქმედ ვერ ქცეულა. ამითაც არაფერი დაშავდება, მხოლოდ უნდა ვეცადნეთ, არ დაივიწყოთ სიმართლე და არ ვუმტყუნოთ იმას, რაც ერთხელ სიმართლედ გვიცვნია... ბევრი ისეთი ჭეშმარიტება, რომ მისი განხორციელება დღეს სხვადასხვა მიზეზისა გამო მოუხერხებელი გამხდარა. ევროპაში ბევრი აღარ დარჩენილა ისეთი სახელმწიფო, რომ ომების მავნებლობა ესმოდეს, მაგრამ ვერ მოუხერხებია დაითხოვოს ჯარები შინა, არამედ იძულებული გამხდარა, მიუმატოს ამ ჯარებს და გააუმჯობესოს საომარი იარაღი. რადა? იმიტომ, რომ მეორე მეზობლისა ეშინიან, იცით, რომ მეზობელს სამეფოს არა სწადიან მორიგებით მოლაპარაკებით გაათავისოს, დააბოლოოს შუღლი და მუშტზე იცქირება. რა ქნას, პირველიც ძალა უნებურად უფარდებს თავის თავს მეორის ვინაობას და, რაც ძალი და ღონე აქვს, ამზადებს საომარს მასალას. იცის, რომ მოწინაალმდეგე სიტყვის ძალით არ გაუმთელებს მას იარას. შორს რად მივდივართ, პატარა საზოგადოებაშიაც რომ ესევეა, ერთი მეორეს უშლის. ვსთქვათ საუკეთესო წევრს საზოგადოებისას სურს წინ წასვლა, წინ წაწევა საზოგადოებისა. იძლევა ამისათვის დარიგებას, საშუალებას, მაგრამ მეორე ბრიყვი შეუგნებელი ეჯაჯგურება კალთაზე და არ უშვებს. უნიჭო, უმეცარი ბრიყვი კაცია იგი, თუ საზოგადოება იმითია შესანიშნავი, რომ აწმყო, დამოკიდებული დღე აკმაყოფილებს. სიბრიყვეს აშინებს ნათელი, აშინებს სიმართლე, აშინებს განძრევა, გარჯა... ან კი რად უნდა ვსწყევლიდეთ სიბრიყვეს? სიბრიყვე იმის სიბრიყვეა, რომ არ ესმის ეხლანდელი უკეთესი, იმისი ტვინი გაყინულია, მისი გული მოშხამულია, იგი ბრმაა თავიდამ ბოლომდე. სიბრიყვეს არ ესმის, რომ ის, რაც გუშინ იყო კარგი, შეიძლება დღეს აღარ გამოდგეს, არ ესმის, რომ ცხოვრების გაახლებისათვის უმთავრესად საჭიროა ძირ-ფოჩვიანად ამოვარდეს ის, რაც დაძველებულა, დამპალა, რათა ახალმა ნერგმა და თესლმა იხაროს თავისუფლად. რა იქნება? სიბრიყვეა ახალის მტერი. მეცნიერებას კარგად ესმის, რა შვილიცა ბრძანდება სიბრიყვე და იმიტომ სცდილობს კიდეც, რომ თითოეული წევრი საზოგადოებისა,. თუ ყველა არა, უმრავლესობა მაინც, განათლდეს, რომ მოკვდეს, გაქარწყლდეს სიბრიყვე და მისი თანამხლებელი სიჯიუტე, რომელიც უშლის, წინ ეღობება ცხოვრების წინ-სვლასა, გაუმჯობესებას.



სიბრიყვეს მარტო გაუგებრობა, შეუგნებლობა როდი სჭირს ჭირად, იმას სხვა ამხანაგიცა ახლავს, რომელსაც ჩვეულება ჰქვიან. არა მგონია სხვა რომელიმე თვისება კაცის ბუნებისა იყოს ისე როგორც სიბრიყვეა. სწორედ ჯორსა ჰგავს სიბრიყვე: სადაც ერთი ღამე გაუთენებია ჯორის პატრონს, ჯორს ახსოვს და იმ გზით შორიახლო რომ ჩაატარო, იქვე შეუხედავს... რა თქმა უნდა, ბრიყვები უფრო ბევრნი არიან ცხოვრებაში, მანამ ჭკვიანნი და ჯერჯერობით ამიტომ ისინი იმარჯვებენ. მომავლისა — კი რა მოგახსენო, თუ დღეს ცოტად, თუ ბევრად ჭკუა, სიმართლე, სიბრიყვეს ლაგამს უდებს და აფიქრებს, მერმისს იმედია ზურგზედაც შეახტება... რა მერმისი უნდა ჰქონდეს განა იმ ძალას, რომელი ჯიუტობს და მხოლოდ მუშტზე იცქირება? არაფერი ჭკუა, სიმართლე მხოლოდ დაიმედებულია სიტყვაზე, თქმაზე. ეს უკანასკნელი სიტყვის ძალით იცავს ეკლიანს გზას და მიისწრაფვის დაიჭიროს ღირსეული ადგილი კაცთა შორის.

სიტყვამ ბევრი რა გააკეთა, ქვეყანაზე და კიდევ ბევრსაც გააკეთებს, სიტყვით ნამცნები სიმართლე იზრდება დღითი-დღე, ხოლო სიბრიყვე-კი თანდათან იშლება და იხრწნება. თქმა სიტყვისა ცალკე კაცთა კისრად აღებული ვალია, როგორც აღმოჩენა რისამე, ჩხრეკა-კვლევა, და წინ იმათის წყალობით მიდის, უკეთესდება ცხოვრება.

ამიტომ შენი შეხედულება, ჩემთვის მოწერილი ნახევარზეა მართალი. მართალია, აზრსა, იდეას თავიანთ განსახორციელებლად ნიადაგი უნდა ჰქონდეს, როგორც შენ ამბობ, მაგრამ ამ ნიადაგს, ასე თუ ისე, იგივე აზრი და საუკეთესო საზოგადოების წევრთა მოღვაწეობა ამზადებს. აზრის გამტკიცებას საზოგადოებაში ეხმარება მწერლობა, ეხმარება ცალკე კაცთა მოღვაწეობა, თუმცა კი ნიადაგი იდეის გასავრცელებლად უნდა არსებობდეს და შეეთანხმებოდეს იმ აზრს, რომელსაც ავრცელებ.

ავიღოთ მაგალითად ისეთი აზრი, რომელიც შეესაბამება საზოგადოების, ხალხის ყოფა-ცხოვრებას. წარმოვიდგინოთ ისეთი სახელმწიფო, რომლის შემადგენლობანი წევრნი სწორედ ორ ჯურად არიან გაყოფილნი: ერთი ნაწილი, ვსთქვათ ქცეულა კვერად, ხოლო მეორე გრდემლად, რომელსაც მუდამ თავში ჰხვდება ეს მძიმე კვერი, ჰყეჟს, სტკეპნის, სთელავს. ამ გრდემლის ყოფაში ჩავარდნილი ნახევარი ერის ჰგრძნობს, რასაკვირველია, ტკივილს, სწუხს მაგრამ თუ იგი უაზროა, ბრიყვია, აზრი არ მუშაობს მის შორის, როდი ეცდება გაინძრეს, აიცდინოს თავიდამ კვერის რახა-რუხი. ამისთანა საზოგადოებაში ადვილად მოიკიდებს ფეხს, რასაკვირველია, აზრი ხსნისა, ჯავრის ამოყრისა, მაგრამ თუ სახელმწიფოში ამისთანა უკიდურესობა არაა, მაშინ აზრს ხსნისას იქ ადგილი არა აქვს მოქმედებისა, იგი იქნება ოცნება და აზრი. მადლი განგებას, მადლი ბუნების კანონს, რომ უკიდურეს ყოფაში ჩავარდნილს ხალხს არ აკლდება მეშველი კაცი და მუდამ ჩნდება სიმართლის დამცველი, ჭეშმარიტების მომხრე ადამიანი. ამისთანა კაცების ნათელი სახე მრავლად გამოიყურება მზის სხივით ისტორიის ფურცლებზე. ბევრი მათგანი ჯვარს ეცვა, ბევრი ცეცხლში დაიწყო, ბევრს ცულმა მოჰკვეთა თავი, მაგრამ სიმართლე, ჭეშმარიტება ჭეშმარიტებადვე დარჩა და დღესაც ყველა პატიოსანს კაცს უდგება თვალწინ, ვისაც ევედრება შველასა და დახმარებას, ითხოვს, რომ მისი სიტყვა გაიგონოს ქვეყანას, ყველას რაც გაუკეთებია აზროვნების ასპარეზზე. სიტყვით გაუკეთებია, უმთავრესი საშუალება სიტყვა ყოფილა.

ჩნდება ვსთქვათ, სარწმუნოების რეფორმატორი უეჭველად ისეთს დროს, როცა არსებული სარწმუნოება ველარ აკმაყოფილებს უმრავლესობას; ჩნდება აგრეთვე რეფორმატორი პოლიტიკის ასპარეზზე უეჭველად ისეთს დროს, როცა აწინდელი წესი დაძველებული, გაფუჭებულია და თხოულობს განახლებას, ანუ შეცვლას და ველარ აკმაყოფილებს უმრავლესობას. დიაღ, ჩნდებიან კაცნი, და იძახიან, აგონებენ ქვეყანას, ესა და ეს ცვლილებაა საჭიროვო, აგონებენ უმრავლესობას, რომელნიც ჰგრძნობენ კი რაღაცას აქამდის, მაგრამ ბურანში არიან და ვერ გამორკვეულან... სიმართლეს იგონებენ ქვეყნის მოწინავე კაცნი, სჭიმავენ უმრავლესობის წადილის საერთო ძარღვს და იმაზე დაჰმღერიან. სიჭკვიანეც ეს არის, ჩემო კარგო, თორემ ისეთი რამ მოინდომო, რაც არავის უნდა და არცა ვისა სდომნია ოდესმე, ვერ იშოვნი... დღესაც აქამომდე, წარსულს დროში, ყველა მოწინავე კაცს ამ რიგად უმოქმედნია, ეს თითქმის კანონია, ვისაც გამარჯვება უნდა, ვისაც ცხოვრებას კაცობრიობისას, ქვეყნისას უნდა რამ არგოს.

დავანებოთ თავი თუნდა წარსულს დროს და მის მოღვაწეთა და ჩვენს თავზე, ჩვენს მდგომარეობაზე ვიფიქროთ, ვიფიქროთ ჩვენს ერზე, ჩვენს ყოფა-ცხოვრებაზე. როგორც ერს, გონიერ არსებათა კრებულს ჩვენც ხომ უნდა გვქონდეს რაიმე სურვილი? რასაკვირველია, ყველა ჩვენგანს სურვილი ბევრი აქვს, ვის არ უნდა, ჩემო ბატონო „კაი ცხენი, კაი ცოლი და კაი მილიონები", მაგრამ მე ამ ჯურის სურვილზე არ ვამბობ, არამედ ჩვენს საზოგადო სურვილზე, წადილზე მოგახსენებთ, ისეთ სურვილზე, რომელსაც, თუ შეიძლება, დავარქვათ მოქალაქეობრივი სურვილი. იმისთანა ერი დედამიწაზედ წარმოუდგენელია, რომ ყველა მის წევრს ერთნაირად აწუხებდეს ქვეყანა, ქვეყნის ჭირი და ლხინი, ე. ი. ჰქონდეს ყველას ეს სურვილი, მაგრამ ყველა ერს თუ სახელმწიფოს, რომელიც კი ცოტად თუ ბევრად დაახლოებულია ბედნიერებას, ჰყავს მრავალი კაცი, რომელნიც ერთის სურვილით არიან დაკავშირებულნი და ძალღონეც კიდეც ამიტომა აქვს სწორედ.

ახლა ის ვიკითხოთ, ჩვენში რას ვხედავთ, აიღე [illegible] სტატისტიკური [illegible] ჩვენის განათლებისა, მოიგონე ჯერ ის, რამდენი იჩენს ამ მოქალაქეობრივს გრძნობას ამათში; ახლა შეადარე, საზოგადოდ, განათლებულთა რიცხვი უსწავლელთ, უბირთათ და დაინახავს, რაც საზოგადო სურვილი უნდა არსებობდეს ჩვენში. ნუ ვიტყვით მდაბიო ნაწილს ჩვენის ერისას, აიღე თვითონ ნასწავლი, განათლებული ხალხი, იმათშიაც რომ არა სჩანს ეს სურვილი საქვეყნო, საზოგადოებრივი... ახლა შენ მოწინავე კაცი ხარ და აზრიცა გაქვს, გინდა რომ ამ აზრს, ამ შენს სურვილს მოუპოვო მომხრე. რა უნდა ჰქნა? რა ნიადაგზე ჰდგეხარ? გაქვს ამ გვარს საზოგადოებაში ნიადაგი მოქმედებისა, თუ არა? რასაკვირველია, ნიადაგი გაქვს, ჯერ თვით ეს გულგრილობა, გარე შემორტყმული სიბრიყვე კმარა ნიადაგადა, რომ გული აგიღელდეს, ხმა აიმაღლო, სთქვა რამ საგულისხმო, სასარგებლო, ამბობ კიდეც, მაგრამ ახლა აქ სხვა უბედურება გელოდება წინ, ეს შენი სიტყვა ვერ გადის იქ, საცა უნდა მივიდეს, არა სწვდება უმრავლესობის ყურებს. მაგრამ თუნდა რომ მისწვდეს იმის ყურებს, ვისთვისაც ამბობ, ერთს ყურში შეუშვებს და მეორეში გააცილებს. (ჩვენს კაცს დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელ ქათამს და ვერა ჰგრძნობს იმას, რომ დღევანდელს კვერცხსაც დაჰკარგავს და ხვალინდელ ქათამსა ხომ დაჰკარგავს და დაჰკარგავს, თუ არ გამოჩიჩქნა ყურები, არ გაახილა თვალებია).

მაინც და მაინც სიტყვისა და თქმის იმედი უნდა გქონდეს; თუ რამ გაკეთებულა ქვეყანაზე. თქმით გაკეთებულა, აზროვნებით ჯერ და მერე საქმე მოჰყოლია თან სიტყვასა და აზრსა... დღეს თუ ჩვენი კაცი კედლად გამხდარა და მისკენ მიმართული სიტყვა ცეცრვის ყოფაშია ჩავარდნილი, ხვალ და ხვალ ზევით აღარ იქნება ესე... (ერთხელ დაბადებული აზრი არა კვდება, არამედ იზრდება, მწიფდება. თუ დღეს ის აღარა ვართ, რაც გუშინ ვიყავით, იმედი, ხვალ ის აღარ ვიქნები, რაც დღესა ვართ, რაც უნდა ძალადობა იხმაროს მტერმა და მოქიშპემ. ნათქვამია: „სანთელ-საკმეველი გზას არ დაჰკარგავსო". სიმართლეც არ დაჰკარგავს არასოდეს გზას. შეიძლება უსამართლობამ დროებით, ცოტა ხნობით მიაყაროს ჩალა-ბუჩი, ან ხელ-ფეხზე დაიდოს ბორკილი, მაგრამ ის მაინც მალე თავს იჩენს ისევ. ამას ვხედავთ ჩვენ ერთა ისტორიულს ცხოვრებაში და ამიტომ ყველა მართალი, სიმართლის მიმდევარი არ უშვებს ხელიდან საომარს იარაღს. როგორც ბევრი რამ სხვა გვასწავლა მეცნიერებამ ცხოვრების გაუმჯობესებისას, ისე ეს გვასწავლა, რომ სიმართლეს დიდი ძალა აქვს ცხოვრების გაუკეთესების საქმეშიო, გვასწავლა, რომ არ უნდა ვივიწყებდეთ მას და ხშირ-ხშირად მოვაგონებდეთ ქვეყანას. უნდა გვახსოვდეს, გულზე დაწერილი გვქონდეს ცხოვრება და მისი სარგებლობა, რადგან უმთავრესი ღერძი ესაა, რომლის გარშემოც ტრიალებს მთელის კაცობრიობის გული და გონება. დიაღ, გვახსოვდეს ცხოვრება და სიმართლე.

**გაზ. „ივერია" 1890 წ. №85**

*გაგრძელება შემდეგ ნომერში.*

# საოცრება კინოთეატრის დარბაზში

ფართო მაყურებლისათვის „დოლბის" ენაზე, ალბათ გასახარი იქნება, ავხსნათ ჩვენი შეხედულება „დოლბის" სისტემით გახმოვანებასა და მის დიდ მნიშვნელობაზე.

კინო-ექსტრასენსი... დარბაზში უცნაური შეგრძნებებით გარინდული მაყურებელი, რომელსაც ესმის ბუნების ხმაური. ასეთი სახის გახმოვანება ადამიანს აწყნარებს, ბუნებასთან ახლოს მიჰყავს, ბოლოს აგრძნობინებს, რომ მას უკვე ნამდვილად ესმის წყლის ხმა, ჩიტების საამო ჟღურტული, ფოთოლთა შრიალი... იქმნება „სინამდვილის ილუზია", ერთიანობაში შედის დარბაზი, ეკრანზე წარმოდგენილ სახესთან მაყურებელი უკვე გმირი ხდება, რომელსაც „გასროლილი ტყვია" ხვდება გულში და შეიგრძნობს ტკივილს...

ერთი და იგივე მრავალგზის ნანახი ფილმი, შეიძლება „დოლბის" სისტემით ჩვენების შემდეგ აბსოლუტურად განსხვავებული ეფექტით მიიღოთ და შეიგრძნოთ კიდეც.

მოკლედ, კინოთეატრ „ივერიის" დიდი დარბაზი და მისი დირექტორი ბ-ნი თამაზ გოლაძე 18 მაისიდან გთავაზობთ მხატვრული ფილმებისა და საკონცერტო კლიპების ჩვენებას „დოლბის" სისტემით.

აღნიშნული ტექნიკის საშუალებით კინოჩვენება პირველად ამერიკელმა რეჟისორმა ლუკასმა მოაწყო, რომელმაც შემდგომში აიძულა კინოთეატრები, რომ მისი ფილმები დიდ ეკრანებზე მხოლოდ „დოლბის" სისტემით გაეშვათ. მისი დანერგვა ცივილიზებულ სამყაროში სწრაფად მოხდა და იგი წარმატებით მუშაობს დღევანდელ აშშ-სა და ევროპის თითქმის ყველა კინოთეატრში.

ჰოლივუდისა და მოსკოვის საერთო ფირმისა და კინოთეატრ „ივერიის" ურთიერთობამ განაპირობა ის, რომ „დოლბის" სისტემა დამონტაჟდა „ივერიის" დიდ დარბაზში და მისი პრეზენტაციაც შედგა.

ბ-ნი თამაზის თქმით, „დოლბი" დსთ-ს ტერიტორიაზე დანერგილია მხოლოდ მოსკოვსა და პეტერბურგში. თბილისი ამ მხრივ პირველ ნაბიჯებს დგამს. ამიტომაც ბუნებრივია, „დოლბის" ექსპერიმენტის შედეგი ქართველი მაყურებლის ინტერესითა და რაოდენობით განისაზღვრება. როგორც ამბობენ, მოსკოვში ამ სისტემის პრეზენტაციის შემდეგ დილის 9 საათიან სეანსზე ანშლაგი გამოცხადებულა. გასათვალისწინებელია ობიექტური მიზეზებიც. მაგრამ ბილეთის ფასი მოსკოვთან შედარებით თბილისში გაცილებით ნაკლებია, სულ 2 ლარი.

ვისაც კინოხელოვნებასთან შეხება აქვს თუნდაც მოყვარულის დონეზე... ვისაც თავი მოაბეზრა უდაბლესი ტექნიკური და მწირი სიუჟეტური ხარისხის ტელესერიალების გაუთავებელმა ჩვენებამ, ინტერესისთვის მობრძანდით „ივერიის" დარბაზში და დატკბით „დოლბის" სასწაულით.

**ხ. ხატიაშვილი**
**ძ. ჩადუნელი**

# საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის განცხადება საქართველოში „სამხრეთ ოსეთის" შექმნის გეგმისა და თბილისში რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ძასოხოვის ვიზიტის გამო

მესამე გვერდიდან

ვამენ ან ცხინვალის რეგიონის რუსეთთან მიერთების სურვილსა და მზაობას და რუსეთის „ინტერესების" არსებობას ამ ტერიტორიაზე, ხოლო თბილისში 1992 წელს მეცნიერებათა აკადემიაში ელცინმა განაცხადა, რომ საქართველო-რუსეთის ჩარჩოხელშეკრულების რატიფიკაცია რუსეთის დუმის მიერ არ მოხდება „აფხაზეთისა და ოსეთის საკითხის მოგვარებამდე" ანუ საქართველოს კაპიტულაციამდე სეპარატისტების წინაშე. საქართველოში ქართულ-ოსური კონფლიქტის არსებობა და, საერთოდ, ქართველებისა და ოსების ურთიერთობაში პრობლემის არსებობა რუსეთის ჩარევის შედეგია და მხოლოდ მისი წყალობით გრძელდება.

2. ცხინვალის ზონაში „ოსეთის" შექმნის გზით ქართულ-ოსური კონფლიქტის თითქოსდა „დარეგულირების" გეგმა რეალურად განუხორციელებადია, ამასთან, კატასტროფული შედეგების მომტანია, ვინაიდან

ა) ორი „ოსეთის" არსებობა გამოიწვევს სეპარატისტულ-ირიდენტულ სწრაფვას მათი შეერთებისაკენ, მაშასადამე — ან საქართველოს სრულ კაპიტულაციას, ან საქართველოში უკანონოდ შექმნილი „ოსეთის" კვლავ გაუქმების აუცილებლობას, ან ომს. გარდა ამისა, იგი გამოიწვევს საქართველოსთვის უმძიმეს პოლიტიკურ შედეგს საქართველოს რიგ სხვა რეგიონებში.

ბ) ტრადიციულად რუსოფილური ოსური ელემენტის პოლიტიკური გაბატონება ცხინვალის ზონაში გამოიწვევს მთელი რეგიონის სასიცოცხლო საფრთხის შექმნას კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთით რუსეთის „ჩაუძირავი" პლაცდარმის შექმნის სახით.

გ) მხოლოდდამხოლოდ დემოგრაფიული დინამიკის, ანუ ცხინვალის ხელოვნურად მოხაზულ რეგიონში ოსური მოსახლეობის პროცენტული უპირატესობის მიღწევის ბაზაზე კიდევ ერთი „ოსეთის" შექმნა იქნება მსოფლიოსთვის ფეთქებადი პრეცედენტი, რაც მრავალ რეგიონში გამოიწვევს მოსახლეობის ყოველი ეთნიკური (ეროვნული) ჯგუფის შიშს დანარჩენი ჯგუფების დემოგრაფიული კეთილდღეობის წინაშე და, ამგვარად, ეთნიკური წმენდის და სხვა ანალოგიურად ბარბაროსული ნაბიჯების ცდუნებას ყოველ მათგანისთვის.

3. არც პრეზიდენტ შევარდნაძეს, არც საქართველოს დღევანდელ პარლამენტის უმრავლესობას „მოქალაქეთა კავშირის" სახით თავის საარჩევნო პროგრამაში არ ჰქონიათ საქართველოში „ოსეთის" შექმნა. შესაბამისად, მათ არა აქვთ ამომრჩევლის რწმუნება ამ ნაბიჯის გადასადგმელად. პრეზიდენტის მხრიდან და ეთუოს მხრიდან საქართველოში „ოსეთის" შექმნის მცდელობაც იმით მოტივირება, რომ სხვა შემთხვევაში ოსი სეპარატისტები არ დათანხმდებიან შესაბამისი ტერიტორიის საქართველოში დარჩენაზე, ყალბი არგუმენტაციაა, ვინაიდან არ არსებობს იმის მინიმალური ალბათობაც კი, რომ სამოცათასიანი ადგილობრივი ოსური მოსახლეობის ფრიად საეჭვო მხარდაჭერაზე დაყრდნობით მათ შეძლონ სამართალსაწინააღმდეგო გეგმის განხორციელება, თუ საქართველოს ხელისუფლება შეასრულებს თავის მოვალეობას როგორც პოლიციური ზომების მიღების, ისე უცხო (რუსული) ჩარევის პოლიტიკური მეთოდებით აღკვეთის მიმართულებით. პრეზიდენტის მცდელობას, რომ შექმნას „სამხრეთ ოსეთი", და პარლამენტის მოქმედებას იმ შემთხვევაში, თუ იგი დაეთანხმება ამ პოლიტიკას, საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია თვლის **სახელმწიფო[illegible]ად**, რომელიც პირდაპირ ზიანს აყენებს საქართველოს ისტორიულმასშტაბიან ინტერესებს, და საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ შინაგან და გარე ძალებთან დაკავშირებული **შეთქმულების** შედეგად. მომავალ ხელისუფლებაში ან ხელისუფლებებში მოსვლის ან ხელისუფლების აღების შემთხვევაში სგრპ იქნება ხსენებული უკანონო ტერიტორიულ-პოლიტიკური ერთეულის დაუყოვნებლივ გაუქმების და მის შექმნაში ხელშემწყობ პირთა — მათ შორის, პრეზიდენტის და ხმის მიმცემი პარლამენტარების — სამართალში მიცემის მომხრე.




ეუთოს საქართველოს მისიის პოზიციაზე ხსენებულ საკითხში ვრცელდება ის არგუმენტები, რომლითაც წინამდებარე განცხადებაში უკუგდებულია პრეზიდენტ შევარდნაძის პოზიცია. ეუთოს მოქმედება (სვრპ-ს ნაყოფიერად და სიკეთისკენ მიმართულად — მშვიდობის ჩათვლით — მიაჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სამართლიანობისა და ხელმომწერ ქვეყანათა თანასწორობის, მაშასადამე — მათზე მხოლოდ ზოგადმნიშვნელადი და საყოველთაოდ აღიარებული ნორმების გავრცელების პრინციპებს იცავს.

**საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ეროვნული კომიტეტი**

# აქა ამბავი საქართველოს ბანკის დიდუბის ფილიალისა

[illegible] პრესაში დიდი აჟიოტაჟი შეიქმნა საქართველოს ბანკის დიდუბის ფილიალში მომხდარი საეჭვო გარიგების შესახებ. დასაზუსტებლად მივმართეთ შსს საგამოძიებო დეპარტამენტის გამომძიებელს დავით მალაფერიძესა და საქართველოს ბანკის გენერალურ დირექტორს ვალერი შარიქაძეს.

როგორც ბატონმა დავითმა აღნიშნა, შპს „კოკა და კო"-სა და სააქციო საზოგადოება „ნიკეს" ხელმძღვანელობის განმარტებით, ისინი ბუდაპეშტში ვინმე გოგი სვანიძის მეშვეობით დაუკავშირდნენ ერთ-ერთ ორგანიზაციას, რომელიც მუშაობდა საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების პროგრამაზე. ერთ-ერთი მხარე ამ ჰუმანიტარული დახმარებისა უნდა განხორციელებულიყო საქართველოში. ეს პროგრამა რომ ამოქმედებულიყო, „ნიკესა" და „კოკა და კოსგან" მოითხოვეს საბანკო გარანტიები. როცა უცხოეთიდან გადმოიგზავნებოდა ფული ბანკში, ეს უკანასკნელი უნდა მომსახურებოდა ამ თანხას. ფირმებს ანგარიში გახსნილი ჰქონდათ საქართველოს ბანკის დიდუბის ფილიალში. მათ ამ წინადადებით მიმართეს მის მმართველს ავთანდილ სანიკიძეს. სანიკიძემ განუმარტა, რომ სათაო ბანკთან შეთანხმების შემდეგ შეეძლო მათი თხოვნის დაკმაყოფილება. 1997 წლის მარტის თვეში, საქართველოს ბანკის მაშინდელ ვიცე-პრეზიდენტთან ვალერი შარიქაძესთან მოლაპარაკების შედეგად, მათი წინადადება მიღებული იქნა, რადგანაც ბანკისაგან ეს არანაირ მატერიალურ პასუხისმგებლობას არ მოითხოვდა.

შედგა დოკუმენტი, ე. წ. საგარანტიო წერილი, რომლის თანახმადაც, ფირმებს — „ნიკესა" და „კოკა და კოს" გააჩნიათ 600-600 მლნ დოლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდები ბანკის ანგარიშზე. ასეთი რაოდენობის თანხა მართლაც დიდ ეჭვს ბადებდა. როგორც ბატონი დავით მალაფერიძე განმარტავს, ასეთი შინაარსის წერილი ბანკის ხელმძღვანელობის თანხმობით, ტელექსით გაგზავნილ იქნა ნიუ-იორკისა და ბილბაოს ბანკებში, მათაც ეს საეჭვოდ ეჩვენათ და გადაგზავნეს ბანკების დამცავ ორგანიზაციაში — საბანკო უსაფრთხოების ასოციაციაში „იფსა". მათ თავის მხრივ ინტერპოლს მიმართეს. მისი გენერალური სამდივნოს მეშვეობით წერილი მოხვდა შსს-ს სამსახურებში.

ჰუმანიტარული დახმარების პროექტის განხორციელება საქართველოში კი იმდენად არარეალურია, რომ მასზე ყურადღების გამახვილება თვითონ ბანკის წარმომადგენლებმაც საჭიროდ არ ჩათვალეს.

თუმცა, ფირმების წინადადება მივიღეთ, რადგან ამით შემატების მეტი არაფერი დაგვაკლდებოდაო, — თქვა ბატონმა ვალერი შარიქაძემ, — ამ შემთხვევაში ისინი კლიენტები იყვნენ და ითხოვდნენ, რომ მიღებულ თანხებს მოვმსახურებოდით უფასოდ. საუბარი შეეხება, რომ თითქოს ეს არის თანხები, დახმარების ფონდი, რომელიც განვითარებადი ქვეყნებისათვის არის გათვალისწინებული. მაგრამ ეს ფონდი პირდაპირ არ მიდის ამ ქვეყნებში. ჯერ ევროპის სავაჭრო სახლში ხვდება, შემდეგ იგი ევროპის ერთი ბანკიდან იღებს თანხებს, გადასცემს მეორე ბანკს, ამ გარანტიის საფუძველზე ეს თანხები იქ ტრიალებს. შესაბამისად, შემოსული შემოსავალი მიდის უკვე განვითარებად ქვეყნებში. ფირმების მხრიდან აბსურდულ თანხებზე იყო ლაპარაკი, მაგრამ თუ მიიღებდნენ, ბანკი, რა თქმა უნდა, მოემსახურებოდა.

როცა დიდუბის ფილიალმა დასვა საკითხი ჰუმანიტარული ფირმების პროექტის შესახებ, მაშინ საუბარი შეეხო მხოლოდ მომსახურებას. ამ დროს მათ, როგორც ბატონი ვალერი შარიქაძე ამბობს, ბანკის ხელმძღვანელობასთან შეთანხმების გარეშე, დაუშვეს მეორე დოკუმენტი, რომელშიც წერია, რომ ბანკში დეპოზიტზე დევს რაღაც გარანტიები, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. თავის მხრივ ფირმები მიიჩნევენ, რომ ეს არის ამ მომსახურებაზე დადებული გარანტია. ბატონი ვალერი ინგლისური ტექსტის ქართულად არასწორად თარგმნის ვარიანტსაც არ გამორიცხავს.

ჯერჯერობით კი დასკვნების გამოტანა ნაადრევია, სანამ გამოძიებას თავისი საბოლოო სიტყვა არ უთქვამს.

**მაკა სვიმონიშვილი**

# მსოფლიოს გარშემო

## გაურკვეველი შედეგების პროექტები

რუსეთის მეწარმეთა ერთ-ერთმა პოლიტიკურმა ლიდერმა, ცხელ ყარაბაღში კომუნისტური ხელისუფლების „ნაცვლად" ნამყოფმა არკადი ვოლსკიმ სან-ფრანცისკოში საქმიან წრეთა კონფერენციაზე რუსული ოკეანისპირეთის და აშშ დასავლეთი სანაპიროს მომავალი ეკონომიკური ურთიერთობის სხივცისკროვანი პერსპექტივა დასახა. სულ ლაპარაკი იყო 19 გიგანტურ პროექტზე. ამათში განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ერთმა — რუსეთიდან ჩინეთისკენ „ენერგიის ხიდის" გადებამ ანუ მას შემდეგ, რაც ამუშავდება ბოგუჩანსკაის ჰიდროელსადგური, რუსეთიდან ჩინეთში ენერგიის მიწოდების გაზრდამ 40 მილიარდი კილოვატსაათიდან 90 მილიარდამდე წელიწადში. ამერიკელ საქმოსნებში ამ პროექტმა დაბანდების ცხოველი სურვილი აღძრა. საკითხავია, რა შედეგები ექნება გეოპოლიტიკურად რუსეთის შორეულზე შორეულ აღმოსავლეთის ეკონომიკურ ინტეგრაციას წყნარი ოკეანის ქვეყნებთან და რას გეგმავენ ამ მიმართულებით პოლიტიკოსები, რუსთა ჩათვლით, რომელნიც ამ პროცესებში დღეს მონაწილეობენ.

## „აკადემიური" წინააღმდეგობა ჩერნომირდინი — ლუჟკოვი

ძალიან საეჭვოა ჩერნომირდინმა შეცვალოს თავისი აკადემიური გემოვნებაც კი ეკონომიკის დარგში იმის გამო, რომ იგი მთავრობას მეთაური აღარაა. მიზეზი მარტივია. იგი ახალი პოლიტიკური წინსვლისათვის ემზადება და გავლენიანი მეგობრები ისევე სჭირდება, როგორც ხელისუფლებაში ყოფნისას სჭირდებოდა. თავის ერთ-ერთ უკანასკნელ პრესკონფერენციაზე, როცა ელცინს უკვე მოხსნილი ჰყავდა მისი კაბინეტის რამდენიმე წევრი, ჩერნომირდინმა [illegible] ზვასმით თქვა, ჩემი მო[illegible]ზმის პრინციპებით წარიმართებაო, რითაც, როგორც ფიქრობენ, წკიპურტი წაჰკრა პრეზიდენტობის მოსალოდნელ კანდიდატს ლუჟკოვს. რომელიც მონეტარიზმის მტერია. უფრო მეტიც, ეს უკანასკნელი, თურმე პირდაპირ ამბობს, „მონეტარიზმის ერა", რომელიც დამანგრეველია ეკონომიკისთვის, რაც შეიძლება მალე უნდა დამთავრდესო.

ჩერნომირდინისა [illegible] მისი შესაძლო მეტოქის ასეთი დიდი ინტერესი ეკონომიკის აკადემიური საკითხებისადმი შესაძლოა იმითაც იყოს ნაწილობრივ განპირობებული, რომ მსოფლიო ბანკიცა და საერთაშორისო სავალუტო ფონდიც დღეს მონეტარისტული პრინციპებით მუშაობენ.

## არაბეთ-ვენესუელის „ომი"

ახლო აღმოსავლეთის ნავთობის უდიდესი მწარმოებელი, საუდის არაბეთი, რომელსაც წელიწადში 8,7 მილიარდი ბარელი „შავი ოქრო" ამოაქვს (ბარელი უდრის 138 ლიტრს) „ცივი ომის" მდგომარეობაში. ვენესუელასთან, რომელიც 43%-ით მეტ ნავთობს აწარმოებს, ვიდრე შეთანხმებული ქვოტითაა გათვალისწინებული. ვენესუელას არ სურს თავის მოპოვებას თუნდაც ერთი ბარელი მოაკლოს. მისი მისწრაფებაა აღადგინოს თავისი 1960-იანი წლების მდგომარეობა როგორც ნავთობის ძირითადი მომწოდებლისა აშშ-სთვის.

## ატომური „ომი"

რუსეთმა გააწბილა ისინი, ვისაც იმედი ჰქონდა, რომ რუსეთი აიღებს ხელს ირანისათვის სპარსეთის ყურის პირას ბირთვული ელსადგურის მშენებლობის პროექტზე. აშშ-მ დაითანხმა უკრაინა, რომ არ მიაწოდოს ტურბინები ამ პროექტის პატრონებს, სამაგიეროდ აშშ-მ უკრაინას შესთავაზა ორმხრივი ბირთვული თანამშრომლობის პროექტი.

## საფსებით დაზღვეული არავინაა

თუმცა ჩინეთი ყველაზე უკეთ იცავს თავს ფინანსური კრიზისისაგან, რომელიც მთლად აღმოსავლეთ აზიას მოედო, ჩინეთის სახელმწიფო ბანკის მმართველი მაინც აღნიშნავს, რომ შესაძლოა ამ კრიზისმა ჩინეთის ეკონომიკაც დააზარალოს. თუ შარშან პირდაპირი უცხო დაბანდებები 45 მილიარდი დოლარი იყო, წელს მათი მოცულობა 30 მილიარდზე დავიდა. ამ დაბანდებათა 80% აზიის ქვეყნებიდან მოდის.

## საყურადღებო ფორმულირება

ბრიტანეთის კურსის შესაბამისად, რომელიც ჩრდ. ირლანდიის სიტუაციის უმტკივნეულო მოგვარებისაკენ მიისწრაფვის, ბრიტანეთის ჩრდილოეთ ირლანდიის საქმეთა სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, ა. წ. 17 მარტს, „ჩვენ გვინდა, რომ ჩრდილოეთ ირლანდიის და კუნძულ ირლანდიის ხალხმა აირჩიოს ურთიერთთანხმობით, რა უნდათ, და როცა ამას იზამენ, ჩვენ იმას მივიღებთ, რასაც ისინი აირჩევენ."

## ჩინეთ-ავსტრალიის სამხედრო კავშირები

ჩინეთის თავდაცვის მინისტრმა ჩი-ჰაოტიანმა სამი გენერლის თანხლებით იმოგზაურა ავსტრალიაში, სადაც ამ ქვეყნის სამხედრო ლიდერებს შეხვდა. მისი მთავარი მიზანი იყო გაექარწყლებინა ავსტრალიელთა შიში ჩინეთის შესაძლო იმპერიულ ზრახვების წინაშე — და ამავე დროს ეჩვენებინა მათთვის ნაყოფიერი ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების დამყარების პერსპექტივა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, რომლებიც დაემყარება „ნდობასა და საერთო ინტერესებს". უახლოეს თვეებში ჩინეთი გაგზავნის საბრძოლო გემების ჯგუფს მეგობრულ ვიზიტად სიდნეიში, რის სანაცვლოც იქნება ავსტრალიის თავდაცვის მინისტრის ვიზიტი ჩინეთში. ურთიერთობის ეს განვითარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯერ კიდევ ორი წლის წინ ამავე მინისტრმა მხარი დაუჭირა აშშ-ის „ავიამზიდთა დიპლომატიას" ტაივანის სრუტეებში.

## ვატიკანი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს

ვატიკანის კომისიამ, რომელიც კურირებს რელიგიურ ურთიერთობებს იუდაიზმთან, გამოაქვეყნა უპრეცედენტო დოკუმენტი „შოას" შესახებ. ივრითის ეს სიტყვა ნიშნავს „ყოვლად დაწვას" — ებრაელი ხალხის განადგურებისკენ მიმართულ იმ დანაშაულებრივ მოქმედებათა გრძელ რიგს, რომელიც ნაცისტების მიერ იყო ჩადენილი. ეს დოკუმენტი იმ დიპლომატიური ძალისხმევის ნაწილია, რომლითაც პაპს ჰსურს ახალი ძალა ჩაჰბეროს ეკუმენიკურ იდეას ყველა ხალხს შორის მშვიდობის დამყარებაზე სამართლიანობის, სიყვარულის და ადამიანის ღირსებისადმი აბსოლუტური პატივისცემის საფუძველზე. დოკუმენტში აქცენტირებულია ისტორიული და მორალური არდავიწყების იდეა და ურთიერთშენდობის აუცილებლობა იმ ამოცანათა შუქში, რაც კაცობრიობას მესამე ათასწლეულში აქვს.

წინასიტყვაში პაპი იოანე პავლე II აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული დანაშაული ლაქაა ამ საუკუნის ისტორიაში, და ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ებრაელი ხალხის თავს დატეხილი უბედურების გამო. პაპი წერს, რომ ქრისტიანობის მესამე ათასწლეულის დადგომის სიხარული, პირველ ყოვლისა, შენდობაზე, ღმერთთან და მოყვასთან შერიგებაზე დამყარებული სიხარულია."

დაუბრუნდა რა ორი ათასი წლის წინანდელი რომის წარმართული იმპერიის მდგომარეობას, პაპმა აღნიშნა, რომ იმ დროის იდეოლოგიებმა წარმოშვა ახალი წარმართული რწმენა ნაციზმისა. წარმოიშვა ადამიანთა მოდგმის ერთიანობის უარმყოფელი თეორიები, რომელთაგან ერთ-ერთი ანტისემიტიზმია. ეკლესიის მოძღვრება, პირიქით, ყოველთვის აღიარებდა ადამიანთა მოდგმის ერთიანობას და ყველა რასის თანასწორობას თავისი ღირსებით.

ნაციზმი, პაპის სიტყვით, იყო „ზედმიწევნით თანამედროვე წარმართული რეჟიმი". მის ანტისემიტიზმს „ფესვები ქრისტიანობის გარეთ ჰქონდა" და იგი არ ერიდებოდა ეკლესიისადმი დაპირისპირებას და მის წევრთა დევნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

SPORT **სპორტის სამყარო** SPORT

# რუსებს უნდა ვაჯობოთ

20 მაისს თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი მატჩი რაგბში საქართველოსა და რუსეთის ეროვნულ გუნდებს შორის. ეს



არის მსოფლიოს თასის მეოთხე გათამაშების საკვალიფიკაციო მატჩი. ამ შეხვედრაში საქართველოს ნაკრებს გამარჯვების შემთხვევაში უჩნდება რეალური შანსი, რათა წელს შემოდგომაზე იასპარეზოს ფინალურ ეტაპზე გადასასვლელ ტურნირში. დასკვნითი ფინალური ასპარეზობა კი გაისად უელსში მოეწყობა. ზოგიერთ ჩვენს გულშემატკივარს შევახსენებთ, რომ ინგლისში უელსის სტადიონზე საფრანგეთის პარკ დეპრენსზე და სხვა ქვეყნის სტადიონებზე ფეხბურთის გარდა მორაგბეებიც მართავენ მატჩებს. თუმცა ძველ გულშემატკივრებს შესაძლოა ახსოვთ 35 წლის წინათ თბილისში ჯერ კიდევ ძველ „დინამო"-ს სტადიონზე მორაგბეების პროფკავშირების საკავშირო ასპარეზობა რომ გაიმართა. სწორედ ამ შეჯიბრების ერთ-ერთი შეხვედრის მომენტია აღბეჭდილი ამ ფოტოზე, სადაც ნათლად ჩანს ტაბლო, რომელსაც ბედის ირონია შეიძლება ეწოდოს. თბილისის ორი გუნდის სახელწოდება გამოსახულია რუსულად.

60-იანი წლები ქართული რაგბის დანერგვის წლებია. ჩვენი ეროვნული თამაშის მონათესავე ბრიტანულ რაგბს მაშინ ალმაცერად უყურებდნენ. ოვალური ბურთით მოწამლულ ბიჭებს მოედანზეც არ უშვებდნენ.

როგორ მოხდა, რომ 35 წლის წინათ ძველ „დინამო"-ს სტადიონზე ათამაშეს პირველი თაობის მორაგბეები?

ამ ფაქტის ახსნა ახლა ადვილად შეიძლება. პირველი თაობის ქართველ, უფრო სწორად თბილისელ მორაგბეთა შორის, როგორც მათ ხშირად უწოდებენ ხოლმე, 60-იანელთა შორის იყო მაშინდელი საქართველოს სუკ-ის შეფის ალექსი ინაურის ვაჟი გია ინაურიც.

სხვათა შორის, როდესაც პირველად ყოფილ საბჭოთა კავშირში ფრანგი მორაგბეები ჩამოვიდნენ, ეს იყო 1967 წელს საფრანგეთის სხვადასხვა პროფკავშირული გუნდების წევრებისგან შედგენილი გუნდი, გურჯაანში ათამაშეს. მსგავსი თამაში კახეთში მანამდე არავის ენახა. მეორე მატჩი კი თბილისში „ლოკომოტივის" (ვაკის) სტადიონზე მოეწყო. ორივე ამხანაგურ შეხვედრაში, რა თქმა უნდა, გამოცდილმა ფრანგმა მორაგბეებმა იმარჯვეს. სხვათა შორის, პირველ მატჩებში ფრანგ მორაგბეების წინააღმდეგ გია ინაურმაც ითამაშა. ჩვენი გუნდი მაშინ თბილისის „ლოკომოტივისაგან" შედგებოდა. გუნდში ყავდათ რამდენიმე „დინამოელიც".



ნათქვამია, აკრძალული ხილი გემრიელიაო, 60-იანელებს სუკ-ის შეფის მსგავსი მფარველიც თურმე არ ჰყოლიათ. ზოგჯერ მორაგბეებს მოედანზეც არ უშვებდნენ, მაგრამ ენთუზიასტებმა ეს სპორტი დღემდე ღირსეულად მოიყვანეს და აი მსოფლიოს სარბიელზეც კი გამოვჩნდით. გამოვჩნდით როგორც მონაწილენი, მაგრამ ელიტაში მოქცევა კი ჯერ ნაადრევია...

ამ ერთი შეხედვით ერთობ უხეშ თამაშს იმთავითვე არაერთი წესიერი ყმაწვილი დაეწაფა. ცნობილი თბილისელი მოქანდაკე გია ჯაფარიძე თბილისის „ლოკომოტივის" გუნდში თამაშის დროს 3-ჯერ იქნა დასახელებული საბჭოთა კავშირის 30 საუკეთესო მორაგბეთა შორის, მოქანდაკე ვახტანგ ფეტვიაშვილი, მხატვარ რუსუდან ფეტვიაშვილის მამა, წლების მანძილზე იყო თბილისის „ლოკომოტივის" გუნდის კაპიტანი. ჩვენი ცნობილი მომღერალი პაატა ბურჭულაძეც ერთხანს თბილისის „ლოკომოტივში" თამაშობდა. თბილისის თავდაცვის მინისტრი, გენერალ-მაიორი, ფილოსოფიის პროფესორი დავით თევზაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და „სპარტაკის" მორაგბეთა გუნდში თამაშობდა. საქართველოს დღევანდელი პარლამენტის წევრებს მამუკა გიორგაძე, გიორგი კობახიძეს და ვალერი გიორგობიანსაც აქვთ გავლილი ოვალური ბურთის გაკვეთილები. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. თუ საქართველოში რაგბის დანერგვის პირველ წლებში (1959 წლიდან) მოთავეები თბილისში ხეებზე აკრავდნენ განცხადებებს რაგბის სექციაში მიღების თაობაზე და იგივე ხესთან თვითონ დგებოდნენ, წამკითხველი რომ „გადაებირებინათ", დღეს სხვა სურათია. ადრე თუ სხვა სპორტიდან გადადიოდნენ ამ ვაჟკაცურ თამაშში, დღეს ათი წლის პატარა ბიჭები იწყებენ რაგბის თამაშს. საქართველოს რაგბის კავშირიც აზრიანად ირჯება, როცა საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდებისათვის საფრანგეთიდან (კლოდ სორელი) და ახალი ზელანდიიდან (ბრედ მიურანტი) იწვევს ამ აღიარებულ სარაგბო ქვეყნის მწვრთნელ-კონსულტანტებს. ფლეი-ოფის მატჩების სამსაჯოდაც უცხოელებს იწვევს...

20 მაისს, ისე როგორც ორი წლის წინ, დიდი ომი იქნება საქართველოს ეროვნულ სტადიონზე. რუსები უსიკვდილოდ უნდა დავამარცხოთ, ისე როგორც ორი წლის წინ. ასე ფიქრობენ ქართველი მორაგბეები, ანუ როგორც მათ ხშირად უწოდებენ, ბორჯღალოსნები.

**გაბრიელ ბარჯაძე**

## ბებერი ხარის რქებიც ხნავენ...

მიუნხენის ბაიერნის ლიბერო ლოთარ მათეუსი გაზეთ „ველტის" გამოკითხვის შედეგად წლის საუკეთესო გერმანელ ფეხბურთელად დაასახელეს. ასეთ გამოკითხვას „ველტი" ყოველ წელს ატარებს და მასში საფეხბურთო ჟურნალისტები და მიმომხილველები მონაწილეობენ. „37 წლის ასაკში ასეთ მაღალ დონეზე თამაში ჭეშმარიტად დასაფასებელია" - წერს გაზეთი. მათეუსმა უკან ჩამოიტოვა ისეთი შესანიშნავად მოთამაშე ფეხბურთელები, როგორებიც არიან ოლივერ ბირჰოფი (უდინეზე) და ოლაფ მარშალი (კაიზერსლაუტერნი). მათ შესაბამისად მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს.

რაც შეეხება გერმანიის ნაკრებს, აქ მოვლენები იმგვარად წარიმართა, რომ ლოთარ მათეუსს, რომელსაც 122 მატჩი აქვს ჩატარებული ნაკრებში, კვლავ შეიძლება მოუწიოს ქვეყნის პირველ გუნდში მონაწილეობა და თუ ეს ასე მოხდა, მაშინ საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატი ღვაწლმოსილი ვეტერანისათვის რიგით მეხუთე იქნება. ამით მათეუსი გაიმეორებს მექსიკელი მეკარის, კარბალახის მიერ დამყარებულ რეკორდს, რომელმაც თავისი კარიერის მანძილზე ასევე ხუთ მსოფლიოს ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა.

## ჰესლერის ბედი გაურკვეველია

გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი თომას ჰესლერი აპირებს მიატოვოს კარლსრუე. ფეხბურთელის განცხადებით იგი თავის ახალ კლუბს უახლოეს ხანებში დაასახელებს. ჰესლერის მენეჯერისა და მეუღლის თქმით თვის ბოლოსათვის უკვე ყველაფერი ცხადი იქნება. გასაკვირი არაფერია იმაში, რომ გერმანელ ვარსკვლავს აღარ სურს კარლსრუეში დარჩენა. გუნდში, რომელმაც ბუნდესლიგაში მე-16 ადგილი დაიკავა და ქვედა ლიგაში ჩამოქვეითდა. ამჟამად თომას ჰესლერი საფრანგეთისთვის ემზადება, სადაც იგი გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში გაემგზავრება. რაც შეეხება წინადადებებს სხვა კლუბებიდან, ჰესლერის გადაბირების სურვილი გამოთქვეს გერმანულმა ჰამბურგმა, ლევერკუზენმა და ფრანგულმა პსჟ-მ.

## სუბისარეტა დაბერებულა

ვეტერანმა ესპანელმა მეკარემ, ანდონი სუბისარეტამ განაცხადა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ იგი თავს დაანებებს ფეხბურთს. 36 წლის სუბისარეტას 1000-ზე მეტი თამაში აქვს ჩატარებული თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე. მას ეკუთვნის ესპანეთის რეკორდი ნაკრებში ჩატარებული მატჩების მიხედვით - 123 შეხვედრა. გარდა ამისა სუბისარეტა ესპანეთის პრიმერა დივიზიონის ტიტულის ექვსგზის, ესპანეთის თასის სამგზის და ევრო თასების სამგზის მფლობელია სამი ესპანური კლუბის: ბარსელონას, ატლეტიკის და ვალენსიას შემადგენლობაში.

## კლუბები საფრანგეთში მაღაზიებს ხსნიან

ფრანგულ კლუბს პარი სენ ჟერმენს იმედი აქვს, რომ გაიუმჯობესებს ეკონომიკურ მდგომარეობას თავისი მაღაზიის გახსნით. მაღაზია ელისეს მინდვრებზე გაიხსნება. მასში სხვადასხვა საზღვარგარეთული გუნდების, საფრანგეთის ეროვნული ნაკრების და რა თქმა უნდა, თავად პსჟ-ს სიმბოლიკა და სუვენირები გაიყიდება. კლუბის მესვეურთ იმედი აქვთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მიმდინარეობა დიდად შეუწყობს ხელს კარგ ბიზნესს, რადგან მრავალრიცხოვანი გულშემატკივრები სიამოვნებით შეიძენენ მაღაზიაში წარმოდგენილ პროდუქციას. შარშან კლუბის სიმბოლიკის გაყიდვით პსჟ-მ 2,5 მილიონი დოლარი მოიგო, ხოლო მაღაზიის გახსნის შემდეგ პროექტის ავტორები ფიქრობენ, რომ წელს ეს თანხა დაახლოებით 16,7 მილიონ დოლარამდე გაიზრდება.

## ვენის „აუსტრიამ" მწვრთნელი სლოვენიაში იპოვა

სლოვენიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა, ზდენკო ვარდენიჩმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა ავსტრიის ჩემპიონატის პირველი დივიზიონის კლუბთან, ვენის აუსტრიასთან. 49 წლის ვარდენიჩი სლოვენიის ნაკრებს 1993-დან 1998 წლამდე ავარჯიშებდა. ეხლა კი აუსტრიაში მან გერმანელი სპეციალისტი ვოლფგან ფრანკი შეცვალა. ავსტრიის 21-გზის ჩემპიონის პრეზიდენტის, რუდოლფ შეიხერის განცხადებით, ვარდენიჩი აუსტრიასათვის საუკეთესო ვარიანტია.

# ენთუზიაზმს მხარში ამოდგომა უნდა, თორემ?!

**აშიჰარა-კარატეს საქართველოს ფედერაცია**

**ASHIHARA-KARATE FEDERATION OF GEORGIA**

ნაძალადევში არის ერთი მეტად უხეირო შენობა, გარედან თითქოს ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ შიგნით „ავ თვალს არ ენახვება", გაბზარული და წლების მანძილზე შეუღებავი კედლები, ჩაბნელებული დერეფნები. ერთი სიტყვით, თუ ქალაქის ხელმძღვანელობა არ მიხედავს ამ შენობას, თავზე ჩამოენგრევათ იქ შესახლებულ ორგანიზაციებს და მსხვერპლის გარეშე თუ ჩაივლის ყველაფერი, იმ ენთუზიაზმს მაინც მოსპობს, რაც ესოდენ მაინც საჭიროა ჩვენს ესოდენ გაჭირვებულ ცხოვრებში.

ჩვენი სტუმრობა ამ შენობაში გამოიწვია აშიჰარა კარატეს საქართველოს ფედერაციის მიერ ჩატარებულმა ტურნირმა. იქ მისულებმა გავარკვიეთ, რომ ტურნირი საქართველოს II ჩემპიონატი ყოფილა ბავშვებსა და მოზარდებს შორის. სიმართლე ითქვას, ჩვენში სპორტის ეს სახეობა უცხო ხილია და ყველაფრის გასარკვევად ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ მირიან ულენტს მივმართეთ:

— **ბატონო მირიან, რას ნიშნავს იშაჰარა კარატე, და როდის შეიქმნა თქვენი ფედერაცია?**

- იშაჰარა კარატე ჩვენში 1993 წლიდან არსებობს, ფედერაცია კი 1987 წლის თებერვალში შეიქმნა. შექმნის დღიდან უკვე ყველაფერი მზად გვქონდა, და რაც მთავარია ჩვენ მოღვაწეობა ნულიდან არ დაგვიწყია. თბილისში უკვე არსებობდა იშაჰარა კარატეს მიმდევართა რამდენიმე ჯგუფი. ჩემს მეგობრებს გახსნილი ჰქონდათ ბავშვების მოსამზადებელი კლუბებიც.

- **საერთოდ რას წარმოადგენს იშაჰარა კარატე?**

— ეს მიმართულება წარმოიქმნა აიკიდოს გადაადგილებებით, ძიუდოს დგომითი საჭიდაო ელემენტებით და საერთო კარატეს ილეთებით და რაც მთავარია სპორტის ეს სახეობა კონტაქტიანია.

— **თუ არსებობს საქართველოს ნაკრები, მიიღეთ თუ არა რომელიმე ტურნირში მონაწილეობა და გქონდათ თუ არა რაიმე შედეგი?**

— ნაკრები შეიქნა ფედერაციის ჩამოყალიბებისთანავე. ჩვენ მივიღეთ მონაწილეობა დაღესტანში მახაჩკალას ტურნირზე. სამწუხაროდ ფინანსური პირობების გამო მხოლოდ ერთი სპორტსმენი წავიყვანეთ საასპარეზოდ. 1997 წელს საერთაშორისო შეკრებაზე მე მივიღე მონაწილეობა. ეს შეკრება ჩატარდა ევრაზიის ასოციაციის ეგიდით, სადაც მომენიჭა პირველი დანის შავი ქამარი. იაპონელების თანხმობით დავინიშნე საქართველოს ფილიალის ხელმძღვანელად.

— **თქვენი მიმდინარეობის რამდენი კლუბი არსებობს საქართველოში?**

— თბილისში არსებობს ოთხი კლუბი. ანალოგიური კლუბი მცხეთაშიც ფუნქციონირებს. ჩემდა სასიხარულოდ ზუგდიდსა და წალენჯიხაში შეიქმნა აშიჰარა ბუდი კივანი ლიგა. მართალია ეს სხვა მიმართულებაა, მაგრამ საერთო ბევრი გვაქვს და ყოველი კლუბის გახსნა ჩვენთვის ძალზედ სასიხარულოა.

— **თქვენი განმარტებით ეს ორთაბრძოლები კონტაქტიანია, საინტერესოა რამდენი წლიდან შეიძლება თქვენს კლუბში ბავშვის მოყვანა?**

— ძირითადად ათი წლის ბავშვებს უნდა შევასწავლოთ ჩვენი ორთაბრძოლების ანბანი.

— **კი მაგრამ ათი წლის ბავშვის ორთაბრძოლა ასეთ კონტაქტურ ორთაბრძოლებში რამდენად მიზანშეწონილია?**

— დავიწყოთ იქიდან, რომ ათი წლის ბავშვი ებრძვის თავის ტოლ მოწინააღმდეგეს. თანაც ორთაბრძოლები წონით კატეგორიებად იყოფა და ამაში საშიში ნამდვილად არაფერი არ არის. ჩვენთან მოსული ბავშვი მშობლის გარეშე არ მიიღება. მშობელს კი ნება ეძლევა დარჩეს ჩვენთან მთელი დღის განმავლობაში, თვალყური ადევნოს ჩვენს ვარჯიშებს და თუ სურვილი ექნება ბავშვმა რომ ჩვენთან ივარჯიშოს, რასაკვირველია, საწინააღმდეგო ჩვენ არაფერი გვექნება. მოკლედ, მშობლის თანხმობის გარეშე ჩვენ არავის ვიღებთ.

ჩემპიონატი ექვს წონით კატეგორიაში ჩატარდა. ბავშვები ენერგიასა და ოსტატობას არ იშურებდნენ გამარჯვებისათვის. საინტერესო იყო მშობელთა რეაქციები. ისინი ისეთი ენთუზიაზმით ქომაგობდნენ ბავშვებს, რომ უცხოს ეგონებოდა, გამარჯვებული მსოფლიო ჩემპიონი ხომ არ ხდებაო. თუმცა ეს შეძახილები და ყიჟინა ერთი-ორად ალამაზებდა ტურნირს. იმ დაძაბული ატმოსფეროს დროს გამარჯვებულის გაბრწყინებული სახეები სასწაულ შთაბეჭდილებს ტოვებდა.

ტურნირის გამარჯვებულები წონების მიხედვით გახდნენ:

**30 კგ. — ვახტანგ ჯარმელაშვილი (თბილისი)**
**37 კგ. — ზურაბ ხეჩუაშვილი (თბილისი)**
**43 კგ. — ზურაბ ჯავახიშვილი (თბილისი)**
**50 კგ. — ნოდარ სამადაშვილი (თბილისი)**
**57 კგ. — ვალერი შავარდენიძე (თბილისი)**
**65 კგ. — გივი გვილავა (თბილისი)**

ტურნირზე დაწესებული იყო სხვადასხვა პრიზები. ჩემი აზრით, ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით პრიზები სამართლიანად განაწილდა. პრიზი სწრაფი გამარჯვებისათვის ერგო თემურ ღურწკაიას (ზუგდიდი), ტექნიკური და მებრძოლის პრიზი კი გიგა ხარებავას (თბილისი) შეხვდა. მსაჯთა სიმპატიების პრიზი შალვა რომელაშვილმა (მცხეთა) დაიმსახურა. აქ შეიძლებოდა ამ ტურნირის მიმოხილვის დამთავრება, ერთი გარემოება რომ არა. ტურნირზე ჩამოვიდა ზუგდიდში არსებული აშიშარა ბუდი კივანის ლიგის პრეზიდენტი ბატონი სპარტაკ სახოკია. მან ამ ტურნირისათვის თავისი შეგირდები ჩამოიყვანა და ძალზედ კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა. მისი განმარტებით ეს ლიგა გასული წლის ოქტომბერში ჩამოყალიბდა და მოწაფეებს ელემენტარულად გამოცდილება არ ეყოთ პირველი ადგილის დასაკავებლად.

ბუნებრივია, ჩვენ დავინტერესდით მისი მოღვაწეობით.




ბატონი სპარტაკი თურმე რუსეთში გაზრდილი ყოფილა, მაგრამ ქართულმა გენმა მაინც თავისი გაიტანა და საქართველოსთვის არასახარბიელო დროს დაბრუნდა სამშობლოში. კონტაქტები ზუგდიდთან მას ადრეც ჰქონდა. იგი ყოველ მეორე დღეს ტელეფონით უკავშირდებოდა მეგობრებს და რჩევადარიგებებს აძლევდა. უგზავნიდა ვიდეომასალებსაც. როდესაც საჭირო შეიქმნა მისი აქ ყოფნა, დაუყოვნებლივ ჩამოვიდა ზუგდიდში.

ბატონი სპარტაკის სპორტული მიღწევა კი მეორე დანით (შავი ქამარი) განისაზღვრება. ამ ქამრის მფლობელი საქართველოში შეიძლება თითო-ოროლა აღმოჩნდეს და რაოდენ სასიხარულოა, ასეთი დონის სპორტსმენები თუ იმოღვაწეებენ საქართველოში.

ჩვენი მხრივ კი გვინდა დიდი წარმატებები ვუსურვოთ ამ ახალგაზრდა ხალხს თავის საქმიანობაში და, სპორტის დეპარტამენტს მივმართოთ თხოვნით, დროულად მიხედონ ასეთ ენთუზიასტ ადამიანებს, რამეთუ უსახსრობამ და უყურადღებობამ შეიძლება ეს კეთილად დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანოს.

**დათო ავალიანი**

## არამეგობრული შარჟები

# ერთ დემაგოგ ქალბატონსა და მის გავლენიან მფარველებზე

სწავლულნი გვარწმუნებენ: ადამიანის ცხოვრების საზრისი, მისი არსებობის ჭეშმარიტი გამართლება ღვთით კურთხეული ნიჭის, საკუთარი მოწოდების აღმოჩენააო. უბედნიერესია ის, გვმოძღვრავენ იგივე სწავლულნი, ვინც თავის მოწოდებას, ტალანტს თვისას მიაგნო და მთელი სიგრძე-სიგანით გაიცნობიერა.

კარგახანია გენეტიკოსები თავს იკლავენ და წელებზე ფეხს იდგამენ ადამიანში მსგავსი ფენომენის აღმოსაჩენად, „ფენომენოლოგებიც" ასევე გადაგებულნი არიან ამ საქმეზე, დღე-ღამეს ასწორებენ, მაგრამ არ იქნა და ვერაფერს გახდნენ, ამაოდ დაშვრა მცდელობა მათი ათეულ წლების.

ის-ის იყო, მეცნიერების ეს ახალი დარგები სრულ დავიწყებას უნდა მისცემოდა, რომ აქვე, ჩემს ყურის ძირში, ჩემს მეზობლად აღმოვაჩინე ადამიანი, რომლის არსებობის უბრალო ფაქტმა ძირფესვიანად შეცვალა საქმის ვითარება და კვლავ დაუბრუნა ულტრათანამედროვე სამეცნიერო დისციპლინებს ძველი სახელი და შეურყეველი ავტორიტეტი. ეს ადამიანები გახლავთ სვეტლანა (ხალხში სვეტად წოდებული) პავლეს ასული კოჩუბეი-ყაველაშვილისა, ქალი-ლეგენდა, სამეზობლოში — ძველი თბილისის კლდისუბანში და საერთოდ ყველგან დიდად პოპულარული პიროვნება, ვისაც დედის მუცლიდან დაყვა ფენომენალური გზაკვალის ამბნევი თაღლითობა და საინტრიგანო გაქნილობა. ეს არის ქალი, ქალი კი არა ჯადოქარი, რომლის წინაშე ვერხვის ფოთლებივით თრთიან „ძლიერნი ამას ქვეყნისანი". მას შესწევს ძალა საინტრიგანო ბრძოლების მდიდარ არსენალს საკუთარი პიროვნების ფოკუსში მოუყაროს თავი და მძაფრი აგრესიული შეტევების სერიალებით მონუსხოს, სულერთიანად დაზაფროს და საკუთარ ნებას დაუმორჩილოს ნებისმიერი სულდგმული, მათგან განსაკუთრებით კი სამსახურებრივ საფეხურზე აღზევებული ბობოლები. მკითხველი ალბათ დამეთანხმება, რომ დიდად შთაგონებული პროფესიული მომჩივანის ეს იშვიათი ტალანტი საგანგებო შესწავლასა და გაანალიზებას საჭიროებს, როგორც გენების შემსწავლელ მეცნიერთა მხრიდან (აკი მოგახსენეთ, დედის მუცლიდან დაყვა-მეთქი ჩივილი და ინტრიგანობა), ასევე „ფენომენოლოგიის" (ამ ჭრილში გამორჩეული უიშვიათესი ფენომენალური პიროვნება) სამეცნიერო სფეროში.

მაგრამ, ჰოი, ბედის უკუღმართობავ!

თურმე ნუ იტყვით და პირველად მეცნიერთაგან ფსიქიატრები დაინტერესებულან სვეტას ფენომენის გამოკვლევით და ჩვენს უფროს ძმებს თავიანთი თანამემამულე ყოველგვარი მიმართვისა და რეკომენდაციების გარეშე შესაფერის დაწესებულებაში მოუთავსებიათ ქ. მოსკოვში. ასე განავრცო და გააფართოვა დიდად ავტორიტეტული მოსკოვის კაშჩენკოს სახელობის კლინიკის დიაპაზონი ჩვენმა სვეტლანამ და სულით ავადმყოფებთან ერთად უმალ აქცია ჩვენი ყოფილი ქვეყნის ცენტრალური ფსიქიატრიული დაწესებულება დამნაშავეთა საიმედო თავშესაფრად. ასეთი დაწესებულების ეს რა წესია — იკითხავთ, მაგრამ გამკითხავი ვინ იყო, ან ეხლა ვინ იქნება, ცხრა თავი ვისა აქვს, რომ პროფესიონალ ინტრიგანს სიმართლე გამოუჩხრიკოს და გამოუმზეუროს. კლინიკა კლინიკაა, მაგრამ აქ უმთავრესი სვეტას ტალანტი და მოხერხებაა, ვინც კარგად უწყის, რომ როდესაც თავში ჩათხლიშავს ორკილოგრამიან მარმარილოს საფერფლეს თავის თანამშრომელს, როგორ გაექცეს პოლიციას და იქ თავისიანებში რა სახის დაწესებულებას შეაფაროს თავი გადასარჩენად. ამბობენ, მისი პალატის ფანჯრები კრემლს უყურებდაო, იმ უზენაეს საბრძანებელს, სადაც არა ერთხელ მიუმართავს საჩივლელად უშუალო ადრესატისათვის: „მოსკოვი, კრემლი, ყრილობას", „მოსკოვი, კრემლი, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს", „ქალთა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ვ. ტერეშკოვას" და ა. შ. და ა. შ.

მაგრამ ეს იყო 80-იან წლებში, კერძოდ, 1987 წელს, მეცნიერება კი ყოველთვის უახლეს მონაცემებს ეყრდნობა და ითვალისწინებს, ამიტომ ფსიქიატრიულ მიმომხილველებს და ექსკურსებს აქ უნდა დაესვას წერტილი. რატომ? აღშფოთდებიან ზოგიერთები. რატომ და იმიტომაც, ჩემო კარგებო, რომ 1987 წლიდან მოყოლებული იმდენი ხალხი აცეკვა თავის დუდუკზე, იმდენი დოკუმენტი შექმნეს სვეტასეული „დიქტანტით" ცრუ მამულიშვილებმა, რომ თუნდაც მარტო ქალაქის არქიტექტურული დეპარტამენტიდან დაგზავნილებს თავი რომ მოვუყაროთ და იქვე ახლოს ელბაქიძის ხიდიდან წყალში გადავყაროთ, — მტკვარს დააგუბებს.

დეპარტამენტი დეპარტამენტად, მაგრამ სვეტას გადამკიდე, უფრო დიდი შიში და ძრწოლა შედგომიათ საკანონმდებლო, აღმასრულებელი თუ სასამართლო ორგანოების ავტორიტეტულ თავკაცებს. ჰოდა, მოდით ამჯერად გავეცნოთ იმ მრავალთაგან ერთ-ერთს. კერძოდ, ავთანდილ (დავით) ივანეს ძე კალმახელიძეს, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავკაცს. კაცს რომ ათი წელია სასამართლოში აქვს საქმე (მე სწორედ ასეთ მდგომარეობაში გახლავართ სვეტას გადამკიდე) და საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს ხელთათმანს ესვრის, ან ბაყბაყდევივით ცხრა თავი უნდა ებას, ან თოკით დასაბმელი გიჟი უნდა იყოს. ცხრა თავი რომ მებას, ხმის ამომღები ვინ იქნებოდა, მაგრამ აი, სულელად რომ მთვლიან და ჩვენი ბედშავი ქვეყანა ჩალით დახურული რომ გგონიათ, ეს მაგიჟებს სწორედ და „საინტრიგანო" კალამს (ვიცი, ამ სიტყვებით მონათლავთ ჩემს გამოწვევას, დავით ბატონო) ხელში მალებინებს.

— რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო! — ხომ გაგიგიათ? ჰოდა, ეს ანდაზა სწორედ ჩვენზეა ზედგამოჭრილი. თქვენზე იმიტომ, რომ ჯერ ერთი, თქვენი სახელი უშუალოდ ფიგურირებს ანდაზაში, მეორე და სულ მთავარი — იმ უსამართლობას, რომელიც თქვენ მე თავზე დამატეხეთ და იმ უტყუარ ფაქტებს, რომლებსაც მე აქვე გადმოგილაგებთ, — ვერსად ნაუხვალთ, ისევე როგორც მე ვერ ნავუვალ ჭია დავუსხლტები თქვენს შურისძიებას. რატომ? რატომ და იმიტომ ჩემო ძვირფასო, რომ დარწმუნებული ვარ, ვიდრე პირში სული მიდგას, მუდამ სასამართლოებში მექნება საქმე თქვენისთანა. „პრინციპული" პიროვნების გადამკიდეს. არ მოგეწყინოთ, გული არ გაიტეხოთ, ჩემი მეზობლის გაუთავებელი პკირებების წყალობით, სულ მალე მექნება თქვენთან საქმე. აი, მაშინ კი, თქვენ შეგიძლიათ გაიხსენოთ ჩემი კალმის წრიპინი და ნიშნის მოგებით წამომაძახოთ: ეხლა დუდუკი მე მაქვს, აქ მოდი, მე დავუკრავ, და შენ კი იხტუნე! მაგრამ ჩემი ხტუნვა და ტაშ-ფანდური აქ რა მოსატანია იმ ბალდადურსა და იურიდიულ აკრობატულ მალაყებზე, თქვენ რომ გადადიხართ სვეტას რუსული გარმონის აკომპანიმენტზე იმის შიშით, აქაოდა, ამ ინტერნაციონალ კაცს ნაციონალური არაფერი დამწამონო.

სამწუხაროდ, მარტო თქვენ არა ხართ, ვინც სვეტას ჰანგზე დავლურს უვლის და მისი „დიქტანტით" ქაღალდების გორებსა ქმნის და ამით ტყუილუბრალოდ აიმედებენ და ასულელებენ ისედაც ბრძოლის სიგიჟით შეპყრობილ ადამიანს. ბრძოლის სიგიჟე ვახსენე და აქვე მომაგონდა ამ ქალბატონის მრავალთაგან ერთი უპრეცედენტო ნამოქმედარი: სვეტა კოჩუბეი-ყაველაშვილმა ქალაქში გააკრა ჩემი და ჩემი ოჯახის წევრებზე, მართალია, ცილისმწამებლური, მაგრამ 10 წლიანი საციხო „საბრალდებო პროკლამაციები ლენინური მოწოდებით" — ყველას, ყველას ყველას!!!" ამ ქალს და მისთანებს 37 წელი რომ დაუდგეს, როგორ გგონიათ, ჩემი ოჯახის წევრთაგან, რომელი ერთი გადაურჩებოდა დახვრეტას?!

ამაზე არ გიფიქრიათ?!

...მესმის თქვენი მოუთმენლობა და შინაგანი ძახილი — საქმეზე გადადიო! და აჰა, ესეცა საქმენი თქვენი საგმირონი.

ჩემო მკითხველო, გსმენიათ ვინმეს, გაგიგონიათ, რომ მოსამართლემ, თანაც ქალაქისამ, მთავარმა, თანაც პრეზიდიუმზე, თავისი ინიციატივით ხელოვნურად შეაკოწიწოს ე. წ. „ახლად აღმოჩენილი გარემოება" და ხაზი გაუსვას და გადაშალოს სასამართლოების ყველა გადაწყვეტილება იმ დოკუმენტზე დ[illegible]ნობით, რომელიც გაუქმებულია თავად ავტორის მიერ (ქალაქის მთავარი არქიტექტორის წერილი 3.04.91. № 7-13 და საქმის ფურცელი 65). ვთქვათ, აღნიშნული დოკუმენტი თქვენ არად ჩააგდეთ და იგნორირება გაუკეთეთ, ნუთუ ქალაქის ვიცე-მერის და დეპარტამენტის თავმჯდომარის ბატონ კაპანაძის განკარგულება (ს.ფ. 177 აართქლეს თქვენს თვალწინ თქვენმა მტრ[illegible]ებმა და ისიც ვერ შენიშნეთ? და თუ შენიშნეთ, რატომღა ჩააცივდით ქალაქის მთავარი არქიტექტორის 1996 წლის 5 დეკემბრის ბრძანებას № 624? დავიჯერო, არ გაგიგიათ იერარქიული წესის დაცვის ეს სამართლებრივი „აი ია"?! არ უსწავლებიათ თქვენთვის, რომ ქვემდგომი ორგანოს ნაწერი (სულ ერთია რასაც უნდა წერდეს), ბათილდება ზემდგომი ორგანოს (ამ შემთხვევაში ვიცე-მერის) განკარგულებით? დავიბრმავებ თვალს და დავიჯერებ, რომ ეს ყოველივე თქვენთვის ახალი ხილია და ამ სამართლებრივი ანა-ბანისა არა გაგიგიათ-რა. ჯანდაბას, ნურც ერთს ჩავაგდებთ სათვალავში და ნურც მეორეს, ვითომც არ მითქვამს, ვითომც არა გაგიგიათ, მაგრამ იმას რა დავუყოთ, იმაზე რა პასუხს იძლევით, რომ 1985 წელს დამთავრებული და მობინადრეებით დაკომპლექტებული სახლის პირვანდელ პროექტად (პირვანდელი პროექტი 1981 წელს შედგა და დამტკიცდა) 1991 წლისას ასაღებთ? რატომ მიიჩნევთ ამ აბსურდულობას აბსოლუტურ ჭეშმარიტებად და „ახლად აღმოჩენილ გარემოებად" ნათლავთ და საფუძვლად უდებთ საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის 28.09.97 № 247 დადგენილებას? დალოცვილო, 1990 წელს სასამართლო მოეწყო მეზობლებს შორის სახლის სადაო საკითხებთან დაკავშირებით და სახლის პირვანდელი დამტკიცებული საპროექტო ნახაზები ერთი წლის შემდეგ შედგა?

როდემდის დავიბრმავოთ თვალი, ნუთუ ამის დანახვასაც გამადიდებელი შუშა სჭირდება? ხოლო თუ სჭირდება და 1991 წელს ამჩნევთ, იმიტომ, რომ ეს თარიღი თქვენ და ჩემს ოპონენტს ხელს აძლევს, ბრძანების თარიღი და ნომერი რომ არ ემთხვევა, თქვენს „ახლად აღმოჩენილ გარემოებას", რატომ არ გაუწიეთ ამას ანგარიში?

დავუშვათ, თქვენ გულუბრყვილო კაცი ბრძანდებით (რაც ერთობ ძნელი დასაჯერებელია), ვერ ერკვევით ჯეროვნად მშენებლობის საქმეებში და ვარაუდობთ, რომ სახლი ჩვენს დედაქალაქში ჯერ შენდება და მერე დგება საპროექტო-არქიტექტურული ნახაზები? და ესეც ხდება ყველგან, ხდება ყოველ დროს, მაშინაც კი, როდესაც სამსართულიანი სახლი ქალაქის არქიტექტურულ ნაკრძალშია (ბეთლემის ქ. № 26) წამოჭიმული?

კი, მაგრამ, ქალაქის მთავარმა არქიტექტორმა, და შემდგომ მოადგილემაც, ხომ განგიმარტეს, რომ ჯერ დგება პროექტი (ჩვენი სახლის შემთხვევაში 1981 წ.) და შემდგომ მიმდინარეობს სახლის მშენებლობა (1981-85 წ.წ.) და რომ 1991 წელი პირვანდელ პროექტთან არაფერ შუაშია და მბეჭდავ-მემანქანის ეს მექანიკური შეცდომა მიიღეთ მხედველობაშიო. მთგწერეს, ხომ მართალია და მიუხედავად ამისა რახან ეს ლაფსუსი თითზე დაიხვიეთ და საფუძვლად დაუდეთ თქვენს იურისპრუდენციულ აღმოჩენას, სჩანს, სულ დაბრმავებულხართ. ნეტავ, რამ გამოიწვია თქვენი ასეთი სნეულება?

და ბოლოს, ყველა-ყველა, მაგრამ ნუთუ თქვენს ზედამხედველობაში არსებული საქალაქო სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილება (10.04.97. № 401) არ გინახავთ? იქ ხომ შავით თეთრზე სწერია სიმართლე? სწერია, რა თქმა უნდა. მიუხედავად ამისა, თქვენ მაინც თქვენი არ დაიშალეთ და ყველას მიერ განმარტებული და განუმარტავად აშკარა უაზრობა, ლაფსუსი საფუძვლად დაუდეთ პრეზიდიუმის დადგენილებას, როგორც „ახლად აღმოჩენილი გარემოება".

ბრავო, აღმომჩენელო!

ბრავო, მაესტრო მართლმსაჯულების!

მართლმსაჯულების ისტორიაში თქვენ ახალი მიმდინარეობის ფუძემდებლად დარჩებით, ფუძემდებლად მოსამართლე-მექოთნის, რომელსაც მუდამ ხელეწიფება ქოთანს ყური იქ გამოაბას, საითაც მოესურვება.

...ამას წინათ ქუთაისელ ძველ ნაცნობს შევხვდი და ჩემი გაჭირვება შევჩივლე, თან ვკითხე, რატომ ხდება, რომ დემაგოგ-დებოშიორ მომჩივნებს, ჩვენი დროის ლაითაძეებს (მთავარი პერსონაჟი პიესისა „ეზოში ავი ძაღლია") არავინ კარებისაკენ არ მიუთითებს მისაბრძანებლად.

— ვერც მიუთითებსო-მიპასუხა.

— რათა-მეთქი — გავიკვირვე.

— რათა და იმიტომო... — მითხრა მრავალმნიშვნელოვნად, ეშმაკურად თვალი ჩამიპაჭუნა და თავის გზას გაუყვა.

მე კი, რა გზას დავადგე, მეტი რა ვილონო, არ ვიცი ამ განუკითხავ წუთისოფელში. იქნებ, თქვენ მირჩიოთ რაიმე, ჩემო მკითხველო და გამკითხველო.

**P.S. ახალი ამბები:**

**ახლახანს შევიტყვეთ, რომ ერთ-ერთ ავტორიტეტულ დაწესებულებაში ჩამოყალიბდა „მომღერალთა" ახალი ანსამბლი, რომელიც სულ მალე წარსდგება მაყურებელთა წინაშე განახლებული პროგრამით. ანსამბლს ეწოდება „ც[illegible]ქტიანელები". პროგრამა ორგანყო[illegible]ებიანია. პირველ განყოფილებაში შესრულდება 13 წლის წინათ მიღებული დადგენილების გასაუქმებლად შექმნილი სიმღერა, — „კოჩუბეიმ დაგვიბარა". ახალი სიმღერისა და ძველი ტექსტის („საქართველოს კპ. თბილისის საქალაქო კომიტეტიდან გამოგზავნილი მოქ. ს. პ. ყაველაშვილის განცხადებების განხილვის შედეგების შესახებ"), ავტორია სვეტა ყაველაშვილი.**

**იმავე ცნობილი ავტორის ცინცხალი, უახლესი სიმღერები შესრულდება, აგრეთვე, მეორე განყოფილებაშიც, სათაურით — „ს. პ. ყაველაშვილის შვიდწლიანი საჩივრებისა და განცხადებების შედეგების შესახებ".**

**სიმღერებს სვეტას დირიჟორობით ასრულებენ როგორც ადგილობრივი, ასევე მოწვეული სოლისტები, რომელთა შესახებ ცალკე მოგაწვდით საინფორმაციო მასალებს.**

ალექსანდრე შალუტაშვილი

*რედაქციისაგან: წერილი დავბეჭდეთ ავტორის დაჟინებული თხოვნით. ვხელმძღვანელობთ რა, თავისუფალი პრესის პრინციპებით, მეორე მხარესაც სიამოვნებით დავუთმობთ ჩვენი გაზეთის ფურცლებს.*



## რა უშლის ხელს ქართველ მეწარმეს

დღეს, როდესაც ძნელი წარმოსადგენია ქართველი მეწარმე, კომერსანტი, თუ ბიზნესმენი შემოსავლებს არ უმალავდეს სახელმწიფოს და კეთილსინდისიერად აკეთებდეს თავის საქმეს (თუმცა ეს ჩვენი კანონმდებლობის ბრალი უფროა, ვიდრე მათი), მაინც არიან ერთეულები, რომლებიც მხოლოდ საკუთარი ჯიბის ამოვსებაზე კი არ ფიქრობენ, არამედ, უფრო მეტიც, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს წინა პლანზე აყენებენ.

პიროვნება, რომელზეც ეხლა მოგითხრობთ, გარდა იმისა, რომ კეთილსინდისიერი კაცია, დიდი ქველმოქმედიცაა, თუმცა ამაზე ცოტა მოგვიანებით.

ჩვენი რესპონდენტია ბატონი **ჰამლეტ კოზახიძე**, შპს „ჯორჯია მიკოს" გენერალური დირექტორი, საზოგადოება „ქართული სოფლის" პრეზიდიუმის წევრი და ვიცე-პრეზიდენტი

იგი დაიბადა 1948 წელს. პროფესიით მშენებელ-ინჟინერია, არის რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. ეხლახანს დაამთავრა მუშაობა სადოქტორო ნაშრომზე და ალბათ. სულ მალე მივულოცავთ კიდეც. ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და ერთი შვილიშვილი.

**— ბატონო ჰამლეტ, როდესაც ქართველი საქმიანი წრის წარმომადგენლები საკმაოდ ხმამაღლა ლაპარაკობენ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის არსებობასა და თანხების გადამალვაზე საინტერესოა, თქვენ როგორ ახერხებთ კეთილსინდისიერ საქმიანობას?**

— ზუსტად ეგ არის ჩვენი გაჭირვების თავი და თავი, რადგან შემოსული თანხები თითქმის მთლიანად ბიუჯეტში შესატან თანხებს და სხვადასხვა გადასახადებს ხმარდება.

ჩვენი წილი სახელმწიფო ხაზინაში ყოველთვის შეგვაქვს. თანაც დროულად. უფრო მეტსაც გეტყვით, მომსახურე პერსონალის ხელფასები გადაუხდელი მაქვს, რათა კანონით გათვალისწინებული გადასახადები დროულად ჩამერიცხა.

მინდა ვთქვა, რომ 1995 წლის 24 აგვისტოს გამოიცა მერიის დადგენილება, რომელიც წინამძღვრიშვილის ქ. №133-ში — ეს დღევანდელი დიდუბის ტერიტორიაა — უწესრიგობის, ქაოსის და ანტისანიტარიის წინააღმდეგ იყო მიმართული.

**— ბატონო ჰამლეტ, როდესაც თქვენ ეს ტერიტორია აითვისეთ, რათა ბაზრობა მოგეწყოთ, ამ ტერიტორიაზე ნაგავსაყრელის მეტი არაფერი იყო. როგორ მოახერხეთ ამ ტერიტორიის გაწმენდა და დაგეხმარათ თუ არა ვინმე?**

— არავინ დამხმარებია და ეს ტერიტორია მართლაც ნაგავსაყრელად იყო ქცეული. სწორედ ამიტომაც გამოიცა მერიის აღნიშნული დადგენილება.

ჩემი კოლექტივისადმი დიდი კმაყოფილება მინდა გამოვხატო, რადგან იმ ძნელბედობის ჟამს მხოლოდ ისინი მედგნენ მხარში. დღეს ხელფასები ვერ მიმიცია, მაგრამ კიდევ გავიმეორებ, გადასახადებს არასდროს გავურბივარ.

**— თუ შეიძლება ცოტა რამ გვითხარით თქვენი ადრინდელი საქმიანობის შესახებ?**

— მე ვიყავი დიდი სამშენებლო ორგანიზაციის მშენებლობის უფროსი. ეს ორგანიზაცია საქმიანობდა არა მარტო საქართველოში, არამედ სხვა მაშინდელ რესპუბლიკებშიც. ბოლო წლებში დაახლოებით 200-მდე სახლი ავუშენეთ აჭარაში, კახეთში, რაჭა-იმერეთში სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას.

**— ბატონო ჰამლეტ, დღეს თქვენს ბაზრობას უამრავი მომხმარებელი ჰყავს. რა საშუალებებით აპირებთ მომსახურების სფეროს ზარდას?**

— ჩვენ, მომხმარებლებს გვიკარგავს მეტროპოლიტენებთან, ბაზრობების წინ, ქუჩებში გამართული ბაზრობები, სადაც შეუმოწმებელი პროდუქტი პირდაპირ ნაგავში ყრია. თუმცა, ეს არა მარტო ჩემი, არამედ მთლიანად სახელმწიფოს პრობლემასაც წარმოადგენს, რადგანაც დიდია ბიუჯეტის ზარალი. მოგეხსენებათ, ეს აუღრიცხავი პროდუქციაა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, მრავალი დადგენილებაა გამოცემული, მაგრამ, სამწუხაროდ, ესენი ფარატინა ქაღალდად დარჩა. მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ზოგიერთი ჩინოვნიკის დაუდევრობაა.

**— ბატონო ჰამლეტ, ჩემი აქ ყოფნის დროს ქალბატონი შემობრძანდა, რომელმაც ფინანსური დახმარება გთხოვათ. თქვენც უკან არ დაიხიეთ. ხშირია ასეთის შემთხვევები?**

— ქველმოქმედება არა მარტო ჩემი, არამედ ჩემი ოჯახის ტრადიციასაც წარმოადგენს.

ჩემი ბაბუა ნიკო ნიკოლაძის მოიჯარე იყო. იგი მაშინდელ ფოთს აშენებდა. მასაც სწორედ ჩემნაირი ხასიათი ჰქონდა. ეტყობა. ოჯახმა დიდი გავლენა იქონია ჩემი ხასიათის ჩამოყალიბებაში.

ქალბატონს, რომელიც ეხლახან იყო ჩემთან, ავადმყოფი შვილი ჰყავს. ორივე ქვემო კიდური მოწყვეტილი აქვს. თვითონაც ავადმყოფობს. შეძლებისდაგვარად ყოველთვის ვეხმარები.

მიუხედავად გაჭირვებისა, ნორჩ დინამოელთა სკოლას მაინც ვეხმარები. როდესაც გავიგე, რომ ზოგიერთ ბავშვს დედ-მამა არ ჰყავდა ან კიდევ დევნილები იყვნენ, ზოგს ბურთით, ზოგს ტანსაცმლით დავეხმარე. ეხლახან ავაშენე ერთი სტადიონი, სადაც 2000-მდე ტონა გრუნტი შევიტანე. სულ მალე მეორე სტადიონის მოწყობასაც ვაპირებ. იმედია, ამას ჩვენი საზოგადოება სხვანაირად არ გაიგებს, რადგან მე არც პოლიტიკოსი ვარ და არც მომავალში ვაპირებ. ეს ყველაფერი ჩემი ხალხის სიყვარულით გავაკეთე, რათა ახალგაზრდობას ნაკლებად ჰქონდეს ქუჩაში ხეტიალის დრო, სპორტზე და სწავლაზე იფიქროს.

**P. S.** *მიუხედავად იმისა, რომ ბატონ ჰამლეტს ძალიან ცოტა დრო ჰქონდა, დიდსულოვნად დაგვთანხმდა ინტერვიუზე.*

*ჩვენ კი ჩვენის მხრივ დავსძენთ, რომ ღმერთმა ქნას, საქართველოში მომრავლებულიყოს ბატონი ჰამლეტისნაირი კეთილსინდისიერი ხალხი.*

კობა გურული



თქვენი საუკეთესო არჩევანი

TURQUOISE EAU DE PARFÜM



გამოვიდა სატირულ-იუმორისტული გაზეთი

**სიცილო-თერაპია**

იკითხეთ „სიცილო-თერაპია“ და თქვენ მუდამ ჯანმრთელი იქნებით!



## ექსპრეს აუდიტ სერვისი

*ლიცენზია №091*

*გთავაზობთ აუდიტორულ მომსახურებას ზოგად აუდიტში*

საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება;
საკონსულტაციო მომსახურეობა და რეკომენდაციები;
ქონების შეფასება-გადაფასება;
ბუღალტრული მომსახურეობა;

თბილისი, თავისუფლების მოედანი,
პუშკინის ქ. 5, მე-2 სართ. ტელ.: 93-15-89



*გამოიწერეთ გაზეთი*

## „საქართველო“

ხელმოწერა შეიძლება ქ.თბილისის პრესის გავრცელების სააქციო საზოგადოება „მაცნეს“ ხელმოწერის რაიონულ უბნებში შემდეგ მისამართებზე:
- მოსკოვის გამზირი 18, ტელ. 71-32-87
- გლდანის რაიონი, დუმბაძის 4 (ა) კორპუსი, ტელ. 62-75-32
- დ.გურამიშვილის გამზირი 30, ტელ. 60-80-22
- ივ.ჯავახიშვილის (კალინინის) ქ.№14 ტელ. 95-87-36
- ქეთევან წამებულის გამზ. 61, ტელ. 74-14-47
- აკ.წერეთლის გამზ. 73, ტელ. 34-75-51
- რ.თაბუკაშვილის ქ. №12
- ჭავჭავაძის გამზ. 46, ტელ. 22-64-58
- ცენტრალური ოფისი, კ.გამსახურდიას გამზ. 42, ტელ. 37-47-49, 93-43-97.

ორგანიზაციებს შეუძლიათ, მიიწვიონ „მაცნე“-ს წარმომადგენელი ხელმოწერის გასაფორმებლად. ხელმომწერს შეუძლია აირჩიოს ჟურნალ-გაზეთების მიღების მისთვის ხელსაყრელი ფორმა.




### ამირან სირბილაძე

რა საოცარი სისწრაფით გაირბინა წლებმა უშენოდ. დღეს შენი დაბადების დღეა. 20 მაისს შეგისრულდებოდა 70 წელი. მაისობა შენით გვიხაროდა, ეხლა ვქტირით. რა მტანჯველი ყოფილა მონატრების განცდა. როგორ გვაკლიხარ. შენ იყავი ჩვენი ოჯახის სიამაყე, იმედი, არაჩვეულებრივი შვილი და ძმა, მოსიყვარულე მეუღლე და მამა. შვილიშვილებზე უზომოდ შეყვარებული ბაბუა. ეტალონი იყავი ყოველგვარი სიკეთისა. ძალიან გვაკლია შენი ღიმილი, გულის სითბო, იმედიანი სიტყვა. წახვედი ჩვენგან ახალგაზრდა კაცი და გაუსაძლისი, მოურჩენელი ტკივილი დაგვიტოვე ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებს და ყველას, ვინც გიცნობდა. დღეს შენი სადღეგრძელო შეისმება, როგორც ჩვენს გვერდით მჯდომის, რადგან შენ ღირსეულად ატარე ნამუსის ქუდი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

ოჯახი

გელა ებანოიძე სამძიმარს უცხადებს ნანა თოდუას მამის და ირაკლი თოდუას ბიძის — ჯონი თოდუას გარდაცვალების გამო.

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს აშალია გოგრიაშვილს დის, მზია გოგრიაშვილი-დუდაურის გარდაცვალების გამო.



### გახსენება

18 მაისს ერთი წელი შესრულდა, მას შემდეგ, რაც მოულოდნელად წავიდა ჩვენგან საუკეთესო ადამიანი, იდეალური მეუღლე, მზრუნველი მამა, მეგობარი და გულისხმიერი ექიმი, გურამ ბუხნიკაშვილი.

წავიდა და დატოვა უზარმაზარი ტკივილი და სიცარიელე, რასაც ვერავინ და ვერასოდეს ვერ შეავსებს.

თავისი ცხოვრების წლები, მან უანგაროდ შეალია ოჯახს, მეგობრებს და სამშობლოს სამსახურს. გულთან ახლოს მიჰქონდა ყველას ტკივილი და გაჭირვება, განიცდიდა თითოეულის დარდს... სწორედ გულმა ველარ გაუძლო.

მსუბუქ ყოფილიყოს შენთვის მშობლიური მიწა.

მეუღლე ნათელა იაკობაშვილი, შვილი ვიკა ბუხნიკაშვილი, ენრიკო იაკობაშვილი, ახლობლები.

## კროსვორდი



**თარაზულად:** 5. სასულიერო წოდება; 6. რისამე გარემომცველი ადგილი; 7. ფილმი გ. ბერიკაშვილის მონაწილეობით; 9. ირანის პირველი შაჰი ფეჰლევთა დინასტიიდან (XXსაუკ); 10. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება; 12. სიცოცხლის ესა თუ ის ხანი; 14. ქართული კონიაკი; 16. კაუჩუკის ვულკანიზაციის პროდუქტი; 17. მხარე გფრ-ის დასავლეთ ნაწილში; 18. მედიცინის მუშაკი; 19. მუქ ლურჯი სალებავი ნივთიერება; 22. ცენტრალური ტელევიზიის ძალიან პოპულარული პროგრამა ყოფილ საბჭოთა კავშირში; 24. სასიგნალო მოწყობილობა; 25. ჯავაჰარლალ ნერუს ქალიშვილი; 26. რომის იმპერატორი — პატივმოყვარე, გარყვნილი ტირანი, გვარიანად შერეკილიც; 27. რომის პაპის გვირგვინი; 28. უცნობი თანამოსაუბრის სახელის ნაცვლად სახმარი სიტყვა იმერელთა მეტყველებაში.

**შვეულად:** 1. ისეთი რამაა, მის გატეხას თავის გატეხა სჯობს (ანდაზა); 2. პატიმრობის ერთ-ერთი უმკაცრესი სახე; 3. ოპტიკური ხელსაწყოს (მაგ. მიკროსკოპის) ნაწილი; 4. ქალის სახელი; 6. გულში ჩამარხული რამ ფიქრი, განზრახვა; 8. კონდიციონერის სახელწოდება ამერიკაში; 11. ცნობილი ფრანგი კინოკომიკოსი; 13. ძეხვს „ბიძაშვილად“ ერგება; 14. მამალი ცხვარი; 15. ფილიპინების სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე; 20. „რაკოვინის“ ქართული შესატყვისი; 21. დიდებულთა მემკვიდრეობითი წოდებულება ესპანეთში 1931 წლამდე; 23. განცხადების სახეობა; 24. კინოფილმის ნაწილი.

## განცხადებები

იყიდება გერმანული „გორკა“ შვიდფოთლიანი. ტელ: 34-23-82

ვყიდი 90 ვატიან (8ომიან) დინამიკებს 100 ლარად. ტელ: 39-39-92

ვყიდი სავარჯიშო ველოსიპედს (ველოტრენაჟორი). ფასი 40 ლარი და კრივის სავარჯიშო მსხალს, ფასი 30 ლარი. ტელ: 39-39-92

იყიდება აგარაკი ნორიოში მდინარის პირას. 2-სართულიანი სახლი მანსარდით, 600 კვმ, ხეხილიანი ეზოთი. საწყისი ფასი 25000 დოლარი. ტელ: 22-27-76

იყიდება 5-ოთახიანი ბინა მეტრო „300 არაგველთან“, ჭერის სიმაღლე 3მ 30სმ. საერთო ფართი 100 კვმ. მიშენებულია ლოჯი, ლოჯის ქვეშ 2 ავტოფარეხის ადგილი. წყალი და სინათლე მუდმივად არის. ფასი შეთანხმებით. ტელ: 74-52-12 ანა

ვყიდი გერმანული კომპაქტდისკების ნაკრებს (50ცალი). არის კლასიკის, ბაროკოს, რომანტიზმის პერიოდის კომპოზიტორთა და ქანთრის ნაწარმოებები ბერლინის ფილარმონიის ორკესტრის შესრულებით. სულ 50 კომპოზიტორის 200-მდე ნაწარმოები. ფასი 1200 დოლარი. ტელ: 61-71-43 ნათია

იყიდება სასწრაფოდ, იაფად, საბურთალოს ქუჩაზე, იპოდრომთან მე-4 სართულზე არასტანდარტული 3-ოთახიანი ბინა ლოჯით. მიშენებული 40 კვმ. ბინა ახალი პროექტით 5-ოთახნახევრიანია. ოთახები იზოლირებულია. კედლები სათავსოებით, აქვს სარდაფი, მანქანის სადგომი, ნაწილობრივ სარემონტოა. საწყისი ფასი 32000 დოლარი. ტელ: 72-35-66 დოდო ან ნათია


## ბუღალტერთა და ბუღალტერიით დაინტერესებულთა საყურადღებოდ!

**თუ გსურთ**

ღრმად და საფუძვლიანად უმოკლეს ვადაში დაეუფლოთ თანამედროვე ბუღალტერიას (მასთან ერთად ეკონომიკურ ანალიზს, აუდიტს, საგადასახადო საქმეს);

მოისმინოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსთა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ლექცია-სემინარები;

დაზოგოთ დრო და ისწავლოთ ქალაქის ცენტრში მდებარე პრესტიჟულ ინსტიტუტთან არსებულ აპრობირებულ ბუღალტერთა მომზადება-გადამზადების ცენტრში;

მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე:

თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 V სართული ტელ: 99-60-20, 93-36-93

აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის საქართველოს ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტი. ტელ: **75-50-05** (სალამოს), **22-29-81** (სალამოს).


### მარიკა მიძელაძეს!

ჩემო პატარა მარიკა, გილოცავ დაბადების დღეს! გისურვებ ბედნიერებას, სიხარულს. ჭკვიანი, განათლებული და სასახელო ქალი გაზრდილიყავ. სწორედ ისეთი, როგორიც შენს დედიკოს და მამიკოს გაეხარდება.

კობა



ბაქარ მათიკაშვილს და ქეთი უერთაშვილს ვულოცავთ მარიამის დაბადებას. პატარა მარიამს ვუსურვებთ ლამაზ, ბედნიერ მომავალს.

მეგობრები






## გიწვევთ!

გაზეთ „საქართველოს“ სარეკლამო განყოფილება სამუშაოდ გიწვევთ 19-დან 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს.

მსურველებს შეუძლიათ მოგვმართონ მისამართზე: თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, II სართული, ტელ: 93-18-41, 93-20-36



მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444